ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 4 ივლისი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 154 (2802)

დღიური

- — უმუშევრობის ზრდა ინგლისში.
- — პოლიციური ტერორის გაძლიერება შეერთ. შტატებში.
- — პროფბიუროკრატებმა ვერ შესძლეს მანსფელდის მუშების გაფიცვის ჩაშლა.
- —უცხოეთის პრესა მეთექვსმეტე პარტყრილობის მუშაობის შესახებ.
- — ვაჭრობის კომისარიატის განმარტება კულაკების მიერ ზედმეტი პურის ჩაბარების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI ყრილობა

ყრილობის რეზოლიუცია

ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად)

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხაზსა და მუშაობას.

საანგარიშო პერიოდი გარდატეხის პერიოდი იყო, როგორც კაპიტალისტური ქვეყნებისათვის, ისე საბჭოთა კავშირისათვისაც. საბჭოთა კავშირისათვის იგი მოასწავებდა აღდგენის პერიოდიდან რეკონსტრუქციის პერიოდზე გადასვლას და სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზულად გაშლას. კაპიტალისტურ ქვეყნებში გარდატეხა მოხდა ეკონომიურ დაცემისაკენ.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ბუმბერაზული წარმატებანი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობის განმტკიცება ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, ხუთწლედის პირველი ორი წლის პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, საშუალო გლეხთა მასების გადაჭრით მობრუნება სოციალიზმისაკენ, რამაც საშუალება მისცა პარტიას კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროების ლოზუნგიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

I. ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდის ფაქტებმა მთლიანად და სავსებით დაადასტურეს ცენტრალური კომიტეტის მიერ მოცემული შეფასება მსოფლიო მდგომარეობისა, რომელსაც ახასიათებს კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის შერყევის შემდგომი გაძლიერება, იმპერიალისტურ სისტემის ყველა წინააღმდეგობათა გამწვავება, ახალი იმპერიალისტური ომების საფრთხის ზრდა, მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოში მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მდგომარეობის გაუარესება, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა ფაშიზაცია და სოციალ-დემოკრატიის გადაქცევა მუშათა კლასის დათრგუნვის პირდაპირ იარაღად. კაპიტალიზმის ულრმესი კრიზისული მდგომარეობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ამერიკის ეკონომიური კრიზისი, რომელიც მსოფლიო კრიზისად გადაიქცა. ეს კრიზისი ხსნის მსოფლიოს განაწილებისათვის ახალი გაფთრებული ბრძოლის პერიოდს, აჩქარებს კაპიტალისტურ რაციონალიზაციას მუშათა კლასის ხარჯზე, აძლიერებს კოლონიალური ქვეყნების ექსპლოატაციას მათი იმპერიალისტური დამმონებლების მიერ და ამით სრულიად თვალსაჩინოდ აცამტვერებს „მოწესრიგებული კაპიტალიზმის" სოციალ-დემოკრატიულ თეორიას, რომელსაც მემარჯვენე ოპორტუნისტებიც იმეორებენ, და მოასწავებს კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის აღსასრულის მოახლოვებას. ეს კრიზისი აძლიერებს რევოლიუციონურ აზვირთებას კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში და აუცილებლად გადაიქცევა პოლიტიკურ კრიზისად მთელ რიგ ქვეყნებში.

რევოლიუციონური აზვირთების თანდათან განვითარება თავის გამოხატულებას პოულობს ეკონომიური საგაფიცვო ბრძოლის ზრდასა და გამწვავებაში და მის გადაქცევაში პოლიტიკურ ბრძოლად კომპარტიებისა და რევოლიუციონური პროფკავშირების მიერ გაფიცვების მიმართ დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის ტაქტიკის წარმატებით გამოყენებით, უმუშევართა ფართო მოძრაობაში თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიების მთელ რიგ რევოლიუციონურ გამოსვლებში. ჩინეთის გლეხობის რევოლიუციონურ ბრძოლაში და გომინდანის ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ წითელი არმიის შექმნაში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, ინდონეზიასა და აფრიკაში ნაციონალურ რევოლიუციონური ბრძოლის გაძლიერებაში, ევროპის, ამერიკისა და ჩინეთის კომპარტიების განმტკიცებაში და მათ გაწმენდაში დამპალი ოპორტუნისტული ელემენტებისაგან.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის (ბ) და მისი ცენტრალური კომიტეტის უდიდეს როლს კომინტერნის სექციების ბოლშევიზაციისა და მათი ოპორტუნისტული ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეში.

იმპერიალისტური სისტემის ყველა წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად მწვავდება წინააღმდეგობანი საბჭოთა კავშირსა და მის გარშემო მყოფ კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის. საერთაშორისო ბურჟუაზიის სიძულვილი მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოსადმი და მისი გამარევოლიუციონერებელი გავლენისადმი, გამოხატულებას პოულობს ეკონომიური ბლოკადის ორგანიზაციის ცდებში, საბჭოთა ექსპორტის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამღვდელოების კამპანიაში, ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესის გაფთრებულ, ცილისწამებით აღსავსე, კამპანიაში და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მზადების გაძლიერებაში.

ანტისაბჭოთა კამპანიაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ფაშიზაციის გზაზე დამდგარი სოციალ-დემოკრატია, რომელიც ჩვეულებრივად გამოდის ამ კამპანიის მეთაურად ყველაზე რეაქციონურ ბურჟუაზიულ ჯგუფთან ერთად. ამასთან სოციალ-დემოკრატიის მაჩანჩალებად სულ უფრო აშკარად გამოდიან კომუნიზმის მემარჯვენე და „მემარცხენე" რენეგატებად. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების ზრდა, რომელიც ადიდებს ბურჟუაზიისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ინტერვენციის საშიშროებასა და რისკს, განსაკუთრებით ეხლანდელი კრიზისისა და რევოლიუციონური აზვირთების განვითარების პირობებში, აიძულებს ბურჟუაზიის ზოგიერთ ჯგუფებს დაადგნენ საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების გზას.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ძლიერების განმტკიცება წარმოადგენს იმ სწორი საგარეო პოლიტიკის შედეგს, რომელსაც ანხორციელებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი. მხოლოდ ამ პოლიტიკის წყალობით საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო შეენარჩუნებია მშვიდობიანობა, რომელიც წარმოადგენს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის თვალსაჩინო განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პირობას. საბჭოთა კავშირის განუხრელ და მტკიცე პოლიტიკამ გამოიწვია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ინგლისთან და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარი კონფლიქტის ლიკვიდაცია, რომელიც საერთაშორისო იმპერიალიზმმა მოგვახვია თავზე.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მომავალშიაც აწარმოოს მშვიდობიანობის მტკიცე და გადამჭრელი პოლიტიკა, პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მუშებისა და მშრომელი მასების ძმური კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცებისა კაპიტალისტური ქვეყნებისა და კოლონიების მუშებთან და მშრომელებთან.

ყრილობა საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ურყევად დაცვის საფუძველზე, და მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ტეხნიკის უაღრესად ფართოდ გამოყენებას საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დასაჩქარებლად. ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების მთელ მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის და საერთაშორისო იმპერიალიზმის მხრივ ინტერვენციის ყოველგვარი ცდების მოგერიებისათვის.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჩვენმა წითელმა არმიამ კვლავ გვიჩვენა თავისი ძლიერება და ბრძოლის უნარიანობა. ამასთან ყრილობა გადაჭრით აღნიშნავს იმის საჭიროებას, რომ კიდევ უფრო დაირაზმოს პარტიის ყურადღება და მოხდეს მუშათა კლასის და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ყველა ძალების მობილიზაცია საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის, წითელი არმიის საზღვაო და საჰაერო ფლოტის ძლიერებისა და ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების ამოცანის ირგვლივ.

II. საბჭოთა კავშირმა საანგარიშო პერიოდში ფეხი შესდგა სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზულად გაშლის სტადიაში.

ცენტრალური კომიტეტის სწორმა ლენინურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი გაქანება და გამოიწვია საწარმოო ენტუზიაზმის უდიდესი აზვირთება მუშათა მასებში, რომლებმაც საშუალება მისცეს პარტიას დაესახა ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელების ამოცანა. პარტიის მიერ მიღწეული ტემპები სოციალისტური მშენებლობისა საშუალებას აძლევენ საბჭოთა კავშირს უმოკლეს ისტორიულ ვადაში დაეწიოს და გაუსწროს მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტეხნიკურ - ეკონომიურად.

ინდუსტრიალიზაციის სწრაფმა ტემპმა შექმნა წინასწარი პირობები სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის. მარცვლეული კულტურების საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მიმდინარე წელს უნდა მოგვცენ 100 მილიონ ფუთზე მეტი სასაქონლო პური. საკოლმეურნეო ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდება მიმდინარე სამეურნეო წელს. კოლმეურნეობებმა უკვე მიმდინარე წელს უნდა მოგვცენ ნახევარ მილიარდ ფუთზე მეტი სასაქონლო პური. წინააღმდეგ მემარჯვენე ოპორტუნისტების პანიკური მტკიცებისა სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ, პარტიამ სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელი როლისა და კოლმეურნეობებში წვრილი, ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობების გაერთიანების საფუძველზე, აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობისათვის დახმარების საფუძველზე, საერთოდ წარმატებით გადასჭრა მარცვლეულის პრობლემა. მარცვლეული კულტურების ნათესმა ფართობმა მიმდინარე წელს პირველად გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს. მიღწეულ იქნა ტეხნიკურ და სასოფლოსამეურნეო კულტურათა ფართობის თვალსაჩინოდ გადიდება. პარტია უკვე შეუდგა მესაქონლეობის პრობლემის გადაჭრას.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბუმბერაზულ ტემპს თან სდევდა მუშათა კლასის თვალსაჩინო რიცხობრივი ზრდა, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება, შრომის რეალური ხელფასის გადიდება, შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება და უმუშევრობის საფუძვლიანი შემცირება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დარაიონების ბოლომდე ჩატარება თვალსაჩინოდ აჩქარებს წინად ჩამორჩენილი რაიონებისა და განაპირა ოლქებისა და ნაციონალური რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, ჰქმნის იქ სამრეწველო პროლეტარულ ცენტრებს და აადვილებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უფრო სწორად და მიზანშეწონილად განაწილებას საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ეს წარმატებები პარტიის მიერ მიღწეულია ბრძოლაში და იმ სიძნელეთა გადალახვაში, რომელნიც იდგნენ სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ეს სიძნელენი კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით იყვნენ ზრდის, და არა დაცემის სიძნელენი. ეს სიძნელენი გამომდინარეობენ იქიდან, რომ ჩვენ ძირიანად უნდა გარდავქმნათ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, შევცვალოთ მათი ტეხნიკური ბაზა და შევაიარაღოთ ისინი თანამედროვე ტეხნიკით. ეს ამოცანა განსაკუთრებით რთულია სოფლის მეურნეობაში, სადაც ტეხნიკური ბაზის გარდაქმნას თან უნდა სდევდეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ - ეკონომიური სტრუქტურის გარდაქმნა, წვრილ და უწვრილეს დაქუცმაცებული მეურნეობათა გაერთიანება კოლმეურნეობებში და კაპიტალიზმის ფესვების ამოთხრა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მუშაობის სირთულე კიდევ უფრო ძლიერდება კულაკობის, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული ელემენტების (მავნებლობა, საბოტაჟი და სხვ.) გაფთრებულ წინააღმდეგობით. ამ სიძნელეთა წარმატებით და უმოკლეს დროში გადალახვის ძირითადი პირობებია სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარება და გაშლილი შეტევა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე. ამ ტემპების რაიმე შესუსტება კაპიტალისტური და კულაკური ელემენტების სასარგებლოდ და მათ წინააღმდეგ შეტევის შესუსტება სინამდვილეში იქნებოდა არა სიძნელეთა შემსუბუქება, არამედ მათი უფრო გამძაფრება და პროლეტარული დიქტატურის კლასობრივი მტრების პოზიციების გაძლიერება.

მემარჯვენე ოპორტუნისტების კაპიტულიანტური გეზი ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელებისაკენ არსებითად ნაკარნახევია კულაკურ - კაპიტალისტური ჯგუფების ინტერესებით და ამ გეზს კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ მივყევართ.

პარტია და მუშათა კლასი ულმობელად უკუაგდებდნენ და მომავალშიაც უკუაგდებენ მემარჯვენეთა ოპორტუნისტულ კაპიტულიანტობას, რომელიც სინამდვილეში მოასწავებს ღალატს მუშათა კლასის ინტერესებისადმი.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მომავალ მუშაობაში საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის პარტიის ღონისძიებანი მიმართოს შემდეგი ძირითადი ამოცანების განხორციელებისაკენ:

1) მძიმე მრეწველობის, როგორც სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ბაზის (შავი და ფერადი მეტალურგია, ელექტრონის ენერგიის წარმოება, სათბობი, მანქანათმშენებლობა, ქიმია), ყოველმხრივ გაშლა, უახლოეს პერიოდში ქვანახშირისა და მეტალურგიის ახალი მძლავრი ბაზის შექმნა ურალ-კუზნეცკის ბასეინის სახით.

2) განვითარება და რეკონსტრუქცია ტრანსპორტისა, განსაკუთრებით სარკინიგზო და სანაოსნო ტრანსპორტისა, რომელიც იქცევა სოციალისტური მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ადგილად.

3) მრეწველობის მასიური მოხმარების პროდუქტების მწარმოებელი დარგების (მსუბუქი ინდუსტრია) განვითარების გაძლიერება, აგრეთვე სანედლეულო ბაზის განვითარება.

4) ექსპორტის გაძლიერება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი იმ დარგების გაძლიერებულად გაშლით, რომელნიც ექსპორტისათვის მუშაობენ.

5) სამრეწველო - საფინანსო გეგმის აუცილებლად შესრულება, საგეგმო დავალებათა უზუსტესი შესრულება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლების საქმეში, რაციონალიზაციის უფრო გადაჭრით და გეგმაშეწონილად გატარება, წარმოებაში დაწუნებული პროდუქციის გამოშვებასთან და დანაკარგებთან ბრძოლა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მთელ რიგ დარგებში არსებულ ჩამორჩენათა ლიკვიდაცია.

6) სოფლის მეურნეობის მაშინიზაციისა და ტრაქტორიზაციის ყოველმხრივ განვითარება, საბჭოთა მეურნეობების ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულება, მტკიცე სამანქანო-სატრაქტორო ბაზის შექმნა გლეხურ მეურნეობათა მთლიანი კოლექტივიზაციისათვის მთელ საბჭოთა კავშირში.

7) ღონისძიებათა დაჩქარებით ჩატარება მესაქონლეობის აღდგენისა და განვითარებისათვის და საკვები პროდუქტების მწარმოებელი მრეწველობის გაშლისათვის სოფლის მეურნეობის სათანადო დარგების საფუძველზე.

8) შრომის რეალური ხელფასის დასახული გადიდების, მიმწოდებელი ქსელის მუშაობის გაუმჯობესების განხორციელება, განსაკუთრებით სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი სამეურნეო და ტეხნიკური კადრების პრობლემას, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით დასვა ცენტრალურმა კომიტეტმა და რომელიც იქცევა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ პრობლემად. მხოლოდ მთელი პარტიისა და მუშათა კლასის ძალების შემდგომი მობილიზაციით მუშათა კლასის წრიდან გამოსული კადრების მომზადების ამოცანის ირგვლივ, მხოლოდ გადამჭრელი გარდატეხით ამ სფეროში, შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების შემდგომი გატარება.

III. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს, რომელსაც ანხორციელებდა ცენტრალური კომიტეტი მე-15 ყრილობის დირექტივების საფუძველზე, ღრმა ცვლილებები შეაქვს კლასთა შეფარდებაში ჩვენი ქვეყნის შიგნით. ამ ცვლილებებს ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის რიცხვის ზრდასთან ერთად, მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერება ღარიბი და საშუალო გლეხობის მიმართ. ეკონომიურმა დაკავშირებამ მუშათა კლასსა და გლეხობის ძირითად მასებს შორის უმთავრესად საწარმოო ხასიათი მიიღო. პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკამ უზრუნველჰყო დანარჩენ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა წარმატებით გადასვლა მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედების ლიანდაგზე, მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელებაზე გადასვლა.

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად დაეცა კერძო კაპიტალის როლი. ხდება მისი შემდგომი განდევნა. გადაჭრით ძლიერდება საბჭოთა სახელმწიფოს [illegible]-მომწესრიგებელი როლი ჩვენი ქვეყნის მთელ სახალხო მეურნეობაში და სულ უფრო და უფრო ვრცელდება არა მარტო მრეწველობაზე, არამედ სოფლის მეურნეობაზედაც. ხორციელდება ლენინის მიერ დასახული ამოცანა, რომ „ნეპის რუსეთი" გადაიქცეს „სოციალისტურ რუსეთად".

სოციალისტური მშენებლობის ზრდამ და კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერებამ უშუალოდ გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში კულაკურ კაპიტალისტურ ელემენტების მხრივ და მათი გაფთრებული წინააღმდეგობის ცდები. მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მასების აქტივობის ზრდაზე დაყრდნობით და საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცებით პარტიამ დასძლია კონტრ-რევოლიუციონური საბოტაჟი და კულაკობის წინააღმდეგობა, წარმატებით ჩაატარა პურის დამზადება და დააგროვა პურის თვალსაჩინო სარეზერვო ფონდი. საშუალო გლეხთა მასების გადაჭრით მობრუნებამ სოციალიზმისაკენ პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგად განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვა მძლავრ საკოლმეურნეო მოძრაობაში, რომელიც 1929 წლის დამლევს მოედო მრავალ მილიონ გლეხურ მეურნეობებს. ამ მოძრაობამ გამოიწვია კლასობრივ ძალთა ახალი შეფარდება ჩვენს ქვეყანაში, კოლმეურნეობაში შემავალ საშუალო გლეხი გადააქცია საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად, შექმნა პირობები პურის კულაკური წარმოების საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების წარმოებით შეცვლისათვის. და საშუალება მისცა პარტიას კულაკობის შეზღუდვისა და განდევნისაგან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ამ ლოზუნგისას, რომელიც მოასწავებს მუშათა კლასის იერიშს კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელ ბურჯზე ჩვენს ქვეყანაში.

ყრილობა სავსებით სწორად სთვლის ცენტრალური კომიტეტის 5 იანვრის დირექტივებს კოლექტივიზაციის ტემპებისა და მასთან დაკავშირებული იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გულისხმობენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებსა და ოლქებში საშუალო გლეხობასთან მტკიცე კავშირის საფუძველზე.

მაგრამ ყრილობა აღნიშნავს, რომ მთელმა რიგმა საოლქო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უხეშად დაარღვიეს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები (მე-16 კონფერენციისა და ნოემბრის პლენუმის დადგენილებანი, 5 იანვრის გადაწყვეტილებანი, ამხ. სტალინის წერილი „დიდი გარდატეხის წელი") და აიღეს კურსი თავიანთი ოლქების კოლექტივიზაციაზე 1930 წლის გაზაფხულის კამპანიის განმავლობაში (მაშინ, როდესაც ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ლაპარაკი იყო ორი-სამი წლისა და მეტი ხნის შესახებ). ეს გეზი განსაკუთრებით შეუწყნარებელი და მავნე იყო სამომხმარებლო ზოლში და ჩამორჩენილ ნაციონალურ რესპუბლიკებში.

ასეთ შემცდარ და მავნე გეზს აუცილებლად უნდა გამოეწვია ის, რომ ლენინურ პოლიტიკას საშუალო გლეხის მიმართ დაეწყო შეცვლა ადმინისტრატიული ძალდატანების პოლიტიკით, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება ლენინიზმს.

ცენტრალური კომიტეტის დროულმა და მტკიცე მითითებებმა, რომლებიც მოცემულ იქნა მთელ რიგ დადგენილებებში და ამხ. სტალინის წერილებში, შეაჩერეს გადახვევების ტალღა და აიძულეს თავგასული გადამხვევები დაბრუნებოდნენ ლენინიზმის პოზიციებს.

ყრილობა გადაჭრით უკუაგდებს მემარჯვენე უკლონისტებისა და „მემარცხენე" გადამხვევების განცხადებებს, თითქოს საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახვევათა გამოსწორება მოასწავებდა პარტიის უკან დახევას გენერალური ხაზიდან.

ყრილობა მთლიანად იწონებს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას კოლმეურნეობებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, რომლებმაც თვალსაჩინოდ შეუწყვეს ხელი კოლმეურნეობათა განმტკიცებას და თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას, რომელშიაც საკოლმეურნეო სექტორმა გადამჭრელი როლი ითამაშა.

პარტიამ უნდა განაგრძოს ულმობელი ბრძოლა „მემარცხენე", საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახვევებთან, რომლებიც ამჟამად უფრო, ვიდრე ოდესმე, ხელს უწყობენ კულაკს და მემარჯვენე ოპორტუნიზმს.

მემარჯვენე ოპორტუნისტებმა, რომლებიც გადაჭრით ილაშქრებდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, სცადეს გამოეყენებინათ საკოლმეურნეო მოძრაობის სიძნელენი და საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახვევები ახალი იერიშისათვის ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ დროს ადგილი ქონდა მთელ რიგ ახალ გამოსვლებს, გაკოტრებული მემარჯვენე ოპორტუნისტების მხრივ, რომელნიც სცდილობდნენ სახელი გაეტეხათ პარტიის მთელი მუშაობისათვის კოლექტივიზაციის საქმეში და კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის კულაკობის ლიკვიდაციის საქმეში ქადაგებდნენ თვითდინებობის თეორიას საკოლმეურნეო მოძრაობაში და ლიკვიდატორულ დამოკიდებულებას იჩენდნენ პარტიის ძირითადი ლოზუნგებისადმი სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ ეტაპზე: მთლიანი კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგებისადმი.

პარტიამ დაამარცხა მემარჯვენე ოპორტუნისტები და უდიდეს წარმატებებს მიაღწია საკოლმეურნეო მოძრაობაში. პარტია მომავალშიაც ულმობლად ჩასცემს კოლექტივიზაციის საქმის ჩაშლის ყოველგვარ ცდებს მემარჯვენე ოპორტუნისტების მხრივ და ამისათვის მათ მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის სიძნელეთა გამოყენების ცდებს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა პარტიის მუშაობისათვის ამჟამად ეძლევა კოლმეურნეობებში ნებაყოფლობის საფუძველზე ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების შემდგომი ჩაბმის ამოცანას, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და კოლმეურნეობების შიგნით მოსავლის განაწილების პრობლემას, საკოლმეურნეო კადრების მომზადებისა და საკოლმეურნეო მასების კულტურული დონის ამაღლებას, კოლმეურნეობებს შიგნით წვრილ ბურჟუაზიული მერყეობის დაძლევას და კოლმეურნეობების, როგორც სოციალისტური მშენებლობისა და სოფლად მშენებლობის დასაყრდენი პუნქტის, ყოველმხრივი განმტკიცების პრობლემას.

პარტია მთელ თავის პრაქტიკულ მუშაობაში სოფლად უნდა ანხორციელებდეს კოლმეურნეზე დაყრდნობის ლოზუნგს და გადაჭრით უნდა ებრძოდეს ღარიბი და საშუალო გლეხის ინდივიდუალური მეურნეობის უყურადღებოდ დატოვების ან შეუფასებლობის ყოველგვარ ტენდენციებს, დახმარებას უნდა უწევდეს ამ მეურნეობას, ამაგრებდეს ღარიბ გლეხთა დამოუკიდებელ ორგანიზაციას საბჭოებში, კოოპერაციაში და საკოლმეურნეო მოძრაობის დაბალ საფეხურებში. უნდა აწარმოებდეს ფართო მუშაობას ინდივიდუალურ მეურნეთა შორის და აბამდეს მათ კოლმეურნეობებში.

IV. პარტიის ბუმბერაზული წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შესაძლებელი გახდნენ მხოლოდ მუშათა კლასისა და მასთან მხარდამხარ მიმავალი მშრომელი მასების იმ უდიდესი აქტივობის საფუძველზე, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა მუშათა შორის სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ განვითარებაში და პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოების —პარტიული, პროფკავშირული, საბჭოთა, და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის დაწყებაში იმათი ლოზუნგით, როგორც არის მასების მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის ბოლშევიკური ტემპებისათვის, სიძნელეთა გადალახვისათვის და იმისათვის, რომ პროფკავშირებმა პირი იბრუნონ წარმოებისაკენ, ხოლო საბჭოებმა—საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ.

პროფკავშირთა მუშაობის გარდაქმნის დროს პარტიას წინააღმდეგობა გაუწია საკავშირო პროფსაბჭოს წინანდელმა ხელმძღვანელობამ, რომელიც პროფაპარატის შიგნით აღვივებდა ოპორტუნისტულ ტრედიუნიონისტულ განწყობილებებს, აპოლიტიურობის, პარტიისაგან და სოციალისტური მეურნეობის მშენებლობისაგან მოწყვეტის განწყობილებებს და სცდილობდა პროფმოძრაობაში შეექმნა დასაყრდენი პუნქტი მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტებისათვის, მათ ბრძოლაში პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს იმ ზომებს, რომლებიც მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა პროფმოძრაობის ლენინურ-ბოლშევიკური ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად.

პარტიის წინაშე და საკავშირო პროფსაბჭოს ახალი ხელმძღვანელობის წინაშე სდგას ამოცანა—განაგრძონ და დაამთავრონ პროფკავშირების მობრუნება პირით წარმოებისაკენ, სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობისაკენ და მუშათა კლასის ჩამორჩენილ ფენებში წვრილ ბურჟუაზიული მერყეობის გადალახვისაკენ და მთელი ეს მუშაობა უაღრესად მჭიდროდ დაუკავშირონ მუშაობის გაძლიერებას მუშათა მომარაგების გაუმჯობესების, შრომის დაცვის, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში და პროფაპარატში არსებულ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

პარტიისა და პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საწარმოებში მომუშავე კომუნისტებისა და კომკავშირელების სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მოძრაობის უმაღლეს საფეხურზე აყვანა, კომუნისტების საწარმოო კვალიფიკაციის აწევა და პარტიული და პროფკავშირული მუშაობის სიმძიმის ცენტრის ნამდვილად გადატანა საამქროსა და ბრიგადაში.

მე-15 ყრილობამ სავსებით სწორად წამოაყენა რეკონსტრუქციის პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა—კულტურული რევოლიუციის პრობლემა. მაგრამ კულტურული მშენებლობის ტემპები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ სრულებით არასაკმაოა; ყრილობა მიაქცევს ყურადღებას ამ ტემპების გაძლიერების საჭიროებაზე. საყოველთაო სავალდებულო პირველ დაწყებითი სწავლისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გატარება უნდა გადაიქცეს პარტიის მებრძოლ ამოცანად უახლოესი პერიოდისათვის. პარტიამ უნდა განამტკიცოს და განავითაროს ის თვალსაჩინო წარმატებანი, რომლებიც მიღწეულ იქნა მასების რელიგიის რეაქციონური გავლენისაგან განთავისუფლების საქმეში.

ყრილობა აღნიშნავს პრესის, როგორც სოციალისტური მშენებლობის საქმეში მასების მობილიზაციის იარაღის, თვალსაჩინო ზრდას და ხარისხობრივ გაუმჯობესებას და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ზომები პრესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და მისი როლის გადიდებისათვის სოციალისტური შეტევის გაშლაში.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენს ქვეყანაში არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ანტისაბჭოთა ელემენტების აქტივიზაცია სახელმწიფო აპარატში. ყრილობა იწონებს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტრ. კომისიის მიერ მიღებულ ყველა ღონისძიებებს სახელმწიფო აპარატის წმენდისა და გაუმჯობესებისათვის და საჭიროდ სთვლის ბრძოლის გაძლიერებას ყოველგვარ ბიუროკრატიზმთან თვითკრიტიკის შემდგომი გატარების და აპარატში დაწინაურებულ მუშათა უფრო ფართოდ ჩაბმის საფუძველზე, პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოებისათვის საჭირო კადრების გაშლილი მომზადების, სახელმწიფო მართვა - გამგეობის საქმეში მუშათა მასიურად ჩაბმის ახალი ფორმების განვითარების, საბჭოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების და სხვ. საფუძველზე.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს პარტიის შემდგომ რიცხობრივ და ხარისხობრივ ზრდას, მისი სოციალური შემადგენლობის თვალსაჩინო გაუმჯობესებას. პარტიაში წარმოების მუშების გაძლიერებულ ჩაბმას (პარტიისაკენ მთელი საამქროებისა და ქარხნების ლტოლვა), პარტიული კადრებისა და ფართო პარტიული მასების იდეური დონის ამაღლებას, პარტმუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განმტკიცებას, პარტიის ყველა საფეხურებში პროლეტარული თვითკრიტიკის წარმატებით გაშლას, პარტიის წმენდის წარმატებით ჩატარებას უცხო, გახრწნილი და მოტმასნილი ელემენტებისაგან.

პარტიული კადრების თვალსაჩინო ნაწილის იდეურ - პოლიტიკური დონე ჯერ კიდევ საკმაო არ არის, რაც დაამტკიცა საშუალო გლეხის საწინააღმდეგო გადახვევების მრავალრიცხოვანმა ფაქტებმა. მთელი სიმწვავით სდგას პარტიული კადრების, განსაკუთრებით სოფლისათვის, განმტკიცებისა და მომზადების ამოცანა. პარტიის ზრდა მუშების ხარჯზე საწარმოთა ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ არის საკმაო. საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა პარტიაში მუშების ჩასაბმელად, განსაკუთრებით მსხვილ საწარმოებში.

მიუხედავად კადრების და ახალგაზრდობის როლის ზრდისა წარმოებაში, მათ შორის მუშაობას დღემდე საკმაო ყურადღება არ ექცევა. სუსტია ქალთა შორის მუშაობა სოფლად, რამაც ცხადად იჩინა თავი კოლექტივიზაციის გატარების დროს. ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციებს გააძლიერონ თავიანთი მუშაობა მშრომელ ქალთა ფართო მასების მობილიზაციისათვის, განსაკუთრებით სოფლად, სოციალისტური მშენებლობის გაშლისათვის. ყრილობა აღნიშნავს მიღწევებს კომკავშირის მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის საქმეში და ფიქრობს, რომ ახალგაზრდობაში კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდა მოითხოვს ყურადღებისა და დახმარების გაძლიერებას პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

თვითკრიტიკა, როგორც პარტმუშაობის ყოველდღიური ორგანიული მეთოდი, ყველა ორგანიზაციებში არ არის საკმაოდ გაშლილი. ჯერ კიდევ ადგილი აქვს თვითკრიტიკის ჩახშობისა და დამახინჯების ფაქტებს. ასეთ ფაქტებთან საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა პარტიული კადრებისა და პარტიული მასების ბოლშევიკური აღზრდის იდეური დონის ამაღლებისათვის, პარტიული ხაზის დამახინჯებების და პრაქტიკაში არსებული ოპორტუნიზმის გამოაშკარავებისათვის და შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაშლისათვის.

სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის ფართოდ გაშლილი პროცესი განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს სოფლის პარტიული ორგანიზაციის განმტკიცების ამოცანას. ამ ორგანიზაციის რიცხობრივი და ხარისხობრივი განმტკიცება, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში ძლიერი პარტიული უჯრედების შექმნა, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების გადაქცევა სოფლად პარტმუშაობის დასაყრდენ პუნქტებად, პარტიაში სასოფლო - სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეების და საუკეთესო კოლმეურნეების ჩაბმა, კოლმეურნეობებში ღარიბ გლეხთა, ქალთა და ახალგაზრდობის შორის მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება იქცევა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის წარმატებითი მუშაობის აუცილებელ წინასწარ პირობად.

ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას ოლქების გაუქმებისა და რაიონის, როგორც სოფლად სოციალისტური მშენებლობის ძირითადი საფეხურის, გამაგრების შესახებ. რამაც უნდა გამოიწვიოს პარტიულ-საბჭოთა აპარატის გადაჭრით მიახლოვება სოფელთან, კოლმეურნეობებთან, მასებთან. ამ ღონისძიებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციის განმტკიცებისათვის სოფლად და აგრეთვე ცენტრალური კომიტეტისა და ოლქის კავშირის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის ადგილებთან. ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს გაატაროს ოლქების ლიკვიდაციასთან და რაიონების გამაგრებასთან დაკავშირებული ყველა პრაქტიკული ღონისძიებანი.

V. პარტიამ სოციალისტური მშენებლობის უდიდეს მიღწევებს მიაღწია პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების წყალობით, ულმობელი გადამჭრელი ბრძოლის წყალობით ორ ფრონტზე — ტროცკიზმისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ და მემარჯვენე გადახრის, როგორც ეხლანდელ ეტაპზე მთავარი საფრთხის, და მემარჯვენე გადახრისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ.

მხოლოდ ორ ფრონტზე ბრძოლამ გამოიწვია სრული გამოაშკარავება მემარჯვენე გადახრისა, რომელიც მთლიანად დაეშვა კონტრ-რევოლიუციონურ მენშევიკურ პოზიციებზე. მაგრამ პარტიაში კვლავ არსებობენ შემარიგებელი განწყობილებანი ტროცკიზმისადმი, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოხატულებას პოულობს საშუალო გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის შეუფასებლობაში. პარტია შემდეგშიაც უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ამ განწყობილებებთან.

ტროცკიზმის იანადგურების შემდეგ პარტია შეხვდა ოპორტუნიზმის ახალ გამოხატულებას მემარჯვენე გადახრის სახით (ამხ. ბუხარინის ჯგუფი). მემარჯვენე გადახრამ გენერალურ ხაზს დაუპირისპირა თავისი აშკარა ოპორტუნისტული ხაზი. მემარჯვენე უკლონისტების ხაზს მივყევართ კაპიტულიაციისაკენ ჩვენი ქვეყნის კულაკურ - კაპიტალისტური ელემენტების წინაშე. მემარჯვენე უკლონისტების, რომელნიც ობიექტიურად კულაკობის აგენტურას წარმოადგენენ, ხაზის განხორციელება, იქნებოდა სოციალიზმის მშენებლობის ჩაშლის და ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის მომასწავებელი. კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მთელ ფრონტზე გაშლილი შეტევის პერიოდში მემარჯვენე გადახრა იყო და რჩება მთავარ საფრთხედ პარტიისათვის.

ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის მიერ ტროცკიზმთან და მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში მიღებულ ღონისძიებებს, რომლებმაც უზრუნველჰყვეს პარტიის მთლიანობის ნამდვილად შენარჩუნება, გენერალური ხაზის გატარება და პარტიის შემჭიდროება ლენინიზმის საფუძველზე.

ყრილობა მთელი პარტიის ყურადღებას მიაპყრობს იმაზე, რომ ყველა ჯურის ოპორტუნისტები, განსაკუთრებით მემარჯვენენი, მიმართავენ ახალ მანევრს, რომელიც გამოიხატება თავიანთი შეცდომების ფორმალურად აღიარებაში და პარტიის გენერალურ ხაზთან ფორმალურ თანხმობაში, ხოლო ამ აღიარებას არ ამტკიცებენ გენერალური ხაზისათვის მუშაობით და ბრძოლით, რაც სინამდვილეში მოასწავებს მხოლოდ გადასვლას აშკარა ბრძოლიდან პარტიის წინააღმდეგ ფარულ ბრძოლაზე ან უფრო ხელსაყრელი მომენტის მოლოდინს პარტიაზე იერიშის განახლებისათვის.

პარტიამ ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ასეთ ორპიროვნობასა და მოტყუებას და მოითხოვოს ყველასაგან, ვინც თავის შეცდომებს აღიარებს, — პარტიის გენერალური ხაზის აქტიურად დაცვით დაამტკიცოს თავისი აღიარების გულწრფელობა. ამ მოთხოვნის არ შესრულებამ უნდა გამოიწვიოს უაღრესად გადამჭრელი საორგანიზაციო ზომების მიღება.

ყრილობა მემარჯვენე ოპოზიციის შეხედულებებს აცხადებს საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრობასთან შეუთავსებლად.

ყრილობა აღნიშნავს, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, პარტიის რიგებში ნაციონალური გადახრების აქტივიზაციას დიდმპყრობელური და ადგილობრივი შოვინიზმისაკენ.

ეხლანდელ ეტაპზე მთავარ საფრთხეს წარმოადგენს დიდმპყრობელური გადახრა, რომელიც სცდილობს რევიზია გაუკეთოს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლებს და ინტერნაციონალიზმის დროშით ფარავს წინად გაბატონებული ველიკორუსი ერის ღრმომოქმული კლასების მისწრაფებას — დაიბრუნონ დაკარგული პრივილეგიები.

ამასთან ერთად აქტივობას იჩენს გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, რაც ასუსტებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთობას და ხელს უწყობს ინტერვენციას. პარტიამ უნდა გააძლიეროს ბრძოლა ორივე გადახრასთან ნაციონალურ საკითხში და მასთან შემარიგებლობასთან და ამავე დროს მეტი ყურადღება მიაქციოს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკულად გატარებას, ნაციონალური უთანასწორობის ელემენტების მოსპობას და ნაციონალური კულტურების ფართოდ განვითარებას საბჭოთა კავშირში.

მე-16 ყრილობა სცნობს, რომ ჩვენი პარტიის ც.კ-მა, ახალი ისტორიული ბრძოლებისთვის ლენინელთა რიგების შემჭიდროებასთან ერთად, მომავალშიაც უნდა უკუაგდოს ყოველგვარი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ შეარყიონ ლენინური პარტიის ფოლადისებური პარტიული დისციპლინა და მთლიანობა და ძირი გამოუთხარონ ამ დისციპლინას და მთლიანობას.

მე-16 ყრილობა ავალებს პარტიის ც.კ-ს შემდეგშიაც უზრუნველჰყოს სოციალისტური მშენებლობის მიმძღოლი ბოლშევიკური ტემპები, მიაღწიოს ხუთწლედის ნამდვილად შესრულებას ოთხ წელიწადში, განუხრელად გაატაროს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე მთელ საბჭოთა კავშირში.

ყრილობა ურყევ რწმენას გამოსთქვამს, რომ ლენინიზმის დროშის ქვეშ მუშათა და კოლმეურნეთა მილიონების შემჭიდროებით და კლასობრივი მტრების წინააღმდეგობის დათრგუნვით საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) წაიყვანს მასებს გაშლილ სოციალისტურ შეტევაში და უზრუნველჰყოფს სოციალიზმის გამარჯვებას საბჭოთა კავშირში.

ყრილობა ურყევ რწმენას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერების ამაღლებით და კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნების მუშებთან და მშრომელებთან ძმური კავშირის განმტკიცებით საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის დასაყრდენის, განმტკიცებას.

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილებას საბჭოთა კავშირში!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა

ცეკას საანგარიშო მოხსენების გარშემო გამართული კამათის შემდეგ, იმის შემდეგ, რაც ყრილობაზე მოხდა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების გამოსვლასთან დაკავშირებით, მე ბევრი არაფერი დამრჩენია სათქმელი ჩემს საბოლოო სიტყვაში.

ჩემი მოხსენების დასაწყისში მე ვსთქვი, რომ XVI პარტყრილობა ეკუთვნის იმ ყრილობათა მცირე რიცხვს ჩვენი პარტიის ისტორიაში, რომელზედაც არ არის რამდენიმედ ჩამოყალიბებული ოპოზიცია, ოპოზიცია, რომელიც შესძლებდა თავისი საკუთარი ხაზის წამოყენებას და მის დაპირისპირებას პარტიის ხაზისათვის. ეს მართლაც ასე გამოვიდა სინამდვილეში. ჩვენს ყრილობაზე, პარტიის მე-XVI ყრილობაზე, არ აღმოჩნდა არა თუ ჩამოყალიბებული ოპოზიცია, არამედ არ აღმოჩნდა უმნიშვნელო ჯგუფიც ან ცალკე ამხანაგებიც კი, რომლებიც კანონიერად ჩასთვლიდნენ აქ გამოსვლას ტრიბუნაზე და იმის თქმას, რომ პარტიის ხაზი არ არის სწორი. აშკარაა, რომ ჩვენი პარტიის ხაზი არის ერთად-ერთი სწორი ხაზი და ამავე დროს ეს გარემოება იმდენად ნათელი და უდავოა, რომ თვით მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებმაც კი საჭიროდ სცნეს უყოყმანოდ აღნიშნონ თავის გამოსვლებში პარტიის მთელი პოლიტიკის სისწორე.

გასაგებია, რომ ყოველივე ამის შემდეგ, საჭირო აღარ არის სიტყვის გაგრძელება იმ დებულებათა სისწორის შესახებ, რომლებიც განვითარებული იყო საანგარიშო მოხსენებაში. საჭირო არ არის, ვინაიდან, პარტიის ხაზი, მისი უდავო სისწორის გამო ამ ყრილობაზე არ საჭიროებს შემდგომ დაცვას. და თუ მიუხედავად ამისა, მე უარი არ ვსთქვი საბოლოო სიტყვაზე, ეს იმიტომ, რომ, ჩემის აზრით, ზედმეტი არ იქნება მოკლედ პასუხის გაცემა ზოგიერთ ბარათებზე, რომლებიც ამხანაგებმა პრეზიდიუმს გადასცეს და შემდეგ რამდენიმე სიტყვის თქმა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების გამოსვლასთან დაკავშირებით.

ბარათების უმრავლესობა ეხება ზოგიერთ მეორეხარისხოვან საკითხებს: „რატომ არაფერი არ ითქვა საანგარიშო მოხსენებაში მეცხენეობაზე — არ შეიძლება, რომ საბოლოო სიტყვაში შეეხოთ მას?" (სიცილი). „რატომ არ იყო აღნიშნული საანგარიშო მოხსენებაში საბინაო მშენებლობა — არ შეიძლება, რომ ამის შესახებ სთქვათ რამე საბოლოო სიტყვაში?" „რატომ არაფერი არ სთქვით საანგარიშო მოხსენებაში სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის შესახებ — არ შეიძლება, რომ სთქვათ რამე ამის შესახებ საბოლოო სიტყვაში" და ასე შემდეგ.

მე უნდა ვუპასუხო ამ ამხანაგებს, რომ ჩემს მოხსენებაში არ შემეძლო შევხებოდი სახალხო მეურნეობის ყველა საკითხებს და არა თუ არ შემეძლო არამედ არც მქონდა უფლება, რადგან არ მაქვს უფლება შევეჭრა ამხ. კუიბიშევის და იაკოვლევის მოხსენებების სფეროში; აღნიშნული ამხანაგები მოგახსენებენ თქვენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტულ პრობლემებზე. მართლაც, ცეკას მოხსენებაში რომ ყველა საკითხებს შევეხოთ, მაშინ რაზე უნდა ილაპარაკონ მომხსენებლებმა თავიანთ მოხსენებებში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვ. შესახებ (ხმები: „მართალია").

კერძოთ იმ ბარათის შესახებ, რომელიც ეხება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას, მე უნდა შევნიშნო, რომ ამ ბარათის ავტორი ზოგიერთ შეცდომებს უშვებს. ის გვარწმუნებს, რომ ჩვენ „მჭიდროთ დავუახლოვდით" სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციას, რომ მიწსახკომი ხელს არ უწყობს ამ საქმის განვითარებას, რომ ლენინი ამაზე სხვანაირად ფიქრობდა და სხვ. ყველა ამ დებულებათაგანი არ არის მართალი, ამხანაგებო. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ „მჭიდროთ დავუახლოვდით" სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმეს. ჩვენ რომ მართლაც „მჭიდროთ ვიყოთ დაახლოვებული" სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციასთან, მაშინ ჩვენ ეხლა უკვე გვექნებოდა 10-15 რაიონი ელექტროფიკაციაქმნილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებით. მაგრამ თქვენ კარგათ იცით, რომ არაფერი ამდაგვარი ჩვენ ჯერ არა გვაქვს.

ყველა ის, რისი თქმაც შეიძლება ეხლა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაზე, ეს არის ის, რომ ელექტროფიკაცია ჩვენში იმყოფება საცდელი დამუშავების სტადიაში. ლენინი სწორედ ასე [illegible] ამ საქმეს და იწონებდა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ცდებს. ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ ტრაქტორებმა უკვე მოსჭამეს თავისი დრო და დადგა დრო ტრაქტორებიდან გადავიდეთ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაზე. ეს, რასაკვირველია, სისულელეა, ფანტასტიკაა. ასეთ ამხანაგებს უკან უნდა დავახევინოთ, მიწსახკომი სწორედ ასე ექცევა ამ ამხანაგებს. მაშასადამე, ბარათის ავტორის უკმაყოფილება მიწსახკომით არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს.

ნაციონალური საკითხების სწორად გაგებისათვის

ბარათების მეორე ჯგუფი ეხება ნაციონალურ საკითხს. ერთ-ერთი ბარათი, რომელსაც მე ყველაზე უფრო საინტერესოდ ვთვლი, ადარებს ნაციონალური ენების პრობლემის განმარტებას ჩემს მოხსენებაში მე-16 ყრილობაზე იმ განმარტებას, რომელიც მოცემული იყო ჩემს გამოსვლაში აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში 1925 წელს; და სთვლის, რომ აქ არის რაღაცა გაურკვევლობა, რომელიც განმარტებული უნდა იქნესო.

თქვენ — ამბობს ბარათი — მაშინ ილაშქრებდით კაუცკის თეორიის წინააღმდეგ ნაციონალური ენების სიკვდილისა და ერთი საერთო ენის შექმნის შესახებ (ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში), ეხლა კი თქვენს მოხსენებაში მე-16 ყრილობაზე აცხადებთ, რომ კომუნისტები მომხრე არიან ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების ერთ საერთო კულტურაში გაერთიანებისა, რომელსაც ექნება ერთი საზოგადო ენა (სოციალიზმის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების პერიოდში) — ხომ არ არის აქ გაურკვევლობა?"

მე ვფიქრობ, რომ აქ არ არის არც გაურკვევლობა, არც რაიმე წინააღმდეგობა. ჩემს გამოსვლაში 1925 წელს მე ვილაშქრებდი კაუცკის ნაციონალ - შოვინისტურ თეორიის წინააღმდეგ, რომლის თანახმად პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებას გასული საუკუნის ნახევაში გაერთიანებულ ავსტრო-გერმანულ სახელმწიფოში უნდა გამოეწვია ერების გაერთიანება ერთ გერმანულ ერში, ერთი საერთო გერმანული ენით, და ჩეხების გაგერმანელება. მე ვილაშქრებდი ამ თეორიის წინააღმდეგ როგორც ანტი-მარქსისტულის, ანტი-ლენინურ თეორიის წინააღმდეგ და ვეყრდნობოდი ფაქტებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირში, რაც უარყოფდა ამ თეორიას.

მე ეხლაც ვილაშქრებ ამ თეორიის წინააღმდეგ, როგორც ეს სჩანს ჩემი საანგარიშო მოხსენებიდან, ამ მე-16 ყრილობაზე. ვილაშქრებ, რადგან თეორია ყველა ერების გაერთიანებისა, ვსთქვათ საბჭოთა კავშირში, ერთ საერთო ველიკორუსულ ერში ერთი საერთო ველიკორუსული ენით, არის — ნაციონალ-შოვინისტური თეორია, ანტილენინური თეორია, რომელიც ეწინააღმდეგება (გამოტოვებულია). განსხვავებები ვერ მოისპობა უახლოეს პერიოდში, რადგან ისინი ჯერ კიდევ დიდხანს უნდა დარჩნენ. უნდა დარჩნენ პროლეტარული რევოლიუციის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი. რაც შეეხება ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების უფრო შორეულ პერსპექტივას, მე ყოველთვის იმ ლენინურ აზრს ვადექი და ეხლაც ვადგივარ, რომ სოციალიზმის საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვების პერიოდში, როდესაც სოციალიზმი განმტკიცდება და შევა ყოფა-ცხოვრებაში ნაციონალური ენები აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ ერთ საყოველთაო ენაში, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ რაღაც ახალი. ამის შესახებ მე აგრეთვე გარკვევით განვაცხადე ჩემს მოხსენებაში მე-16 ყრილობაზე.

სად არის აქ გაურკვევლობა, რისი განმარტებაა აქ საჭირო? —

როგორც სჩანს, ბარათის ავტორებს სავსებით შეგნებული არ აქვთ ყოველ შემთხვევაში ორი რამ.

მათ, უპირველეს ყოვლისა, შეგნებული არ აქვთ ის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შევედით ამ პერიოდში, ერები არა თუ არ კვდებიან, არამედ, პირიქით, ვითარდებიან და აყვავებას იწყებენ.

მართლაც, შევედით თუ არა ჩვენ უკვე სოციალიზმის პერიოდში? ჩვენს პერიოდს ჩვეულებრივ უწოდებენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალ პერიოდს. ის გარდამავალი პერიოდი ეწოდებოდა 1918 წელში, როდესაც ლენინმა თავის ცნობილ ბროშურაში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები" პირველად დაახასიათა ეს პერიოდი მისი ხუთი სამეურნეო ცხოვრების საფეხურით. მას გარდამავალი პერიოდი ეწოდება ეხლაც — 1930 წელში, როდესაც ზოგიერთი ეს საფეხურები, როგორც დაძველებული, იძირება, ერთ-ერთი საფეხური კი, სახელდობრ ახალი საფეხური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში იზრდება და ვითარდება გაუგონარი სისწრაფით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ორი გარდამავალი პერიოდი ერთნაირია, რომ ისინი ძირიანად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

აშკარაა, რომ არ შეიძლება. რა გვქონდა ჩვენ 1918 წელში სახალხო მეურნეობის დარგში? დანგრეული მრეწველობა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების უქონლობა, როგორც მასიური მოვლენა და „ახალი" ბურჟუაზიის ზრდა ქალაქში და კულაკების ზრდა სოფლად. რა გვაქვს ჩვენ ეხლა? აღდგენილი, რეკონსტრუქციაქმნილი სოციალისტური მრეწველობა და განვითარებული სისტემა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისა, რომლებსაც ყველა ნათესების 40-ზე მეტი პროცენტი აქვთ სოფლად საბჭოთა კავშირში მარტო გაზაფხულის ნათესების მხრივ. იქაც — გარდამავალი პერიოდი. აქაც — გარდამავალი პერიოდი. და მაინც ისინი ძირიანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა მიწისაგან. და მაინც არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ჩვენ ვდგევართ უკანასკნელი სერიოზული კაპიტალისტური კლასის — კულაკების კლასის ლიკვიდაციის წინაშე. აშკარაა, რომ ჩვენ უკვე გამოვედით გარდამავალი პერიოდიდან მისი ძველი გაგებით, შევედით ყველა ფრონტებზე ფართოდ გაშლილ სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში. აშკარაა, რომ ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში რადგან ეხლა სოციალისტურ სექტორს თავის ხელში უჭირავს მთელი სახალხო მეურნეობის ყველა სამეურნეო ბერკეტები, თუმცა სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე და კლასობრივ განსხვავებათა მოსპობამდე ჯერ კიდევ შორსაა. და მაინც, მიუხედავად ამისა, ეროვნული ენები არა თუ არ კვდებიან, და არ ერთიანდებიან ერთ საერთო ენაში, არამედ პირიქით, ნაციონალური კულტურები და ნაციონალური ენები ვითარდებიან და აყვავებას იწყებენ. განა აშკარა არ არის, რომ თეორია ეროვნული ენების სიკვდილისა და მათი გაერთიანება ერთ საყოველთაო ენაში ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ფართოდ გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში არის შემცდარი, ანტიმარქსისტული და ანტი ლენინური თეორია?

მეორე, — ბარათის ავტორებმა ვერ შეიგნეს, რომ ნაციონალური ენების სიკვდილის და მათი ერთ საერთო ენაში გაერთიანების საკითხი არის არა შინასახელმწიფოებრივი საკითხი, არის საკითხი არა სოციალიზმის გამარჯვებისა ერთ ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო საკითხი, საკითხი სოციალიზმის გამარჯვებისა საერთაშორისო მასშტაბით. ბარათის ავტორებმა ვერ გაიგეს, რომ არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში და სოციალიზმის გამარჯვება საერთაშორისო მასშტაბით. ლენინი ტყუილა კი არ ამბობდა, რომ ეროვნული განსხვავება ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება იმის შემდეგაც კი, როდესაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს საერთაშორისო მასშტაბით. ამას გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც კავშირი აქვს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ერებთან.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედის უკრაინა, მაგრამ არის სხვა უკრაინაც, რომელიც შედის სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არის ბელორუსია. მაგრამ არის სხვა ბელორუსიაც, სხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში. ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ უკრაინულ და ბელორუსულ ენების საკითხი შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს ამ თავისებური პირობების გაუთვალისწინებლად?

აიღეთ შემდეგ საბჭოთა კავშირის ერები, რომლებიც მოსახლეობენ მის სამხრეთ-საზღვარზე—ადერბეიჯანიდან კაზაკისტანამდე და ბურ.-ტ-მონღოლეთამდე. ყველა ისინი იმავე მდგომარეობაში არიან, როგორც უკრაინა და ბელორუსია. გასაგებია, რომ აქაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ეროვნებათა განვითარების თავისებური პირობები. განა აშკარა არ არის, რომ ყველა ეს და მათი მსგავსი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ნაციონალური კულტურების და ნაციონალური ენების პრობლემასთან, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, საბჭოთა კავშირის ფარგლებში?

აი რა მდგომარეობაა ნაციონალური საკითხის მხრივ, საერთოდ და, კერძოდ, ზემოაღნიშნულ ბარათის მხრივ ეროვნულ საკითხზე.

რას მოვითხოვთ მემარჯვენე ოპოზიციისაგან

ნება მომეცით ეხლა გადავიდე მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადების გამოსვლაზე. რას მოითხოვს ყრილობა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადებისაგან? შეიძლება მონანიებას? თვითგვაკიცხვას? რასაკვირველია, არა. არასოდეს ჩვენი პარტია და ჩვენი პარტიის ყრილობა არ მივლენ იქამდე, რომ მოითხოვონ პარტიის წევრებისაგან ისეთი რამ, რასაც შეუძლია მათი დამცირება. ყრილობა მოითხოვს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადებისაგან სამ რამეს:

პირველი, რათა ისინი მიხვდნენ, რომ პარტიის ხაზსა და იმ ხაზს შორის, რომელსაც ისინი იცავდნენ უფსკრული ძევს, რომ ხაზს, რომელსაც ისინი იცავდნენ, ობიექტიურად მივყევართ არა სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, არამედ კაპიტალიზმის გამარჯვებისაკენ (ხმები: „სწორია"). მეორე,—რათა მათ დაგმონ ეს ხაზი, როგორც ანტილენინური და გაემიჯნონ მისგან აშკარად და პატიოსნად. (ხმები: „სწორია"). და, მესამე, რათა ჩვენთან მხარდამხარ დადგნენ და ჩვენთან ერთად გადამჭრელი ბრძოლა აწარმოონ ყველა და ყოველგვარი მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ. (ხმები: „სწორია") (მქუხარე ტაში).

აი რას მოითხოვს ყრილობა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერებისაგან.

არის თუ არა ამ მოთხოვნებში რაიმე დამამცირებელი მათთვის, როგორც ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ ბოლშევიკებად დარჩნენ? აშკარაა, რომ აქ არ არის და არ შეიძლება იყოს რაიმე დამამცირებელი. თვითეული ბოლშევიკი, თვითეული რევოლიუციონერი, თვითეული პარტიული, რომელიც თავისთავს პატივს სცემს, მიხვდება, რომ ის პარტიის თვალში მხოლოდ ამაღლდება და მოიგებს, თუ აშკარად და პატიოსნად აღიარებს ნათელ, უდაო ფაქტებს.

აი, რატომ ვფიქრობ მე, რომ ამხ. ტომსკის ლაპარაკი იმაზე, რომ იგი სურთ გაგზავნონ გობის უდაბნოში და აიძულონ ველური თაფლი ჭამოს, არის პროვინციალურ-ვოდევილური ხასიათის ლათაიები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო რევოლიუციონერის ღირსების საკითხთან. (სიცილი, ტაში).

შეიძლება იკითხონ: ყრილობა კვლავ რატომ უყენებს ამ მოთხოვნებს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს? განა ეს ფაქტი არ არის, რომ ეს მოთხოვნები უკვე წაყენებული იყო 1929 წლის ნოემბერში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე? განა ეს ფაქტი არ არის, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებმა მაშინ მიიღეს ეს მოთხოვნები და ხელი აიღეს თავის ხაზზე, სცნეს ის შემცდარად, აღიარეს პარტიის ხაზის სისწორე და დაპირება მოგვცეს, რომ პარტიასთან ერთად ბრძოლას აწარმოებდნენ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ? დიახ, ყველაფერი ეს იყო. მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მათ არ შესრულეს თავისი დაპირება, არ შესრულეს და არ ასრულებენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც შვიდი თვის წინად მოგვცეს. (ხმები: სწორია). ამხ. უგლანოვი სავსებით მართალი იყო, როცა მან თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მათ არ შეასრულეს თავისი ვალდებულებანი, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმს მისცეს. აი წყარო უნდობლობისა, რომელსაც ისინი ახლა ამ ყრილობაზე ხვდებიან. აი, რატომ ყრილობა კვლავ უდგენს მათ თავის მოთხოვნებს.

ამხ. რიკოვი, ტომსკი და უგლანოვი აქ ჩიოდენ, რომ ყრილობა მათ უნდობლად ექიდება. მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? დამნაშავე თვითონ ისინი არიან. ვინც თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, მან არ შეუძლია ნდობის იმედი იქონიოს.

ქონდათ თუ არა მათ—მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს—შესაძლებლობანი და შემთხვევები შეესრულებიათ თავისი დაპირება და წარსულისათვის ჯვარი დაესვათ? რა თქმა უნდა, ქონდათ. მაგრამ რა გააკეთეს მათ შვიდი თვის განმავლობაში, რომ ეს შესაძლებლობანი და შემთხვევები გამოეყენებინათ?—არაფერი.

ამ ცოტა ხნის წინად ამხ. რიკოვი იყო ურალის კონფერენციაზე. მაშასადამე, მას ქონდა მეტად ხელსაყრელი შემთხვევა თავისი შეცდომები გამოესწორებინა. მაგრამ რა მოხდა? იმის ნაცვლად, რომ აშკარად და გადაჭრით დაეგმო თავისი მერყეობანი, იქ მან ყალთაბანდობას და მანევრებს მიმართა. გასაგებია, რომ ურალის კონფერენციამ არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობა არ გაეწია. შეადარეთ ახლა ამხ. რიკოვის სიტყვა ურალის კონფერენციაზე მის სიტყვასთან მე-16 ყრილობაზე. მათ შორის უფსკრულია. იქ ის ყალთაბანდობს, ებრძვის ურალის კონფერენციას, აქ ის ცდილობს აშკარად და ყველას გასაგონათ აღიაროს თავისი შეცდომები, ცდილობს გაიმიჯნოს მემარჯვენე ოპოზიციისაგან და გაპირდება, რომ პარტიას მხარს დაუჭერს გადახრებთან ბრძოლაში. საიდანაა ასეთი ცვლილება, რით აიხსნება ეს? ეს აიხსნება, ალბად, იმ საშიში მდგომარეობით, რომელიც პარტიაში შეიქნა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებისათვის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყრილობამ შეიქმნა გარკვეული შთაბეჭდილება: სანამ არ დაჭერ ამ ადამიანებს, მათგან ვერაფერს მიიღებ.

ქონდა თუ არა ამხ. უგლანოვს შესაძლებლობა შეესრულებია თავისი დაპირება, რომელიც მან ცენტრალურ კომიტეტის ნოემბრის პლენუმს მისცა? დიახ, ქონდა. მე მხედველობაში მაქვს უპარტიო კრება ქარხანაში „მოსელექტრიკ", სადაც ის ამას წინად გამოვიდა. რა მოხდა? იმის მაგივრად, რომ გამოსულიყო, როგორც ეს ბოლშევიკს შეეფერება, ის შეუდგა პარტიის ხაზის გაშავებას. თავისთავად ცხადია, რომ ამისათვის ქარხნის უჯრედისა-

(გაგრძელება იხილე მე-2 გვერდზე)

ვან მან საკადრისი პასუხი მიიღო. ახლა შეადარეთ ეს მისი გამოსვლა მისივე განცხადებას, რომელიც დღეს „პრავდა“-ში დაიბეჭდა. მათ შორის უფსკრულია. რით აიხსნება ეს ცვლილება? იმ საშიში მდგომარეობით, რომელიც მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების გარშემო შეიქმნა. რა არის აქ გასაკვირი, თუ ყრილობამ აქედან გარკვეული გაკვეთილი გამოიტანა: თუ არ დააჭერ ამ ადამიანებს, ისე მათგან ვერაფერს მიიღებ. (საერთო სიცილი. ტაში).

ან, მაგალითად, აიღეთ ამხ. ტომსკი. ამ ცოტა ხნის წინად ის იყო თბილისში, ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე. მაშასადამე, მას შემთხვევა ქონდა თავისი ცოდვები მოენანიებია. მაგრამ რა მოხდა? თავის სიტყვაში იგი შეეხო საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, კოოპერაციას, კულტურულ რევოლიუციას და ყოველივე ასეთ საკითხებს, მაგრამ მთავარზე, ე. ი. საკავშირო პროფსაბჭოში თავის ოპორტუნისტულ მუშაობაზე მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს. და მას ეწოდება პარტიისათვის მიცემულ ვალდებულებათა შესრულება. მან მოისურვა პარტიის მოტყუება. ვერ მიხვდა, რომ მილიონები უყურებენ თვითეულ ჩვენგანს და აქ არავის მოტყუება არ შეიძლება. და შეადარეთ ახლა მისი გამოსვლა თბილისში გამოსვლასთან ამ ყრილობაზე, სადაც მან პირდაპირ და აშკარად აღიარა თავის ოპორტუნისტული შეცდომები საკავშირო პროფსაბჭოს ხელმძღვანელობის დარგში. მათ შორის უფსკრულია. რით აიხსნება ეს განსხვავება? იმავე საშიშ მდგომარეობით, რომელიც შეიქმნა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების გარშემო. რა გასაკვირია, თუ ყრილობა შეეცადა როგორც საჭიროა დაეჭირა ამ მახანაგებისათვის, რათა მიეღწია მათ მიერ ვალდებულებათა შესრულებისათვის (ტაში. მთელი დარბაზის საერთო სიცილი).

აი სადაა იმ უნდობლობის წყარო, რომელსაც ამ ამხანაგებისადმი ყრილობა ჯერ კიდევ იჩენს.

რით აიხსნება მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, ახირებული ქცევა?

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ისინი განვლილი პერიოდის განმავლობაში ერთხელაც არ შეეცადნენ ნებაყოფლობით, გარედან ზეგავლენის მოუხდენლად შეესრულებიათ თავიანთი ვალდებულებანი.

ეს აიხსნება, ყოველ შემთხვევაში, ორი გარემოებით.

პირველი, იმით, რომ ისინი ჯერ კიდევ სავსებით არ იყვნენ დარწმუნებული პარტიის ხაზის სისწორეში, განაგრძობდნენ ერთგვარ ფრაქციულ მუშაობას, უცდიდნენ ხელსაყრელ შემთხვევას, რათა კვლავ აშკარად გამოსულიყვნენ პარტიის წინააღმდეგ. ისინი თავს იყრიდნენ ფრაქციულ კრებებზე, მსჯელობდნენ პარტიულ საკითხებზე და ჩვეულებრივ დასძენდნენ: დავიცადოთ გაზაფხულამდე, ვინიცობაა პარტია დამარცხდება თესვის კამპანიასთან დაკავშირებით და მაშინ დავსცხოთ როგორც საჭიროაო. მაგრამ გაზაფხული მათ არავითარ შანსებს არ აძლევდა, ვინაიდან თესვა ხელსაყრელად მიმდინარეობდა. მაშინ ისინი კვლავ დასძენდნენ—მოვიცადოთ შემოდგომამდე. ვინიცობაა პარტია დამარცხდება პურის დამზადების საქმეში და მაშინ დავსცხოთ ცენტრალურ კომიტეტსო. მაგრამ შემოდგომამაც მათ მშრალზე ტოვებდა. და რადგან გაზაფხული და შემოდგომა ყოველ წელიწადში მეორდებიან. მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები განაგრძობდნენ ლოდინს და თავის იმედებს კვლავ ამყარებდნენ ან გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. (მთელი დარბაზის საერთო ხარხარი). თავისთავად ცხადია, რაკი ისინი სეზონიდან სეზონამდე პარტიის წინააღმდეგ შეტევისათვის ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ,—მათ არ შეეძლოთ თავის ვალდებულებათა შესრულება.

დაბოლოს მეორე მიზეზი. ეს მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს არ ესმით ჩვენი ბოლშევიკური ტემპები, არ სწამთ ეს ტემპები და, საერთოდ არ სცნობენ ისეთ რამეს, რაც სცილდება თანდათანი განვითარების ფარგლებს, თვითდინების ფარგლებს.

კიდევ მეტი, ჩვენი ბოლშევიკური ტემპები, ჩვენი განვითარების ახალი გზები, რომელნიც დაკავშირებული არიან რეკონსტრუქციის პერიოდთან და კლასიურ ბრძოლის გამწვავებასთან, და ამ გამწვავების შედეგები მათში ბრძოლას, დაბნეულობას და შიშს ბადებენ. ამიტომ გასაგებია, რომ ისინი გაურბიან ყოველივე იმას, რაც დაკავშირებულია ჩვენი პარტიის ყველაზე მწვავე ლოზუნგებთან. ისინი დაავადმყოფებული არიან იმავე ავადმყოფობით, რომლითაც იყო ავად ჩეხოვის ცნობილი გმირი ბელიკოვი,—ბერძნული ენის მასწავლებელი, კაცი ფუტლიარში. გახსოვთ ჩეხოვის მოთხრობა—„კაცი ფუტლიარში“? ეს გმირი, როგორც იცით, ყოველთვის, სიცხეში თუ სიცივეში დადიოდა კალოშებში, დაბამბულ პალტოში და ქოლგით. „რად გესაჭიროება გეთაყვა კალოშები და დაბამბული პალტო ივლისში, ასეთ ცხელ ამინდში“? —ეკითხებოდენ ბელიკოვს. „ყოველ შემთხვევისათვის“—უპასუხებდა ბელიკოვი—შეიძლება რაიმე მოხდეს, უცაბედად ყინვა დადგეს, რას ვიზამ მაშინ? (საერთო სიცილი, ტაში). მას, როგორც შავი ჭირი, აშინებდა ყოველი ახალი, ყოველივე ის, რაც გამოდის ჩვეულებრივი, ობივატელური ცხოვრების ჩვეულებრივ ფარგლებიდან. გახსნეს ახალი სასადილო. ბელიკოვი უკვე ძრწის. რა თქმა უნდა, შეიძლება კარგიც იყოს სასადილოს გახსნა, მაგრამ დახეთ—ხომ არ გამოვა აქედან რამე. მოაწყვეს დრამატიული წრე, გახსნეს სამკითხველო. ბელიკოვი ისევ ძრწის: „დრამატიული წრე, ახალი სამკითხველო? რა საჭიროა ეს! ფრთხილად! ცუდი რამ არაფერი გამოვიდეს“! (საერთო სიცილი).

ეგევე უნდა ითქვას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების შესახებ. გახსოვთ სამეურნეო კომისარიატებისათვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლების გადაცემის ისტორია. ჩვენ გვინდოდა სულ ორი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გადაცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის. პატარა საქმე იყო, მაგრამ მემარჯვენე უკლონისტების მხრით ჩვენ თავგანწირულ წინააღმდეგობას წავაწყდით. ორი უმაღლესი სასწავლებლის გადაცემა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის? რისთვის არის ეს საჭირო? უკეთესი არ არის დავიცადოთ? ფრთხილად, ცუდი რამ არ გამოვიდეს ამ განზრახვიდან! ახლა კი ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლები ჩვენში გადაცემულია სამეურნეო სახკომისარიატებზე. და არაუშავს, ვცოცხლობთ.

ან აიღეთ, მაგალითად, კულაკების წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღების საკითხი. გახსოვთ თუ რა ისტერიკას გვიწყობდნენ ჩვენ ამ შემთხვევის გამო მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერები. საგანგებო ზომები კულაკების წინააღმდეგ? რა საჭიროა ეს? უკეთესი არ არის კულაკების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის წარმოება? ფრთხილად, ცუდი რამ არ გამოვიდეს ამ განზრახვიდან! ახლა კი ჩვენ ვანხორციელებთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელთან შედარებით კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების მიღება სულ უმნიშვნელო რამაა. და არა უშავს, ვცოცხლობთ.

ან, მაგალითად, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების საკითხი. საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები! რისთვის არიან ისინი საჭირო? რა გვეჩქარება? ფრთხილად: არაფერი ცუდი გამოვიდეს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებიდან! ასეთი და მსგავსი მაგალითები ბევრია.

აი, ეს შიში ახლის წინაშე, ახალი საკითხებისადმი ახალი სახით მიდგომის უუნარობა, ეს ძრწოლა: „ცუდი ხომ არაფერი გამოვა“-ს წინაშე, ფუტლიარის ადამიანის ეს თვისებები უშლიან ხელს მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს როგორც საჭიროა შეუერთდნენ პარტიას.

ფუტლიარის ადამიანის თვისებები განსაკუთრებით სასაცილო ფორმას ღებულობენ მათში სიძნელეთა აღმოცენების დროს, ჰორიზონტზე პაწაწინა ღრუბლის გამოჩენის დროს. ჩვენში სადღაც შეიქმნა სიძნელე, დაბრკოლება, ისინი უკვე განგაშს სტეხენ: ცუდი რამ ხომ არ გამოვა. სადღაც ხოჭო შეიმჩნია. ჯერ ვერც კი მოასწრო როგორც საჭიროა თავისი ბუნაგიდან გამოძრომა, ხოლო ისინი უკვე უკან გარბიან, სასოწარკვეთილებას ეძლევიან, იწყებენ მოთქმას კატასტროფაზე და საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვაზე. (საერთო ხარხარი). ჩვენ მათ ვამშვიდებთ, ვცდილობთ დავარწმუნოთ, რომ აქ ჯერ კიდევ არაფერია საშიში, რომ ეს მხოლოდ ხოჭოა, რომლის არ უნდა გვეშინოდეს, მაგრამ ისინი განაგრძობენ მოთქმას. როგორ ხოჭო? ეს ხოჭო კი არა, ათასი გაფთრებული მხეცია. ეს ხოჭო კი არა, საბჭოთა ხელისუფლების უფსკრული და დაღუპვაა. და იწყებს წერას „გუბერნია“. ბუხარინი სწერს თეზისებს და გზავნის ცენტრალურ კომიტეტში. ის ამტკიცებს, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკამ ჩვენი ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა და რომ საბჭოთა ხელისუფლება აუცილებლად დაიღუპება, თუ დღეს არა, ყოველ შემთხვევაში, ერთი თვის შემდეგ.

რიკოვი უერთდება ბუხარინის თეზისებს, მხოლოდ შენიშნავს, რომ მას აქვს მეტად სერიოზული უთანხმოება ბუხარინთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მისი აზრით დაიღუპება არა ერთი თვის, არამედ ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ. (საერთო სიცილი). ტომსკი უერთდება ბუხარინს და რიკოვს, მაგრამ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მათ ვერ შესძლეს თეზისებისათვის გვერდის ავლა, ვერ შესძლეს გვერდის ავლა დოკუმენტებისათვის, რომლის გამო შემდეგ მოუხდებათ პასუხისგება: „რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის: მოიქეცით როგორც გინდათ, მაგრამ ნუ დასტოვებთ დოკუმენტს, ნუ დასტოვებთ კვალს“. (მთელი დარბაზის ჰომერიული ხარხარი, ხანგრძლივი ტაში). მართალია, მერე, ერთი წლის შემდეგ, როცა სულელისათვისაც ცხადია, რომ ხოჭოს საშიშროება კვერცხის ნაჭუჭათაც არ ღირს, მემარჯვენე უკლონისტები თანდათან გონს მოდიან, სიმამაცეს იჩენენ და ტრაბახსაც იწყებენ, აცხადებენ, რომ მათ აღარავითარი ხოჭოების არ ეშინიათ, მით უმეტეს, რომ ეს ხოჭო ასე უბადრუკი და მომხრჩვალია. (სიცილი, ტაში). მაგრამ ეს ერთი წლის შემდეგ. მანამდე ინებეთ ამ მერყევ ხალხის მოვლა!. აი გარემოებები, რომელნიც მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ლიდერებს ხელს უშლიან უფრო ახლოს მივიდნენ პარტიულ ხელმძღვანელობის ბირთვთან და მას ბოლომდე შეუერთდნენ.

რით შეგვიძლია აქ საქმეს დავეხმაროთ?

ამისათვის არის მხოლოდ ერთი საშუალება: თავის წარსულთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა, ახალნაირად შეიარაღება და ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მთლიანად შეერთება მის ბრძოლაში განვითარების ბოლშევიკურ ტემპებისათვის, მის ბრძოლაში მემარჯვენე გადახრასთან.

სხვა საშუალებები არ არის. შესძლებენ ამას მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერები—კარგია, ვერ შესძლებენ, დეე თავის თავს დააბრალონ (მთელი დარბაზის ხანგრძლივი ტაში, ოვაცია, ყველანი დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“).

კამათი ცეკას მოხსენების გარშემო

ამხ. გ. ლომინაძის სიტყვა

უდიდესი გარდატეხის პერიოდი

ამხანაგებო! ცეკას პოლიტიკური ხაზის და პრაქტიკული საქმიანობის სისწორის, პარტიაზე მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სისწორის ყველაზე უფრო მკვეთრ გამოხატულებად მე მიმაჩნია ის გარდატეხა, რომელიც მოხდა ახლა მე-15-დან მე-16 პარტყრილობამდე. მე აქ მხედველობაში მაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის ლოზუნგი, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი, ამ ლოზუნგების პრაქტიკული განხორციელება. ეს გარდატეხა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენი პარტიის მიერ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ყოველმხრივ დაჩქარებაზე კურსის აღების წყალობით, რამაც ჩვენი სოფლისათვის უზრუნველჰყო სოციალურ - ტეხნიკური გარდაქმნის ბაზა. ეს გარდატეხა უზრუნველყოფილ იქნა იმ გადამჭრელი შეტევით კულაკობაზე, რომელიც პარტიამ ცეკას ხელმძღვანელობით დაიწყო მეხუთმეტე ყრილობის დამთავრებისთანავე. ამ გარდატეხის განხორციელება დაიწყო, როცა გამოაშკარავდა გლეხობის უდიდესი მასების მძლავრი ამოძრავება, როცა გამოაშკარავდა გლეხობის უფართოესი მასების მობრუნება კოლექტივიზაციისაკენ, გარდატეხა სოციალიზმისაკენ. პარტიის ცეკას უდიდესი დამსახურება მდგომარეობს პირველყოვლისა იმ გამბედაობაში და სიმტკიცეში, რომლითაც იგი ატარებს ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მობრუნებას.

ამხანაგებო! მე მინდოდა დამესვა საკითხი იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც კლასობრივ ძალთა შეფარდებაში ხდება დაწყებულ გარდატეხასთან დაკავშირებით. თვითეული ისტორიული გარდატეხა უსათუოდ დაკავშირებულია კლასობრივ ძალთა გადაჯგუფებასთან, მაგრამ გარდატეხა, რომელიც ახლანდელ ეტაპზე ხდება ჩვენს ქვეყანაში იწვევს არა მარტო კლასობრივ ძალთა შეფარდების რადიკალურად შეცვლას პროლეტარიატის სასარგებლოდ, არამედ აგრეთვე ღრმეს ცვლილებებსაც ჩვენი ქვეყნის თვით სოციალურ-ეკონომიურ წყობილებაში, ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შეცვლას. კულაკობის კლასის ლიკვიდაცია წარმოადგენს, საერთოდ, კლასების მოსპობის დასაწყისს, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის უშუალოდ დაწყებას და ამაში, ჩემის აზრით მდგომარეობს იმ გარდატეხის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება.

რასაკვირველია, კლასების მოსპობა წარმოადგენს ხანგრძლივ პროცესს, რომელიც ვითარდება მეტად მძიმე და რთულ წინააღმდეგობათა პირობებში, კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავების პირობებში. მთავარი და გადამწყვეტი კულაკობის კლასის ლიკვიდაციაში, როგორც სწორად აღნიშნავდა ამხ. სტალინი, არის არა ძალადობა და არა რეპრესიები. რეპრესიები და სახელმწიფოებრივი ძალადობა საჭირო და აუცილებელია მხოლოდ, როგორც დამხმარე საშუალება. მთავარი და გადამწყვეტი არ არის არც კულაკის საწარმოო საშუალებათა ექსპროპრიაცია. მთავარი და გადამწყვეტი ის არის, რომ ისპობა ნიადაგი, რომელიც შობს კაპიტალიზმს, ისპობა წვრილი სასაქონლო მეურნეობა ,ისპობა და გარდაქმნას განიცდის წვრილი გლეხური მეურნეობა, ისპობა პირობები რომლებიც ექსპლოატატორულ ურთიერთობას წარმოშობენ. ამრიგად მთავარი და გადამწყვეტი არის გლეხობის მასების გადასვლა მსხვილ სოციალისტურ მიწადმოქმედებაზე — მთლიანი კოლექტივიზაცია, კოლმეურნეობათა გამაგრება და განვითარება.

კულაკობის მოსპობას თან სდევს სოფლის სოციალურ-ეკონომიური წყობის შეცვლა მთლიანად და პირველყოვლისა კლასობრივ ურთიერთობათა რადიკალური შეცვლა კოლმეურნეობებში. ლენინი განსაზღვრავდა კლასობრივ განსხვავებას და როლებს საზოგადოებრივ წარმოების პროცესში პირველ ყოვლისა საწარმოო საშუალებებთან დამოკიდებულების ნიშნის მიხედვით

რა გვაქვს ჩვენ არტელში? მე არტელს ვიღებ, როგორც კოლმეურნეობის ძირითად ტიპს. არტელში საწარმოო საშუალებები განსაზოგადოებულია. ისინი უკვე არ წარმოადგენენ კერძო საკუთრებას. ეს არის მთავარი, გადამწყვეტი და განმსაზღვრელი სოციალისტური, თუმცა ჯერ კიდევ არა სავსებით თანამიმდევრობითი სოციალისტური ტიპი შრომის იმ ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც ახლა იქმნება ჩვენში არტელების სახით სოფლად. მართალია, ჯერ კიდევ რჩება ქონებრივი უთანასწორობა კოლმეურნეობის შიგნით: ერთის მხრივ, მეურნეობის განუსაზოგადოებელი დარგები და, მეორეს მხრივ, ქონებრივი უთანასწორობა, რომლითაც კოლმეურნეობაში შედიან მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა და შეძლებულთა ცალკე ჯგუფები. ყველაფერი ეს კოლმეურნეობაში ქმნის ეკონომიურ უთანასწორობას, რომლის სწრაფად დაძლევა შეუძლებელია. მაგრამ ის ციფრები, რომლებიც გუშინ აქ გამოაქვეყნა ამხ. ანდრეევმა და რომლებიც დღეს მოყვანილია ამხ. შაცკინის წერილში, „პრავდა“-ში, გვიჩვენებენ თუ როგორ სწრაფად უმჯობესდება ღარიბი გლეხობის მატერიალური უზრუნველყოფის დონე თესვის კამპანიის უკვე პირველი შედეგების ზეგავლენით, თუ როგორ მაღლდებიან საშუალო გლეხობის დონემდე კოლმეურნეთა ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენები თვით საშუალო გლეხობის კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად.

ეს ამტკიცებს, რომ უთანასწორობა მოისპობა განსაზოგადოებული მეურნეობის განვითარებასთან ერთად განსაზოგადოების სფეროს გაფართოებასთან ერთად სას. მეურნ. ახალ დარგებში. ეს გაფართოება სრულიად აუცილებელია. უთანასწორობის დაძლევა არტელებში, როგორც სჩანს, არც ისე ნელის ტემპით წავა. აი ეს გარემოება—კერძო საკუთრების მოსპობა წარმოების ძირითად საშუალებებზე. წვრილი გაფანტული ინდივიდუალური მეურნეობის გარდაქმნა შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალ ფორმად სოციალისტურ სოფელში თუმცა ჯერ კიდევ არა თანამიმდევრობით სოციალისტური ტიპის შრომის ორგანიზაციის საფუძველზე,—აი სწორედ ეს არის ის საფუძველი, რომელმაც საშუალება მისცა პარტიის ცეკას ამხ. იაკოვლევის თეზისებში მეტად მტკიცედ, გაბედულად და სწორად დაესვა საკითხი, რომ ჩვენს სოფელში ხორბლეულის რაიონებში იქმნება ახალი დასაყრდენი, რომ ამ რაიონებში სოციალური დასაყრდენის საკითხი ახლა ისმება სრულიად ახალი სახით, ვიდრე მთლიან კოლექტივიზაციამდე.

მე ვთვლი, რომ ეს ლოზუნგი სავსებით დროულად არის წამოყენებული პარტიის ცეკას მიერ. ამ ლოზუნგის სისწორე უდავოა, თუმცა ზოგიერთ ამხანაგებს ხშირად გამოჰყავთ მისგან სრულიად შემცდარი პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნები. ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისებში ხაზგასმულია, რომ წვრილ მესაკუთრის—საშუალო გლეხის გარდაქმნა ნამდვილ კოლექტივისტად ხანგრძლივი პროცესი იქნება, რომ მას, ყოველშემთხვევაში, წლები დასჭირდება.

და უნდა ვიცოდეთ, რომ სანამ რჩება კერძო საკუთრება, თუ გინდ სოფლის მეურნეობის მეორე ხარისხოვან დარგებში, კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ ვინც დარჩება ერთგვარი, თუმცა თანდათანობითი შემცირების გზაზე დამდგარი, კლასობრივი განსხვავება იქნება. ზოგიერთი ამხანაგები მიდიოდენ იქამდე, რომ ამბობდნენ და სწერდნენ კიდეც დღევანდელ დღესთან შეფარდებით ყოფილ ღარიბისა, ყოფილ საშუალო გლეხისა და ყოფილ მოჯამაგირის შესახებ კოლმეურნეობაში. ეს არ არის სწორი. სოციალური ბუნება მოჯამაგირისა, რომელიც დღეს შევიდა კოლმეურნეობაში და რომელსაც არაფრის განსაზოგადოება არ შეეძლო, გარდა თავისი სამუშაო ძალისა, რჩება პროლეტარული და მისი სოციალური ბუნება განსხვავდება საშუალო გლეხის სოციალური ბუნებისაგან, — იმ საშუალო გლეხის, რომელმაც საწარმოო საშუალებების ნაწილი განსაზოგადოვა, ნაწილი კი დაიტოვა თავისი პირად სარგებლობაში; ეს გლეხი თავის შეხედულებებით, თავისი ფსიქოლოგიით, თავისი ბუნებით და ზნე-ჩვეულებებით ჯერ კიდევ რჩება წვრილ მესაკუთრედ, თუმცა იგი გადაჭრით დაადგა წვრილ საკუთრებაზე უარის თქმის გზას. მაგრამ მისი წვრილ-მესაკუთრული ბუნება ჯერ კიდევ დაუძლეველია. როდესაც ჩვენ კულაკს ვართმევთ წარმოების საშუალებებს, კულაკი, რომელსაც აღარ აქვს საწარმოო საშუალებები, ერთბაშად არ კარგავს თავის სოციალურ ხასიათს. თუმცა დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც იყვნენ ამხანაგები, რომლებიც აყენებდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობაში მიგვეღო კულაკი, რომელსაც ჩამოერთვა საწარმოო საშუალებები.

ყრილობის წინადისკუსიის შესახებ

ყრილობის წინა პერიოდის იმ დისკუსიაში, რომელიც გაიშალა „პრავდა“-ს ფურცლებზე სოფელში მომხდარ სოციალურ გარდატეხების შესახებ, გამომჟღავნებული იქნა მთელი რიგი შემცდარი სქოლასტიური შეხედულებები ამხ. ფაინის წერილის სახით. ამხ. ფაინი და ზოგიერთი მისი მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ ამჟამად არავითარი პოლიტიკური განსხვავება არ არსებობს კოლმეურნეობის შიგნით სხვადასხვა ფენებს შორის, მიუხედავად მათი წინანდელი ეკონომიური მდგომარეობისა, ამ არსებითად შემცდარი დებულებიდან გამომდინარეობს მთელი რიგი პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც ჩემის აზრით მიუღებელია. ამხ. ფაინის თვალსაზრისი აბსოლუტურად შემცდარია. ეს თვალსაზრისი მექანისტურია, რომელიც გვერდს უხვევს წვრილი მესაკუთრის კოლექტივისტად გადაქცევის დიალექტიურ პროცესს. მაგრამ ამ თვალსაზრისს იზიარებს მრავალი ამხანაგი, რადგან „პრავდა“-ში ამხ. ფაინის თვალსაზრისმა ჰპოვა მთელი რიგი დამცველები ჩვენი კომუნისტლიტერატორების სახით.

კოლმეურნეობებში დარჩა კლასობრივი წინააღმდეგობანი, კლასთა ბრძოლის ელემენტები, თუმცა ამ წინააღმდეგობების წარმოშობის საფუძველი თანდათან მცირდება. ჩვენ ამას ხაზი უნდა გაუსვათ არა მარტო თეორეტიული თვალსაზრისით, არამედ უახლოესი დროის პრაქტიკის თვალსაზრისითაც. კულაკის აქტივობა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. და რაც უფრო გავაძლიერებთ ჩვენ შეტევას და წინ წავალთ მთლიანი კოლექტიზაციის საფუძველზე კულაკობის მოსპობის საქმეში, მით უფრო გაიზრდება კულაკის წინააღმდეგობა, რადგან კულაკი ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვისპია საბოლოოდ და იგი კლასობრივ სიძულვილს, რომელიც მასში გაიზარდა ჩვენს წინააღმდეგ მიმართავს.

უახლოესი კვირეების განმავლობაში დაიწყება პურის დამზადება. წელს ჩვენ პურის დამზადებას უფრო სხვა პირობებში ჩავატარებთ, ვიდრე ეს შარშან იყო. პურის ძირითად მასას, ნახევარზე მეტს, ჩვენ მივიღებთ განსაზოგადოებული სექტორისაგან, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებისაგან. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩვენ შეიძლება შევხვდეს ერთგვარი რყევა ცალკე ფენებში პურის ჩაბარების დროს, მაგრამ მე ვფიქრობ, თუ ჩვენ არ დავშლით ღარიბთა ჯგუფებს და შევსძლებთ სწორად დავაყენოთ ჩვენი მუშაობა კოლმეურნეობებში, ეს რყევა შეიძლება სწრაფად და შედარებით ადვილად იქნეს აღმოფხვრილი. კულაკის მიმართ პურის დამზადებაში რჩება იგივე ამოცანები, რაც შარშან იყო, იგივე მეთოდები; ამასთანავე აშკარაა, რომ საჭირო იქნება ამ მეთოდების უფრო მტკიცეთ გამოყენება. პურის დამზადების ფრონტზე ჩვენ ისევე ენერგიულად შევუტევთ კულაკს, მაგრამ ეს შეტევა იქნება უფრო სისტემატიური, ვიდრე შარშან იყო. კულაკი გავლენას მოახდენს არა მარტო ინდივიდუალურ მეურნეებზე, არამედ კოლმეურნეთა ყველაზე უფრო მტკიცე ელემენტებზეც. შეგვიძლია თუ არა ჩვენ ასეთ პირობებში დავშალოთ ეხლა ღარიბთა ჯგუფები, თუ გინდ არტელებში? არა, მე ვფიქრობ ღარიბთა ჯგუფები დროებით უნდა შევინარჩუნოთ. ჩემის აზრით სავსებით სწორია ქვემო ვოლგის და ჩრდილოეთ კავკასიის კონფერენციების დადგენილებები მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების შენარჩუნების შესახებ არტელებში განსაზღვრული დროის განმავლობაში, სანამ ჩვენ არ შევქმნით უფრო მტკიცე მდგომარეობას კოლმეურნეობებში; ამასთანავე აშკარაა, რომ მთელ რიგ კოლექტიურ მეურნეობებში ჩვენ ჩქარა გვექნება ასეთი მტკიცე მდგომარეობა. აი, ასე მაქვს მე წარმოდგენილი ღარიბთა ჯგუფების საქმე კოლმეურნეობებში.

ეს ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფები მეტად მნიშვნელოვანი ბარიერია წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან ბრძოლაში. ისინი წარმოადგენენ ცემენტს, რომელიც ერთმანეთთან აღუღებს კოლმეურნეებს. პრაქტიკის საფუძველზე მე წარმოდგენილი მაქვს, რომ ღარიბთა და მოჯამაგირეთა ეს ჯგუფები თანდათან შეეზრდებიან საკოლმეურნეო აქტივს, რომელიც ეხლა გაიზარდა არტელების ხელმძღვანელ სამუშაოზე. ისინი თანდათან გაითქვიფებიან მასში. მეორეს მხრივ, მოჯამაგირე და ღარიბ კოლმეურნეების საუკეთესო ელემენტები შევლენ კომკავშირში და პარტიაში. მაშინ ჩვენ შევძლებთ შევქმნათ, დაბოლოს, კომკავშირის მასიური ორგანიზაცია და ფართო პარტიული ორგანიზაცია სოფლად, რაზედაც სწორად ამბობდა თავის მოხსენებაში ამხ. კაგანოვიჩი. აი, როგორ უნდა მიმდინარეობდეს თანდათან, არა ძალიან ჩქარა, ღარიბთა დ მოჯამაგირეთა ჯგუფების გაუქმება არტელებში. მაგრამ ამჟამად ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების დაშლა, როგორც ამას მოითხოვენ მთელი რიგი ამხანაგები და კერძოდ ამხ. უსტინოვი „პრავდა“-ს სადისკუსიო ფურცლებში, შეცდომა იქნებოდა. ჩვენ წინადადებას გვაძლევენ ჩავატაროთ ღარიბთა ჯგუფების დაშლა შემოდგომაზე, ისედაც რთულ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ შევდივართ პურის დამზადების კამპანიაში, როდესაც მოსალოდნელია კიდევ მთელი რიგი დაბრკოლებები და რყევა კოლმეურნეობებში. ეს საჭირო არ არის. ცეკას გადაწყვეტილება დასაყრდენის საკითხზე — ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხია (გამოტოვებულია).

კოლმეურნეობების სრული სიმტკიცის უზრუნველყოფის საკითხი სწყდება არა ერთ დღეში და არა ერთ თვეში. კოლმეურნეობებმა ჯერ კიდევ უნდა გაიარონ ერთგვარი გამოცდები და მხოლოდ მაშინ გახდებიან ისინი მტკიცენი, სრულიად მაგარ ნიადაგზე.



ყრილობის პრეზიდიუმი

მოსავლის განაწილება კოლმეურნეობებში

რაც შეეხება შემოდგომას, მე მინდა ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას: შემოდგომაზე ჩვენ შეგვხვდება მთელი რიგი დაბრკოლებები, რომლებმაც უკვე ეხლავე უნდა მიიპყრონ ჩვენი სერიოზული ყურადღება. ეს დაბრკოლებები დაკავშირებული იქნება უმთავრესად მოსავლის განაწილებასთან კოლმეურნეთა შორის. თქვენ იცით, რომ წესდების თანახმად, კოლმეურნეობის შემოსავალი, განსაზოგადოებული ფონდების ანარიცხების გამოკლებით, განაწილებული უნდა იქნეს კოლმეურნეთა შორის შრომის პრინციპის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენი შრომა დახარჯა თვითეულმა კოლმეურნემ. დღემდე შრომის აღრიცხვა უმეტეს კოლმეურნეობებში მეტად ცუდადაა დაყენებული. ზოგიერთ კოლმეურნეობებში აღრიცხვა სრულებით არ სწარმოებს. მეორეს მხრივ რყევის პერიოდში, რასაც ადგილი ქონდა კოლმეურნეობებში, იყო შემთხვევები, როდესაც 25-30 კოლმეურნე გლეხი არ გამოდიოდა სამუშაოდ. მათ არაფერი რა გაუკეთებიათ, არ უმუშავნიათ და არაფერი არ ერგებათ. შეიძლება თუ არა სრულებით გვერდი აუხვიოთ კოლმეურნეთა ამ ჯგუფებს მოსავლის განაწილების დროს? რასაკვირველია, არა. წელს ალბად ვერ მოვახერხებთ მთლიანად გავატაროთ შრომის პრინციპი მოსავლის განაწილების დროს კოლმეურნეთა შორის და საჭირო იქნება მასში შევიტანოთ მთელი რიგი შესწორებები, რომელთა თანახმად ზოგიერთ ადგილებში შეიძლება საჭირო იქნეს დიდი ფონდების შექმნა შრომის უნარ-მოკლებულთათვის დახმარების გასაწევად. ყოველ შემთხვევაში წესდების სისწორით და მტკიცედ დაცვა მოსავლის განაწილების დროს ამ შემოდგომაზე ყველგან ალბად ვერ იქნება უზრუნველყოფილი. მაგრამ, რასაკვირველია, მე შემცდარათ ვთვლი თვალსაზრისს, რომელიც საერთოდ საეჭვოდ ხდის შემოსავლის განაწილების შრომითი პრინციპს. ვიმეორებ, მომავალ შემოდგომაზე, როდესაც ჯერ კიდევ ყველაფერი ჩამოყალიბებული არ არის კოლმეურნეობებში, შესაძლებელია ერთგვარი გადახვევა წესდებიდან, მაგრამ უკვე ამ გამოცდილების შედეგად შემოსავლის განაწილების შრომითი პრინციპი განმტკიცებული უნდა იქნეს მომავალ წელში. თუ ჩვენ დიდი დაბრკოლებების გარეშე გამოვალთ მოსავლის განაწილებიდან, მე კი ვფიქრობ, რომ ეს უეჭველად ასე იქნება, მაშინ ჩემის აზრით დადგება ხანა საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი აზვირთების, შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ეს იყო შემოდგომაზე და მიმდინარე წლის ზამთრის დასაწყისში. ჩვენ სათანადოთ უნდა მოვემზადოთ საკოლმეურნეო მოძრაობის ტალღის ამ ახალი აზვირთებისათვის. ის უეჭველად მოსალოდნელია. ეხლა გლეხები ნათლად ხედავენ მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას წვრილ, დაქსაქსული ინდივიდუალური მეურნეობების წინაშე; მათ მასიურად ეძლევათ ამის დამამტკიცებელი პრაქტიკული საბუთები.

ამ გარემოებას ადასტურებს ის, რომ კოლმეურნეობებში შესული ღარიბი და საშუალო გლეხები მეტ წილად „მიიღებენ“ მეტს, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეები. ამიტომ, სწორედ ამასთან დაკავშირებით, უნდა მოვემზადოთ საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ აზვირთებას. ვიმეორებ, რომ ამისათვის უნდა ვემზადოთ, როგორც ამას ამბობდა გუშინ ამხ. ანდრეევი. მე მინდოდა მხოლოდ ხაზი გამესვა, რომ, ამ პერსპექტივასთან დაკავშირებით, სოფელი უნდა გავამაგროთ პარტმუშაკების საუკეთესო კადრით. პარტიის ც. კ-ის დადგენილება ოლქების გაუქმებისა და მუშაობის სიმძიმის ცენტრის რაიონებში გადატანის შესახებ სავსებით სწორია. მაგრამ, რაიონის გარდა, უნდა გავამაგროთ ჩვენი სოფლის ქვედა ორგანიზაციები. თუ ჩრდილოეთ-კავკასიაში საკოლმეურნეო მოძრაობა უფრო განმტკიცებულია, ვიდრე სხვა რაიონებში, ეს, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ იქ სოფელი უზრუნველყოფილია უძლიერესი მუშაკებით და რომ სოფლის უჯრედების მდივნები ჩრდილოეთ-კავკასიაში, თავიანთ პოლიტიკურ დონეს მიხედვით, მეტ წილად უფრო მაღლა დგანან, ვიდრე რაიკომების მდივნები სხვა რაიონებში, განსაკუთრებით ჩრდილოეთში. მრავალი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ-კავკასიაში სოფლად მუშაობისათვის ხდებოდა პარტიული მუშაკების საუკეთესო კადრის შერჩევა, და ეს გამოცდილება უნდა გავავრცელოთ ყველა რაიონებზე. ერთი რამ სავსებით ნათელია ახლა: მასების აქტივობა გაიზარდა, სოფლის დამყაყებული წყობილება და სოფლის ცხოვრების იდიოტიზმი, რომელზედაც მარქსი სწერდა, ისე საფუძვლიანად დაინგრა, რომ სოფლის მასების ხელმძღვანელობა იმ ძალებით, რომლებიც სოფლად მოგვეპოვება, შეუძლებელია, თუ სოფელს არ მივეცით პარტიული მუშაკების ახალი დიდი კადრები. ჩვენ იძულებულნი ვართ იმ ახალი აზვირთების დროს, რომელიც, სავსებით ნათელია, უნდა დაიწყოს, დავეყრდნოთ, რასაკვირველია, იმ ახალზე, რაც დღეს სოფელშია და ამ ახლით ვიხელმძღვანელოთ. ეს ახალი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი დასაყრდენი სოფლად ფართოვდება და ახალი სახით ისმება კლასების საკითხი.

სოფლად არსებულ წინააღმდეგობათა ღერძს წარმოადგენს ბრძოლა კოლმეურნეობასა და კულაკს შორის. ხორბლეულის რაიონი ორ მთავარ ნაწილად იყოფა: კოლმეურნეებად და ინდივიდუალურ მეურნეებად. მაგრამ ამავე დროს ჩვენ იძულებულნი ვართ გადამჭრელი ბრძოლა ვაწარმოოთ არსებული სიძნელეებისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა მიჩქმალვის ცდებთან, კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ დარჩენილ კლასობრივი ბრძოლის ელემენტებზე. კოლმეურნეობაზე კულაკის არაპირდაპირი ზეგავლენის ფაქტებზე და სხვ. თვალის დახუჭვის ცდებთან. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ცდებთან—მოხდეს რესტავრაცია „სლეპკოვშჩინის“, რომელიც ახალ პირობებში სცდილობს ახალ ეტაპზე საქმე ისე დასახოს, თითქო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კლასები აღარ დარჩენილან და რომ ყველა კლასობრივი წინააღმდეგობანი კოლმეურნეობის შიგნით მოისპო მთლიანად. ეს არის „სლეპკოვშჩინა“, შეგუებული ახალ პირობებთან და ნიღაბამოფარებული საშინელი „მემარცხენე“ ფრაზით.

მუშათა კლასის მდგომარეობა

ორიოდე სიტყვა მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ დარგშიც გვაქვს უდიდესი ცვლილებები, რომელთა შესახებ ამხ. სტალინმა დიდხანს და კარგად ილაპარაკა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მუშათა კლასის შემოქმედებითი საზოგადოებრივი ინიციატივის უდიდესი ზრდა, შრომისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების რადიკალური შეცვლა, გაფართოება კომუნისტური შრომის სფეროსი, რომელთა ნიშნებზე ლენინი ლაპარაკობდა 1919 წელს, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მძლავრი ზრდა და ამასთან ერთად მუშათა კლასის ლაშქრობა სოფლად, რომლის გარეშეც სოფელი ვერ გარდაიქმნებოდა, მუშათა კლასის იერიში ჩვენი დაწესებულებების ბიუროკრატიულ ელემენტებზე, დაწესებულებებზე მუშათა შეფობის ახალი ფორმები და დაწინაურება,—ყველაფერი ეს მოწმობს ჩვენი დიქტატურის ძირითადი ძალის უდიდეს ზრდას და ახალ თვისებებს. ამასთან ერთად საგრძნობლად ამაღლდა მუშათა კლასის საცხოვრებელი დონე. იგი გაიზარდა არა მარტო ხელფასის გადიდების, სამუშაო დროის შემცირების და დამზღვევი ორგანოების დახმარების შედეგად, არამედ იმიტომაც, რომ სამრეწველო უმუშევრობა არსებითად მოისპო, ეს კი მცირე როლს როდი თამაშობს, რადგან მუშის ბიუჯეტს ტვირთად არ აწვება უმუშევრობა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ გვაქვს სერიოზული სასურსათო დაბრკოლებები ზოგიერთ სამრეწველო ცენტრში, ისეთი დაბრკოლებები, რომლებიც ყოველთვის არ გვაძლევენ საშუალებას შევასრულოთ ც. კ-ის დადგენილება რეალური ხელფასის გადიდების შესახებ. სასურსათო დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ მაინც საკმაო მატერიალური რესურსები მოგვეპოვება იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ მუშათა კლასის მომარაგება და ამით უზრუნველვჰყოთ ხელფასის რეალური დონე, რომ მოგვეხერხებია გადამწყვეტი გარდატეხის მიღწევა ჩვენი მიმწოდებელი დაწესებულებების მუშაობაში და წესრიგში მოგვეყვანა კოოპერატიული აპარატი. ამ სიძნელეთა დაძლევა უნდა მოხდეს აგრეთვე მსუბუქი ინდუსტრიის გაშლის ტემპების გაძლიერების გზით, რაზედაც სავსებით სამართლიანად ლაპარაკობდა ამხ. სტალინი. მაგრამ გარდა ყოველივე ამისა, სიძნელეები დაძლეულ უნდა იქნას პროფკავშირების მუშაობის ნამდვილი გარდაქმნით. მხოლოდ პროფმუშაობის ხელმძღვანელობის მოწესრიგებით და პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნით არის შესაძლებელი მიბრუნება პირით წარმოებისაკენ. პროფკავშირებმა მუშაობა ახალი სახით უნდა აწარმოონ, ისინი მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ ჩვენს საწარმოებს, უნდა შექმნან და სათავეში ჩაუდგნენ მოძრაობის ახალ ფორმებს მუშათა კლასში, რასაც პროფკავშირების ძველი ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ თუ წინად, პროფკავშირების მუშაობის გარდაქმნამდე, ძველი ოპორტუნისტული ხელმძღვანელობა დაცვის ფუნქციების უპირისპირებდა საწარმოო ამოცანებს, სერიოზული შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენ ახლა პროფკავშირების წარმოებისაკენ პირით მობრუნების პირობებში, შესაფერი ადგილი არ უზრუნველგვეყო დაცვის საქმისათვის მათ მუშაობაში. პროფკავშირები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მუშების საწარმოო ინიციატივას და მათ შრომითი ენტუზიაზმს, მაგრამ საჭიროა აგრეთვე, რომ პროფკავშირებმა უფრო მტკიცედ დაიცვან მუშათა ინტერესები იმ ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ ჯერ კიდევ მრავლად მოგვეპოვება, როგორც კოოპერატიულ, ისე სამეურნეო ორგანიზაციებში და თვით პროფკავშირებში.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენში ადგილებზე პრაქტიკულად დამყარდა შემცდარი დამოკიდებულება პროფორგანიზაციებისადმი. პროფორგანიზაციებს ზოგ ადგილებში უყურებენ, როგორც მეორე ხარისხოვან, უმნიშვნელო ორგანიზაციებს და ძალიან ხშირად კომუნისტი, რომელიც პარტმუშაობაზე იმყოფება, დამცირებად სთვლის პროფმუშაობაზე წასვლას. ძალიან ხშირად ადგილობრივ პრესაში საჭირო კრიტიკის ნაცვლად, თქვენ შეხვდებით მათ ხელაღებით აბუჩად აგდებას. ასეთი დამოკიდებულების გამო პროფკავშირები ჰკარგავენ თავიანთ ავტორიტეტს, რომ პროფკავშირები გადავაქციოთ ნამდვილად მოწინავე ორგანიზაციად, მათდამი ასეთი დამოკიდებულება ადგილებზე გადაჭრით უნდა აღმოფხვრას. პროფკავშირებს უნდა დავეხმაროთ პარტმუშაკებით, ყურადღებით და ფხიზელი მოპყრობით. პარტიული ორგანიზაციების დახმარების გარეშე პროფკავშირები ვერ შეასრულებენ იმ მუშაობას, რომელიც მათ დაიწყეს.

ამხ. ტომსკის შესახებ

მე ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვსთქვა ამხ. ტომსკის გამოსვლის შესახებ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე. მოხსენებისა და, განსაკუთრებით, საბოლოო სიტყვის შემდეგ ამ ყრილობაზე ჩვენ, ამიერ-კავკასიის მუშაკებმა, ისეთი საერთო შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ ამხ. ტომსკი სცდილობს შეასრულოს ის ვალდებულება, რომელიც მან წარსული წლის ნოემბერში მისცა პარტიას. ჩვენ ვხედავდით, თუ როგორ ძნელი იყო ამხ. ტომსკისათვის კავშირის გაწყვეტა გუშინდელ დღესთან, როცა ის ყელამდე ჩაფლული იყო ოპორტუნისტულ ჭაობში. ამის შესახებ თვით ამხ. ტომსკიმ გვიამბო გუშინდელი გამოსვლის დროს. ჩვენ მის გამოსვლაში ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე ვხედავდით ცდას—შეესრულებია თავისი ვალდებულებანი პარტიის წინაშე, ჩვენ ვაფასებდით მის გამოსვლას, როგორც ნაბიჯს წინ, მაგრამ, რასაკვირველია, ვთვლიდით მას არასაკმაოდ, რადგან მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პრინციპიალური საკითხების შესახებ მას არ მოეცა საჭირო განმარტებები. მაგრამ ჩვენ მაინც ვთვლიდით მის გამოსვლას წინ გადადგმულ ნაბიჯად მის ოპორტუნისტულ წარსულთან კავშირის გაწყვეტის გზაზე. მე სენიორენ-კონვენტზე მომიხდა გამოსვლა განცხადებით, რომ ეს გამოსვლა იყო პირველი ნაბიჯი ამ გზაზე, მაგრამ რომ ეს გამოსვლა არ არის საკმაო, თუ ტომსკი მთლიანად ბოლომდე არ აღიარებს თავის შეცდომებს, თუ ის ბოლომდე არ გადასდგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც მომასწავებელი იქნება კავშირის სრული გაწყვეტის მის ძველ ოპორტუნისტულ პოზიციასთან, უკანასკნელის სრული დაძლევა.

მე ვფიქრობ, რომ ამხ. ტომსკის გუშინ არ შეეძლო საყვედური ეთქვა,—როგორც ეს ჰქნა ამხ. რიკოვმა, რომელსაც ჰქონდა ამისათვის ერთგვარი საფუძველი,—რომ მას გამოსვლა უხდება მეტად მძიმე პირობებში, უნდობლობის პირობებში, კანონიერი უნდობლობის პირობებში, ისეთ პირობებში, რომელიც იყო პარტიის მიერ ოპორტუნისტების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის ქარცეცხლში. ასეთი საყვედური მას არ შეეძლო ეთქვა. ჩვენ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობაზე ვფიქრობდით — გაგვეადვილებინა ტომსკისათვის ოპორტუნისტულ წარსულისაგან ჩამოშორება და ფართოდ გავშალეთ მისი შეცდომების კრიტიკა ამხანაგურ პირობებში. მაგრამ არ გამოვიდა ის, რასაც ჩვენ ველოდით. გამოვიდა სულ სხვა რამ, ამასთან მე ვფიქრობ, რომ გამოვიდა უფრო უარესი ტომსკისათვის: ტომსკიმ არ მოინდომა გადაედგა მე-16 ყრილობაზე ის ნაბიჯი, რომელსაც მოელოდა მისგან პარტია. ტომსკიმ არ მოგვცა აქ თავის გამოსვლაში ნათელი პრინციპიალური შეფასება თავისი შეცდომებისა და პოლიტიკურ უთანხმოებისა, რომელიც აშორებდა მას ც. კ-ს და უპირისპირებდა მას მთელ პარტიას. ტომსკი ამბობდა აქ, რომ ყოველგვარი ბრძოლა ც. კ-ის წინააღმდეგ არის ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ. ის ამბობდა, რომ ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ პროლეტარული დიქტატურის პირობებში აუცილებლად ხდება პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლად. ის ამბობდა, რომ ფრაქციულობა საზიანოა, რომ საშიშია მესამე ძალის ჩარევა შინაპარტიულ ბრძოლაში. ის ამბობდა, რომ დაუშვებელია მანევრები ც. კ-ის წინააღმდეგ. ის ლაპარაკობდა ყველა ამაზე, როგორც ბრძოლის მნიშვნელოვან გაკვეთილებზე, რომელსაც ის რიკოვთან და ბუხარინთან ერთად უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში აწარმოებდა ც. კ-ის წინააღმდეგ. მაგრამ განა ამ გაკვეთილებს არ იცნობდა ტომსკი, როდესაც ის რიკოვთან და ბუხარინთან ერთად ბრძოლას იწყებდა ც. კ-ის წინააღმდეგ? განა ის თვითონ არ ასწავლიდა ამ გაკვეთილებს, ისიც მეტად მჭერმეტყველური ფორმით, ჯერ ტროცკისტულ ოპოზიციას 1923—24 წლებში, შემდეგ კი ტროცკი-ზინოვიევის ოპოზიციას 1925 წელში?

როგორც სჩანს, ამაშია იმ ბრძოლის მთავარი გაკვეთილები, რომელსაც ტომსკი რიკოვთან და ბუხარინთან ერთად აწარმოებდა ც. კ-ის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მთავარი გაკვეთილები მდგომარეობს იმაში ,რომ ტომსკი შემცდარად სთვლიდა ც. კ-ის პოლიტიკურ პოზიციას პოლიტიკის ძირითად საკითხებში და მოითხოვდა სრულიად საწინააღმდეგო ხაზს. პარტიის მიერ ოპორტუნისტების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის მთავარი გაკვეთილი უნდა მდგომარეობდეს იმ პრინციპიალური პოლიტიკური შეცდომების ფართო კლასობრივ შეფასებაში, რომელიც დაუშვა მემარჯვენე ოპოზიციამ, და ამ შეცდომების სოციალური ბუნების დახასიათებაში. პარტიის ბრძოლა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ იყო ბრძოლა პროლეტარული ბოლშევიკური ხაზისა კაპიტულიანტური, წვრილ-ბურჟუაზიული ხაზის წინააღმდეგ, რომელიც გამოხატავდა წვრილ-მესაკუთრული სტიქიის შეტევას მუშათა კლასის ცალკე ფენებზე ჩვენს პარტიაში, რომელიც მთავარ საკითხებში უერთდებოდა კულაკობის მოთხოვნებს. ყველა ეს აღნიშნული უნდა ყოფილიყო, საჭირო იყო არა მარტო საერთო კლასობრივი დახასიათება მემარჯვენე გადახრისა, არამედ ამ დახასიათების ფართოდ გაშლა ყველა კონკრეტულ საკითხებზე, ჩვენი პოლიტიკის ყველა სადაო საკითხების შესახებ.

ხმა ადგილიდან: „ყველა ეს ტომსკის უნდა ეთქვა ამიერ-კავკასიის ყრილობაზე“.

ხმა: „და ორი წლის წინად“.

ლომინაძე: რასაკვირველია, ეს მას უნდა ეთქვა ამიერ-კავკასიაშიც. მაგრამ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენს ამიერ-კავკასიის ყრილობაზე ტომსკი სდგამდა ნაბიჯს წინ. მაგრამ აქ, პარტიის მე-16 ყრილობაზე, ყველაფერი ბოლომდე უნდა ეთქვა. ტომსკიმ ეს არ შეასრულა და ამით არ გადასდგა ის ნაბიჯი, თავის გუშინდელი დღიდან ჩამოსაშორებლად, რომელსაც მისგან მოელოდა პარტია. პირიქით, აქ, ამიერ-კავკასიის ყრილობასთან შედარებით, ტომსკიმ უკან დაიხია. ტომსკის გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

იბადება კითხვა: რა დარჩა ტომსკის გამოსვლის შემდეგ, რიკოვის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც მიჩქმალა ძირითადი საკითხები. თურმე ინდუსტრიალიზაციის ტემპების საკითხში მას პარტიასთან უთანხმოება არ ჰქონდა. ორწლედი თურმე არ წარმოადგენდა დაპირისპირებას ხუთწლედისათვის. რა დარჩა? მათი გამოსვლების შემდეგ დარჩა გაურკვევლობა მათ დამოკიდებულებაში ძირითად პოლიტიკურ საკითხებისადმი, რომლებშიაც ისინი ყველაზე უფრო სცდებოდნენ. ყველა ეს გაურკვევლობა არის ის საფარი, რომელსაც ჩაეჭიდება წვრილ-მესაკუთრული სტიქია, და რომელსაც გამოიყენებენ ჩვენი პარტიის მტრები, რადგან ახალ ეტაპზე რთულ დაჭიმულ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენ ფართოდ ვანვითარებთ ყოველმხრივ შეტევას კაპიტალიზმის ელემენტებზე, როდესაც ჩვენ ვატარებთ ხაზს ექსპლოატატორული კლასების განადგურებისათვის, როდესაც ჩვენ ვაურავებთ ძველ ყოფა-ცხოვრებას და ვამოძრავებთ უზარმაზარ საზოგადოებრივ ფენებს,—წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის და მუშათა კლასზე მისი შეტევის გაძლიერება, როგორც სჩანს, აუცილებელია და ეს სტიქია გამოიყენებს ყოველგვარ საფარს, რასაც მას საკმაოდ მრავლად აძლევენ ჩვენი მემარჯვენე უკლონისტები.

ამხ. ტომსკი ამბობდა, რომ მან დასწვა მემარჯვენე პოზიციებისაკენ უკან დასახევი ყველა ხიდები. მაგრამ ვერავინ ვერ ენდობა სიტყვით ამ განცხადებას, ის ვერ გამოდგება გარანტიად, ვერ გამოდგება უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არ გამოამჟღავნა რა თავისი შეცდომების პოლიტიკური და პრინციპიალური შინაარსი, ამხ. ტომსკიმ თვითონ არ უზრუნველჰყო თავისათვის ელემენტარული გარანტიები უკან დაბრუნებისაგან ყოველგვარი სიძნელეების პირობებში. სიძნელე კი ჩვენ ბევრი გვექნება. ხოლო ეს უკან დაბრუნება ადვილად შესაძლებელია. ხომ დაბრუნდა უკან, მაგალითად, ამხ. უგლანოვი თავისი განცხადების შემდეგ და არავითარი გარანტიები ამ დაბრუნების წინააღმდეგ მომავალი დროისათვის მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებისაგან ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ის გაკიცხვა, რომლითაც შეხვდნენ ყრილობის დელეგატები ამხ. ტომსკის გუშინდელ სიტყვას, ერთად-ერთი სწორი პასუხია. ორი წლის ბრძოლის დასკვნების სახით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც მემარჯვენე გადახრას და მის აშკარა და ფარულ დამცველებს არ ექნებათ ადგილი ჩვენი პარტიის რიგებში.

გაშლილი სოციალისტური შეტევა

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში მე-16 ყრილობაზე ამხ. სტალინმა ამომწურავი სიცხადით ჩამოაყალიბა ძირითადი ამოცანა, რომელიც წამოჭრილია მუშათა კლასის და მისი ავანგარდის—კომუნისტური პარტიის წინაშე, რომელიც სათავეში უდგას სოციალისტური მშენებლობის მთელს საქმეს: „მთელს ფრონტზე სოციალისტური იერიშის მოწყობა,—აი, რანაირი ამოცანა წამოიჭრა ჩვენს წინაშე, როცა გავშალეთ მუშაობა მთელი სახალხო მეურნეობის გარდასაქმნელად“.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი სოციალ-ეკონომიური რეკონსტრუქცია ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასი გაშლილ ფრონტით უტევს კაპიტალისტურ ელემენტებს ჩვენს ქვეყანაში, ახდენს წვრილი მეურნეობის გარდაქმნას მსხვილ განსაზოგადოებულ მეურნეობად და შეუძლებელს ხდის კაპიტალიზმის ხელახლად წარმოშობას. მთელი მეურნეობის—მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის—სოციალისტური რეკონსტრუქცია ნიშნავს გაშლილ სოციალისტურ შეტევას მშენებლობის მთელს ფრონტზე. ის გარემოება, რომ გაშლილი სოციალისტური შეტევა მეურნეობის მთელს ფრონტზე დაიწყო 1929 წლის მეორე ნახევარში ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, გადაჭრით მოწმობს პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მთელი პოლიტიკის ლენინურ სიმტკიცეს და სისწორეს, ვინაიდან განვლილმა პერიოდმა სავსებით გაამართლა გაშლილი იერიში და დაამტკიცა, რომ ის, სავსებით დროზე დაწყებული, ჭეშმარიტად ბოლშევიკურად იყო მომზადებული და საიმედო გზით ვითარდება.

განვლილი პერიოდი იყო მეურნეობას მთელს ფრონტზე შეტევის მომზადების ბრძოლითი პერიოდი, მომზადების, რომლისთვისაც დაჭიმულ იქნა მუშათა კლასის ყველა ძალები და კუნთები. გადამწყვეტი ელემენტი ამ მომზადებაში არის შექმნა მსხვილი სოციალისტური მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის, „რომელსაც შეუძლია გარდაქმნას სოფლის მეურნეობა“ (ლენინი).

ბოლშევიკებს უფლება აქვთ აღნიშნონ თავიანთი უდიდესი გამარჯვება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მათ გარედან დახმარების მიუღებლად მტკიცე ნიადაგზე დააყენეს მსხვილი მრეწველობა, სოციალიზმის ეს ერთად-ერთი ბაზა, მტკიცე ნიადაგზე დააყენეს მძიმე ინდუსტრია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ქვეყნის, როგორც სოციალისტური ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, განმტკიცება. სწორედ ამ გარემოებამ,—იმ დროს, როცა პარტიას საგრძნობი მიღწევები აქვს გლეხობის კოოპერაციაში მასიურად გაერთიანების საქმეში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების საქმეში, პარტიის სწორი ნაცადი კლასობრივი პოლიტიკის დროს, რამაც განამტკიცა კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან და გამოიწვია კულაკობის იზოლიაცია,—განსაზღვრა გლეხობის მასიურად მიბრუნება სოციალიზმისაკენ და კოლექტივიზაციის მასიურად გაშლა მთელ რიგ რაიონებში მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლით. პარტია ლენინური სიმტკიცით ყოველდღიურ მუშაობაში ანხორციელებს იმ დებულებას, რომ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღები მსხვილი სოციალისტური მრეწველობაა. პარტია, რომელიც უკვე აგდებს, როგორც ზედმეტ ბარგს, ოპორტუნისტების ლაპარაკს იმის შესახებ, რომ კოლექტივიზაცია შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მანქანებისა და ტრაქტორების არსებობის დროს, ამასთანავე, კოლექტივიზაციის გაუგონარი სწრაფი ტემპის საპასუხოდ, აჩქარებს სოციალისტური მრეწველობის განვითარებას და სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებლობას.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღები—სოციალისტური მრეწველობა ლენინური ეს დებულება პარტიამ დაიცვა ოპორტუნისტებთან ბრძოლაში. თუ მთელი მოსამზადებელი მუშაობა საერთო სოციალისტური იერიშის განსავითარებლად გამარჯვებით დამთავრდა, მოხდა ეს იმ დაუზოგავი ბრძოლის გამო, რომელიც გაუწიეთ მემარჯვენე ოპორტუნისტებს, მემარჯვენე კაპიტულიანტებს, ტროცკისტებს და მოტროცკისტო „მემარცხენე“ გამმრუდებლებს. განსაკუთრებით და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტებმა დღემდე არსებითად უარი არა სთქვეს თავიანთ ღრმად შემცდარ, მტრულ არალენინურ დებულებებზე, არ აღიარეს სრული უსაფუძვლობა თავიანთი ბრძოლისა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ანხორციელებს პარტია. მემარჯვენე ოპორტუნისტების ბელადების გამოსვლა მე-16 ყრილობაზე მოწმობს, რომ მათ შემდეგშიაც სურთ მანევრების მიმართონ ბოლშევიკურ პარტიაში. ამხ. რიკოვის და ტომსკის გამოსვლამ ცხადჰყო, რომ მემარჯვენეების ბელადებმა შეიგნეს, რომ შემცდარი, მტრული და სოციალისტური მშენებლობის საზიანო იყო მათი ბრძოლა ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპების წინააღმდეგ, რომელსაც ანხორციელებს პარტია.

ეს განსაკუთრებით აღინიშნა ეგრედ წოდებული ორწლიანი გეგმის საკითხში. პარტიამ ერთხელ უარყო ორწლიანი გეგმა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავის ფორმით უპირდაპირდებოდა ხუთწლიან გეგმას. თავი და თავი ის არის, რომ ეს ორწლიანი გეგმა არ გულისხმობდა მძიმე ინდუსტრიის—მთელი მეურნეობის აღორძინების გასაღების—უაღრესად ენერგიულ განვითარებას. ორწლიან გეგმაში დავიწყებული იყო „წვრილმანი“—მძიმე ინდუსტრია, ურომლისოდაც შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, სოფლის მეურნეობის ტემპების დაჩქარება და სასურსათო დაბრკოლებათა სავსებით გადალახვა. მემარჯვენეების ბელადები, რომლებმაც არსებითად არ გააკრიტიკეს თავიანთი ორწლიანი გეგმა და არ ამხილეს მისი ანტილენინური შინაარსი, ამით ცხადჰყოფენ, რომ ისინი კვლავაც ფიქრობენ „ლოდინს“ და მანევრების წარმოებას. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამას ისინი ჩვენს პარტიაში ველარ შესძლებენ. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც პარტია ატარებს, ცხოვრებამ გაამართლა და პარტია არ დაუშვებს მისი ჩაშლის არავითარ ცდას.

უმნიშვნელოვანეს საკითხს ნაყოფიერი სოციალისტური შეტევისათვის წარმოადგენს განვითარების ტემპების საკითხი. შეუჩერებელი, აჩქარებული ტემპები ინდუსტრიალიზაციისა ცხადჰყოფენ სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე. მხოლოდ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების აჩქარებით უახლოეს ისტორიულ ვადაში ტეხნიკურ-ეკონომიურად დავეწევით და წინ გაუსწრებთ კაპიტალიზმის მოწინავე ქვეყნებს. ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში არა თუ დაგვანახვა ჩვენი უდიდესი მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში, განვითარების განსაცვიფრებელი, არც ერთ კაპიტალისტური ქვეყანაში ჯერ არ ნახული ტემპები, არამედ მთელი სიგრძე-სიგანით გადაშალა ჩვენი ჩამორჩენილობა მრეწველობას განვითარების დაბალი დონის მხრივ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით და ჩვენი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა. „სოციალიზმის მთავარი შეტევა ჩვენს თანამედროვე პირობებში გულისხმობს ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის გაძლიერებას, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ეკონომიურად შევიწროების გაძლიერებას, მასების მობილიზაციას სოციალისტური მშენებლობის გარშემო, მასების მობილიზაციას კაპიტალიზმის წინააღმდეგ“. ცხადია, რომ „ის პირები, რომელნიც ლაყბობენ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპის შენელების აუცილებლობაზე, წარმოადგენენ სოციალიზმის მტრებს და ჩვენი კლასობრივი მტრების აგენტებს“ (სტალინი).

კლასობრივ აგენტურას, კულაკობის აგენტურას ჩვენი პარტიის რიგებში წარმოადგენენ მემარჯვენე ოპორტუნისტები. ამ რამდენიმე ხნის წინად თავიანთ გამოსვლებში ყრილობის წინ მემარჯვენეები ილაშქრებდნენ ლოზუნგის „ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“-ს წინააღმდეგ, ლოზუნგის, რომელიც მთელი მუშათა კლასის დროშას წარმოადგენს, რომელიც რაზმავს არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მშრომელთა ფართო ფენებსაც.

ყრილობაზე მემარჯვენეთა ლიდერებმა, რასაკვირველია, ვერ გაბედეს დაეცვათ თავიანთი პოზიციები, ისინი იძულებულნი გახდნენ ეღიარებიათ, რომ ლოზუნგი „ხუთწლედი 4 წელიწადში“ გახდა ნამდვილ მასიურ ლოზუნგად. ამასთან მათ ფართოდ არ გააკრიტიკეს თავიანთი „პლატფორმა“, რომელიც მიმართული იყო ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპების წინააღმდეგ, „პლატფორმა, რომელიც ლამობდა ინდუსტრიალიზაციის შემდგომი გაშლა-გაფართოების ტემპის შენელებას, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა მშენებლობის ტემპის შენელებას. ისინი თავიანთ „პლატფორმას“ განმარტავდნენ, როგორც მაჩანჩალურს, თუმცა კი ფაქტიურად ის იყო განვითარების კულაკური გზის ნამდვილი დროშა. ისინი ლაპარაკობდნენ „რეკონსტრუქციის არასაკმარისად შეფასებაზე“, თუმცა კი ნამდვილად მათი პლატფორმა მოასწავებდა სოციალისტური რეკონსტრუქციის უარყოფას და პოზიციების დათმობას კლასობრივი მტრისათვის.

პარტია დარაზმავს ყველა მუშებისა და ყველა ღარიბი და საშუალო გლეხების მთელს ძალასა და საშუალებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის. კი არ უნდა შენელდეს, არამედ უფრო მეტად უნდა გაიშალოს და გაფართოვდეს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა მშენებლობა. კი არ შევკვეცავთ, არამედ გავშლით და გავაფართოვებთ ჩვენს სოციალისტურ შეტევას კაპიტალისტურ ელემენტებზე. ჩვენ განვახორციელებთ უდიდეს ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. ჩვენ ამოვაგდებთ საბოლოოდ კაპიტალიზმს ყველაზე მაგარ და ღრმა ფესვებს.

გაშლილი სოციალისტური შეტევის წარმატებით განხორციელება გულისხმობს იმას, რომ დაუნდობლად უნდა იქნას ძლეული მომაკვდავი კლასების წინააღმდეგობა, იმ კლასებისა, რომლებიც ნებაყოფლობით არ ჩამოდიან ისტორიული მოქმედების სცენიდან. მემარჯვენე ოპორტუნისტულმა თეორიამ „კულაკის სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის“ შესახებ სავსებით დაგვანახვა თავისი ნამდვილი სახე. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ზედა ფენების მავნებლობა, რომელიც თავის გამანადგურებელ მუშაობაში ემყარება გარედან აღმოჩენილ დახმარებას, კულაკის მავნებლობა და მისი ბრძოლა კოლექტივიზაციის წინააღმდეგ,—ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ არის ძლეული. ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა დღეს უფრო გაიზრდება სოციალისტური შეტევის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, სოციალიზმის წარმატებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო კაპიტალისტური გარემოცვა სრულიადაც არ ფიქრობს გულდამშვიდებით უცქიროს სოციალიზმის წარმატებას ჩვენს ქვეყანაში, ის არ დაკმაყოფილდება გულგრილად უყუროს იმას, თუ როგორ ხდება ჩვენში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია. კაპიტალიზმი, აძლიერებს რა ყოველი გზით მავნებლობას ჩვენს ქვეყანაში, გაფთრებით ემზადება გარდამწყვეტი შებრძოლებისათვის სოციალიზმის სწრაფად მშენებლ ქვეყანასთან.

ჩვენ წარმატებით შევასრულებთ გაშლილ სოციალისტურ შეტევას, ჩვენ გავუმკლავდებით კაპიტალიზმს შიგნით და ავაგებთ სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს. სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ მრავალი მილიონები, ჩვენს მშენებლობაში ებმებიან მუშათა და გლეხთა ახალი და ახალი ფენები. ზრდა მათი შეგნების, მათი კულტურულად ამაღლება, მათი აქტიურობა და თვითმოქმედება, რაც გამოხატულებას ჰპოვებს სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის მძლავრ გაშლაში,—ყოველივე ეს გარდამწყვეტ ფაქტორად ევლინება მთელს ისტორიას. ჩვენ გადავლახავთ ყველა სიძნელეებს, გავუმკლავდებით კლასობრივ მტრებს, ვინაიდან ჩვენი პარტია არის მთლიანი და შეკავშირებული, როგორც არასოდეს, პარტიის გენერალური ხაზის, გარშემო, თავის ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენი პარტია ნებას არ მისცემს მემარჯვენე უკლონისტებს —ამ კულაკობის აგენტურას, პარტიის შიგნით—„იხსნენ“ და „უცადონ მომენტს“. ბოლო მოეღოს ოპოზიციას,—ასეთია პარტიის ყველა წევრისა და მთელი მუშათა კლასის საერთო მოთხოვნა. ამას მოითხოვს გაშლილი სოციალისტური შეტევის წარმატებითი ჩატარება სახალხო მეურნეობის მთელს ფრონტზე.

„პრავდა“. ორი ივლისი.

---

*) ამხ. ლომინაძის სიტყვა უკვე იყო მოთავსებული „კომუნისტში“ მოკლედ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის გადმოცემით. ახლა ვათავსებთ სტენოგრაფიულ ანგარიშს. რედ.

გუშინ ყრილობაზე

(ტელეფონით სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 3 ივლისი. დღევანდელი დილის სხდომა გაიხსნა ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით. ამხ. ს. ორჯონიკიძემ განაგრძო 2 ივლისის საღამოს სხდომაზე დაწყებული მოხსენება და დაამთავრა ის დღის 1 საათზე. მოხსენების დამთავრების შემდეგ ყრილობამ მქუხარე ოვაციები გაუმართა ამხ. ს. ორჯონიკიძეს და სხდომის მცირე ხნით შეწყვეტის შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენების ირგვლივ.

კამათში გამოვიდნენ ამხ. **ზატონსკი** (უკრაინა), **მეჟლაუკი** (მოსკ.), **სტრუპე** (ლენინგრადი), **ენუქიძე** (მოსკოვი) და **იაროსლავსკი**.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების ირგვლივ. გამოვიდნენ ამხ. **კუდელი** (ლენინგრადი), **ბრიუხანოვი** (საბჭოთა კავშირის ფინსახკომი), **ჟუკოვი** (შორეულ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმია), **ოსმოვი** (ნიჟნი-ნოვგოროდის მხარე), **იაკოვლევა** (რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინსახკომი), **ზემლიაჩკა**, **კრილენკო**, **ბოგდანოვი** (კაზაკსტანი) და **იაკოვლევი** (ამიერ-კავკასია).

1 ივლისის დილის სხდომა

ამხ. ბაუმანი

ამხ. ბაუმანი თავის სიტყვაში დაწვრილებით არჩევს იმ შეცდომებს, რომელიც მოსკოვის კომიტეტმა დაუშვა მისი ხელმძღვანელობის დროს. პირველი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგს მეორე ლოზუნგი დაემატა: ახალი ბურჟუაზიის ლიკვიდაცია. მეორე შეცდომა დაშვებულ იქნა მოსკოვის ოლქის გადაჭარბებული კოლექტივიზაციის გამო, ეს ოლქი კი არ წარმოადგენს ხორბლეულის რაიონს. რაშია ჩვენი შეცდომების გაკვეთილები? იმაში, რომ მასებს არ უნდა ჩამოვრჩეთ, მაგრამ არც წინ უნდა გავუსწროთ. ზოგს ეგონა, რომ უკუქცევა საკოლმეურნეო მოძრაობაში ნიშნავს უკუქცევას რევოლიუციონურ მოძრაობაშიც. ეს, რასაკვირველია, ტლანქი პოლიტიკური შეცდომა იყო, მაგრამ მართალნი არ არიან ის ამხანაგები, რომელნიც სცდილობენ ეს შეცდომები რაღაც განსაკუთრებულ ხაზად დასახონ, რომელიც თითქო უპირისპირდება პარტიის ვენერალურ ხაზს. ეს სისულელეა. მაგრამ, აუცილებელია, რომ ამ შეცდომებმა ფრთები შეასხეს „მემარცხენე“ და მემარჯვენე ოპორტუნისტებს. საყოველთაოდ ცნობილი, რომ კოლექტივიზაციის საგეგმო პროგრამა, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა ამ წლის 5 იანვარს მოგვცა, განხორციელებულია და ამ მხრივ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდ გამარჯვებას მიაღწია. ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კოლმეურნეობათა განვითარების ნიადაგზე ხორბლეულის პრობლემა გადაჭრილია და უკვე შეგვიძლია ტეხნიკური კულტურისა და მესაქონლეობის განვითარების პრობლემა დავსვათ.

კოლექტივიზაციის წყალობით თანდათან ჰქრებიან უცხენო და უინვენტარო მეურნეობანი. ახლო მომავალში აღარ გვექნება არც ერთი უცხენო და უინვენტარო მეურნეობა. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ატმოსფერაში ჩვენ ვსძლევთ გლეხობის საშუალო ფენების იჭვიანობას. დღეს სხვანაირად სდგას საკითხი—ვინ ვის? პარტიის მე-15 ყრილობაზე ამხ. სტალინი ამბობდა, რომ საკითხი „ვინ ვის“ ვაჭრობის დარგიდან გადატანილია შინამრეწველობასა და სოფლის მეურნეობის წარმოებაში, სადაც კერძო კაპიტალს თავისი ხვედრითი წონა აქვს და საიდანაც იგი გაძევებული უნდა იქნასო. მე-16 ყრილობაზე ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ მრეწველობის დარგში ეს საკითხი გადაწყვეტილია და ჩვენ მის გადაწყვეტას შევუდექით სოფელშიაც. სოფელი წინ მიდის სოციალიზმისაკენ. ეს დიდი მიღწევაა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკაში. ჩვენ მივდივართ კლასთა თანდათანობითი მოსპობისაკენ, როცა ღარიბი და საშუალო გლეხები ნელ-ნელა ჰკარგავენ წვრილ მესაკუთრის ბუნებას და კოლმეურნეობებში სოციალიზმის მუშაკებად იქცევიან.

შინაურ გამარჯვებასთან ერთად კაპიტალისტურ მსოფლიოზედაც ვიმარჯვებთ. ამხ. სტალინის მოხსენების ცენტრალური ადგილი „ჩვენი“ და „მათი“ დაპირისპირება იყო. ჩვენ გარკვეულ გამარჯვებას მივაღწიეთ მსოფლიო კაპიტალიზმზედაც და კომინტერნის უკლონისტებზედაც. სასურველია, რომ ამხ. ბუხარინმა დაუყოვნებლივ უარი სთქვას ორგანიზაციაქმნილი კაპიტალიზმის არალენინურ თეორიაზე.

ცენტრალური კომიტეტის გამარჯვებანი თვალსაჩინოა. ტროცკიზმი შემუსვრილია. უეჭველია, რომ ამ ყრილობაზე დავამთავრებთ მემარჯვენე გადახრის შემუსვრას. ამხ. რიკოვის და ამხ. ტომსკის გამოსვლებს არ შეუძლია ჩვენი დაკმაყოფილება. ამხ. რიკოვს არ ესმის, რაში მდგომარეობს წვრილ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმის რაობა. მემარჯვენეების ბელადები ვერ გრძნობენ, საით მიდიან. ამას მოწმობს ამხ. უგლანოვის გამოსვლა. საჭიროა კარანტინის შენარჩუნება. უადგილო იყო ამხ. ტომსკის მხიარულება, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ, რომ მემარჯვენეები პარტიას აბრალებდნენ სამხედრო—ფეოდალურ ექსპლოატაციას აწარმოებსო.

თავის სიტყვას ბაუმანი ათავებს ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ბოლშევიკურ ლენინურ ც. კ-ს! გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიის ბელადს—ამხ. სტალინს!“ (ტაში).

ამხ. სირცოვის სიტყვა

თავის სიტყვის დასაწყისში ამხ. სირცოვი შეჩერდა ამხ. ხატაევიჩის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ მოხდეს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ლიკვიდაცია. ამხ. სირცოვი აღნიშნავს, რომ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მდგომარეობა მართლაც განსხვავდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკების აპარატების მდგომარეობისაგან. მიუხედავად ამისა, აპარატის ლიკვიდაციის საკითხი მეტად დიდი საკითხია და საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს მისი ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა.

ვშიშობ, — ამბობს ამხ. სირცოვი,—რომ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის აპარატის საკითხის სასწრაფოდ გადაჭრის მოთხოვნაში მოსჩანს ერთად-ერთი სურვილი—გატაცება რეორგანიზაციით.

ამავე დროს ამხ. სირცოვი ფიქრობს, რომ რ. ს. ფ. ს. რ-ის მთავრობის აპარატის დატოვება ეხლანდელ სახით არ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ რეორგანიზაცია დაიწყოს საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ.

შემდეგ ამხ. სირცოვი შეეხო პარტიის სამეურნეო პოლიტიკას და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სამეურნეო მდგომარეობას. ამხ. სირცოვს მოჰყავს ჩვენი საზღვარგარეთელი მტრების აზრი ჩვენი მშენებლობის შესახებ. „სოციალ. ვესტნიკ“-ში, მაგალითად, რუსი მენშევიკები ამას წინად სწერდნენ, რომ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობა ვერ დასძლევს კავშირში არსებულ დისპროპორციას. ამავე—დისპროპორციის დაუძლევლობას—ჩასჭიდებია ჩვენი მემარჯვენე ოპოზიცია.

იმ გარემოებას, რომ ჩვენ ქვეყანაში არსებობენ სამეურნეო და კლასობრივი წინააღმდეგობანი,—განაგრძობს ამხ. სირცოვი,— არ შეუძლია არ შექმნას დისპროპორცია. სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის არსებულ დისპროპორციიდან ხსნას მემარჯვენე უკლონისტები ეძებდნენ ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებაში. მაგრამ სავსებით აშკარაა, რომ მრეწველობის განვითარების გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარება. სოფლის მეურნეობას და მრეწველობას შორის არსებული დისპროპორციის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ დროთა განვითარებაში და გაბედული კურსით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე.

შემდეგ ამხ. სირცოვი აღნიშნავს დისპროპორციის არსებობას სამრეწველო პროდუქციის რიცხვსა და ხარისხს შორის. ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენ რიცხობრივ წარმატებას აქვეითებდნენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხობრივი მაჩვენებლები. პროდუქციის ღირსების საგრძნობი გაუარესება მოითხოვს ყრილობის ყურადღებას, ვინაიდან სერიოზულ წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუ ღირსებისათვის ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციები არ იქნებიან ჩაბმული.

1930 წელი,—აღნიშნავს ამხ. სირცოვი,— უნდა გადაიქცეს გარდატეხის წელიწადად დისპროპორციის მოსპობის საქმეში, კერძოდ, ხარისხსა და რიცხვს შორის არსებული დისპროპორციის მოსპობის საქმეში.

ამხ. სირცოვი გვაფრთხილებს დამკვრელობის და სოცშეჯიბრების ბიუროკრატიზაციისაგან. მას მოჰყავს ფაქტები, საიდანაც სჩანს, რომ მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელნი არა კრიტიკულად უდგებოდნენ სოციალისტური შეჯიბრების საქმეს (მაგალითად, კომუნალურ მუშაკთა პროფკავშირის მოსკოვის საოლქო განყოფილება მივიდა იქამდე, რომ სოცშეჯიბრება დააწესა კრემატორიის მომუშავეთათვის და მოითხოვა მათ კრემაციის საკონტროლო ციფრების აუცილებლად შესრულება).

ჩვენ ბევრი სიძნელის გადალახვა მოგვიხდება,—განაგრძობს ამხ. სირცოვი.—მაგრამ ეს სიძნელეები, როგორც სამართლიანად აღნიშნა ამხ. სტალინმა, წარმოადგენენ ზრდის სიძნელეებს და თავისთავე შეიცავენ დაძლევის შესაძლებლობას.

ამხ. სირცოვი

თავის სიტყვის უკანასკნელი ნაწილი ამხ. სირცოვმა უძღვნა მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ლიდერების გამოსვლას ყრილობაზე.

ამხ. სირცოვი აღნიშნავს, რომ ამხ. რიკოვის გამოსვლა არ იყო საკმაოდ მკაფიო. როდესაც შეეკითხნენ ორწლედზე, მან გარკვეული და ნათელი პასუხი ვერ მოგვცა მაშინ როდესაც ორწლედის დაპირისპირება ხუთწლედს. მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილმა ლიდერმა სიცხადე და გარკვეულობა უნდა შეიტანონ თავიანთი შეცდომების ჩამოყალიბებასა და შეფასებაში. ამხ უგლანოვის გამოსვლა ამხ. სირცოვმა ჩასთვალა სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

ამხ. სირცოვის უკანასკნელი სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტია გადალახავს სიძნელეებს და მიიყვანს მუშათა კლასს საბოლოო გამარჯვებამდე, დარბაზში ხანგრძლივი ტაშით დაიფარა.

ამხ. უხანოვი

(მოსკოვის საბჭო)

ამხ. უხანოვი, რომელსაც ყრილობა ტაშით ხვდება თავის სიტყვას იწყებს იმაზე მითითებით, რომ მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილ დროს უდიდესი ამბები ახასიათებენ. დღემდე არც ერთ ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტი არ გამოსულა ასეთი მიღწევებით. დღეს მართლაც ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ, ჩვენ სოციალიზმი შეგვაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ ორი წლიწად ნახევარში ბუმბერაზული ნაბიჯებით სწარმოებდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამ ხნის განმავლობაში საფუძველია ჩაყრილი იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემდგომ წლებში უფრო მეტი სისწრაფით გაიზარდოს ინდუსტრია.

ამხ. უხანოვი ჩერდება ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობაზე. თუ მე-15 ყრილობაზე,—ამბობს ამხ. უხანოვი,—ჩვენ აღვნიშნავდით, რომ სოციალისტური ურთიერთობანი ემყარებიან სოციალისტურ მრეწველობას, მე-16 ყრილობაზე ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ სოციალისტური ურთიერთობანი ამჟამად ემყარებიან სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორს, რომელიც უფრო და უფრო იზრდება. მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენ გადავსჭერით ისეთი ამოცანები, რომლებიც მოწმობენ სოფლის მეურნეობის მსხვილი ფორმების შესაძლებლობას და სოფლის მსხვილი მეურნეობის ხელსაყრელობას. მე-15 ყრილობიდან მე-16-დე საშუალო გლეხობამ შეიცვალა შეხედულება სოციალისტურ მშენებლობაზე და საშუალო გლეხი შეგნებულად შევიდა კოლმეურნეობაში.

ამხ. უხანოვი აღნიშნავს, რომ ცენტრალური კომიტეტი თანდათანობით და სისწორით ატარებდა იმ ხაზს, რომელიც მე-15 ყრილობამ დასახა.

მუშების გაძლიერებული აქტივობა,—აღნიშნავს ამხ. უხანოვი,—წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის დამატებით რეზერვს.

შემდეგ ამხ. უხანოვი ჩერდება მოსკოვის საოლქო ხელმძღვანელობის შეცდომებზე და გადახვევებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა კოლექტივიზაციის გაზაფხულის კამპანიის დროს.

დასასრულ ამხ. უხანოვი ეხება მემარჯვენე გადახრის ყოფილი ბელადების გამოსვლებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მათ არ მოუციათ მათი წინანდელი პოზიციის დამაკმაყოფილებელი შეფასება. პარტია მემარჯვენე ბელადებისაგან მოელოდა მათი წინანდელი გამოსვლების, მათი წინანდელი პოზიციის მკაცრ ბოლშევიკურ კრიტიკას. მაგრამ მემარჯვენე ოპოზიციის ბელადები შეეცადნენ ამისათვის გვერდის ახვევას. ამხ. უგლანოვის გამოსვლას ორატორი უწოდებს თვალთმაქცურ გამოსვლას. ბრძოლას ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ ამხ. უგლანოვი ეწეოდა თითქმის მე-16 ყრილობამდე. პარტია მოითხოვს, რომ მემარჯვენე ბელადებმა არა მარტო სიტყვით აღიარონ თავიანთი შეცდომები, არამედ პრაქტიკულად პარტიასთან ერთად იბრძოლონ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მე-16 ყრილობამ უნდა განაცხადოს, რომ არა თუ მემარჯვენე გადახრის იდეის პროპაგანდისათვის, არამედ მისდამი თანაგრძნობისათვისაც პარტიიდან გარიცხვაა საჭირო,—ათავებს თავის სიტყვას ამხ. უხანოვი, რომლის უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავს.

1 ივლისის საღამოს სხდომა

ამხ. პოკროვსკი

მქუხარე ტაშით ხვდებიან ყრილობის დელეგატები ტრიბუნაზე ამხ. პოკროვსკის გამოჩენას. ამხ. პოკროვსკი ჩერდება იდეოლოგიურ ფრონტსა და მის საკითხებზე.

ამხ. რიკოვი და ტომსკი, რომლებიც აქ გამოვიდნენ,—ამბობს ამხ. პოკროვსკი,—შეეცადნენ აეხსნათ თავიანთი შეცდომები კერძო ხასიათის მიზეზებით. ეს მართალი არ არის. მემარჯვენე გადახრა არის მსოფლმხედველობა, რომელსაც აქვს თავისი ღრმა სოციალური ფესვები. საჭიროა მემარჯვენე გადახრის საფუძველთა ღრმად შესწავლა. ამხ. სტალინმა თავის გამოსვლაში აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე გაგვაფრთხილა, რომ ადგილი აქვს ჩვენი თეორეტიული აზროვნებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების სახიფათო ჩამოშორებას სოციალისტური მშენებლობისა და კლასობრივი ბრძოლის მწვავე საკითხებისაგან. ამხ. პოკროვსკი აღნიშნავს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს გარდატეხა ამხრივ.

ამხ. სკრიპნიკი

ამხ. სკრიპნიკი ეხება ამხ. ტომსკისა და რიკოვის გამოსვლებს. მათ არ შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, რომლებიც იკისრეს გასული წლის ნოემბერში და არ აწარმოებდნენ აქტიურ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასა და შემარიგებლობასთან.

ამხ. სკრიპნიკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამხ. სტალინის მითითებანი ნაციონალურ საკითხში უთუოდ სწორი და დროულია. პარტიულ ხელმძღვანელობას უკრაინაში განუწყვეტლივ უხდება შეურიგებელი ბრძოლა ველიკორუსულ შოვინიზმთან და უკრაინულ ნაციონალიზმთან. როგორც პირველი, ისე მეორე, ერთნაირად წარმოადგენს პროლეტარიატისადმი მტრული კლასების იდეოლოგიას, ამ ბრძოლაში გადახრებთან ნაციონალურ საკითხში უკრაინის ორგანიზაციამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

ჩვენი მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ ჩვენი წარმატება,—ამბობს ამხ. სკრიპნიკი.—ამ წარმატებას თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი ცენტრალური კომიტეტის მიერ ფართოდ და გაბედულად გაშლილმა ბოლშევიკურმა თვითკრიტიკამ. თვითკრიტიკამ შესაძლებელი გახადა პარტიის ირგვლივ მუშათა მასების უფრო მეტად დარაზმვა და მათი აქტივობის გაძლიერება. მემარჯვენენი ცილს სწამებდნენ პარტიას და ყაზარმას უწოდებდნენ მას. ეს ცილისწამება ნასესხებია თეთრგვარდიული წყაროებიდან. მემარჯვენე ოპორტუნისტებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა ამ ბოლო დროს პარტიულ და მუშათა მასების აქტივობა და შეგნება.

ამხ. ტომსკიმ, რიკოვმა და ბუხარინმა ნამდვილად უნდა გასწყვიტონ კავშირი წარსულთან, ვიდრე გვიან არ არის. ქვედა საფეხურის ორგანიზაციებში ჩვენ ხელმძღვანელ სამუშაოზე არ ვაჭაჭანებთ პარტიის არც ერთ ისეთ წევრს, რომელიც თუნდაც მცირეოდენ ეჭვს იწვევს. ეს წესი უნდა დავიცვათ აქაც—ყრილობაზე.

ამხ. ცხაკაიას სიტყვა

(ამიერ-კავკასია)

მებრძოლი ტონი, რომელიც გამოკრთოდა აქ. ც. კ-ის საანგარიშო მოხსენებებში, ბოლშევიზმს თან დაჰყვა ისტორიულად, ის იშვა ბოლშევიზმთან ერთად და გაიზარდა დაუნდობელ ბრძოლაში მენშევიზმთან და ყველა გადახვევებთან ლენინური ხაზიდან.

ამხ. ცხაკაიამ გაიხსენა შინაპარტიული ბრძოლა წარსულში და შემდეგ შეეხო პარტიის დღევანდელი დღის პოლიტიკის საკითხებს. განსაკუთრებულად შეჩერდა ამხ. ცხაკაია ბრძოლაზე კოლექტივიზაციისათვის ამიერ-კავკასიაში. იგი მკაცრად აკრიტიკებს ც. კ-ის სწორი ხაზის დამახინჯებებს, რასაც ადგილი ჰქონდა იქ ამ საკითხში.

ყრილობაზე გამოსული მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილი ბელადების შესახებ ამხ. ცხაკაიამ განაცხადა:

„როდესაც ჩვენთან, ამიერ-კავკასიის ყრილობაზე, ამხ. ტომსკი გამოვიდა ც. კ.-ის მუშაობის შესახებ მოხსენებით, ჩვენ მას მეტად გულთბილად და მეგობრულად შევხვდით. ჩვენ ვფიქრობდით: მაშასადამე, ტომსკის საქმეს გამოსწორება ეტყობა. იგი კარგად მიდის. მაგრამ ყრილობა ვერ დააკმაყოფილა მისმა გამოსვლამ. ის, რაც ჩვენ ტომსკისაგან მოვისმინეთ აქ, მე-16 ყრილობაზე, წარმოადგენს მის მიერ თბილისში გაკეთებული მოხსენების განმეორებას. ეს საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ მემარჯვენე გადახრის ყოფილი ბელადები დარჩნენ ოპორტუნისტებად და მეტად საშიშარ ოპორტუნისტებადაც. ტომსკის და რიკოვს უფრო გაბედულად უნდა ეღიარებიათ თავიანთი შეცდომები. უნდა მოვთხოვოთ მათ, რომ სავსებით განთავისუფლდნენ ოპორტუნისტულ განწყობილებისაგან. მათ არ უნდა დაივიწყონ ტროცკის ისტორია (ტაში).

ამხ. იაროსლავსკის სიტყვა

თავის სიტყვის დასაწყისში ამხ. იაროსლავსკი აღნიშნავს, რომ მემარჯვენე ოპოზიციის ბელადების გამოსვლამ ყრილობის ყურადღება რამდენიმე ჩამოაშორა დიდ საკითხებს, რომლებიც ამხ. სტალინის და კაგანოვიჩის მოხსენებებში იყო დასმული (ხმები: „მართალია“). ამასთან დაკავშირებით, ამხ. იაროსლავსკი მოაგონებს ყრილობას ლენინის მიერ 1920-21 წელს თქმულ სიტყვებს, რომ დისკუსია—მეტად დიდი ფუფუნებაა ჩვენთვის. ლენინი ამბობდა მაშინ: „გვეყოფა ჩვენ ოპოზიცია! კმარა ოპოზიცია!“.

ყველა დაჯგუფებათო,—ამბობს ამხ. იაროსლავსკი, რომლებიც ჩვენს პარტიაში იქმნებოდნენ მთელ რიგ წლების მანძილზე, ჰქონდათ ერთი და იგივე კლასობრივი საფუძველი, გამოხატავდნენ წვრილი ბურჟუაზიის განწყობილებებს და იდეოლოგიას. მემარჯვენე ოპოზიცია, ეჭვს გარეშეა, წარმოადგენს იდეოლოგიას კულაკური კლასისას, ერთად-ერთი კლასისას ჩვენს ქვეყანაში, რომელიც წარმოშობს კაპიტალისტურ ურთიერთობას. აქ გამოსვლის დროს უგლანოვმა განაცხადა, რომ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ხელი აიღო კლასობრივ პოლიტიკაზე და ამის საპასუხოდ მიიღო შენიშვნა, რომ ამ დროს იგი ატარებდა სხვა კლასის პოლიტიკას.

არ შეიძლება შემცირება მემარჯვენე საფრთხისა უახლოესი პერიოდისათვის. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, რომ ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლა შენელდეს. მაგრამ შემდგომი სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე დაკავშირებულია კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებასთან.

გადადის რა ტროცკიზმთან ბრძოლის გაკვეთილებზე, ამხ. იაროსლავსკი ამბობს, რომ პარტიაში ბევრი ახალგაზრდაა, რომელთაც არ გაუვლიათ ტროცკიზმთან ბრძოლა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი რიგი მემარჯვენე ამხანაგები, ისე, როგორც, ოდესღაც ტროცკი, იძლეოდა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტის დაპირებას, მაგრამ მათ ეს დაპირება არ შეასრულეს. ამხ. იაროსლავსკის ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ამხ. ბუხარინისა და ტომსკის განცხადებები 1929 წლის 25 ნოემბერს და ამხ. უგლანოვისა და კულიკოვის განცხადებები. რამდენიმე დღის შემდეგ განცხადების შეტანიდან ამხ. უგლანოვი უკვე შესაძლებლად სთვლიდა ც. კ-ის მიმართ მტრულ საუბარს ამხანაგებთან.

უნდა აღინიშნოს შემდეგი,—ამბობს ამხ. იაროსლავსკი:—მათ მშვენივრად იციან ამხ. სტალინის როლი ჩვენს პარტიაში და ახსოვთ, თუ რას ამბობდა ლენინი ბელადებისა და მათი ავტორიტეტის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვლა ამ ავტორიტეტს. მაგრამ ისინი მაინც მიდიან ტროცკის გზით და აღმაშფოთებელი საშუალებებით უტევს სახელს ამხ. სტალინს. საქმე იქამდე მიდის, რომ სახელის გატეხის გეგმებსაც კი ამუშავებენ, ჩვენ პოლიტიკას იხსენიებენ უსაძაგლესი ეპიტეტებით, რომლებიც ნასესხებია მეორე ინტერნაციონალის არსენალიდან. ამგვარი ლაპარაკი ზოგჯერ ნაყოფს იძლევა. არ შეიძლება მთელი თვეების და წლების განმავლობაში დაუსჯელად სისაძაგლის ლაპარაკი ადამიანის შესახებ. ათასები არ დაიჯერებენ, რამდენიმე კაცი კი დაიჯერებს. მათაც, როგორც სჩანს, ამისი იმედი აქვთ.

შემდეგ ამხ. იაროსლავსკი გადადის პრესის საკითხებზე და აღნიშნავს მისი როლის შეუჩერებელ ზრდას სოციალისტურ მშენებლობაში და ოპორტუნისტულ თეორიასთან და პრაქტიკასთან ბრძოლაში.

ჩვენი ცენტრალური ორგანო „პრავდა“ სარგებლობს უდიდესი დამსახურებული ავტორიტეტით. ეს სჩანს თუ გინდ მისი ტირაჟის ზრდიდან: 1928 წ.—619.000, 1929 წ.—661.000, 1930 წლის იანვარში—864.000, 30 ივნისისათვის კი მოთხოვნილება „პრავდა“-ზე 1.500.000-ს გადააჭარბა, მაგრამ ქაღალდის უქონლობის გამო მხოლოდ 1.050.000 იბეჭდება. აი, აქ არის ჩვენი სუსტი ადგილი. ამიტომ საჭიროა გადაჭრით გაფართოვდეს პოლიგრაფიული და ქაღალდის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა.

ამ დებულების დასამტკიცებლად ამხ. იაროსლავსკის მოჰყავს აგრეთვე ლენინის თხზულებათა ექსტომიანი გამოცემის მაგალითი. ტირაჟი ამ გამოცემის, რომელიც ფართო მასისათვის იყო გათვალისწინებული, განსაზღვრული იყო 200.000 ცალით. მარტო კომკავშირი კი ახლა მოითხოვს 500.000 ცალს. განა დასაშვებია ასეთი მდგომარეობა, რომ ჩვენ არ შეგვეძლოს ლენინის ნაწერების მიცემა მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვყოფნის სტამბები, მანქანები და ქაღალდი?

ქაღალდისა და პოლიგრაფიული მრეწველობის საკითხი შეტანილი უნდა იქნას ამხ. კუიბიშევის თეზისებში. ჩვენ ჩვენს მტრებს ვამარცხებთ ტრაქტორებით და კომბაინებით. უნდა დავამარცხოთ ისინი აგრეთვე ლენინის ნაწერების მასიური გავრცელებით.

შემდეგ ამხ. იაროსლავსკი აღნიშნავს ც. კ-ის არასაკმაო კავშირს ადგილებთან, საოლქო ხელმძღვანელი მუშაკების სუსტ მონაწილეობას გაზეთში და ლაპარაკობს პრესის ახალი პრაქტიკის შესახებ—მუშათა ბრიგადებისა და რაიონული საკოლმეურნეო გაზეთების შესახებ.

იდეოლოგიურ ფრონტს ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ამხ. სტალინის გამოსვლამ აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე ცხადჰყო, თუ რამდენად აუცილებელია, რომ ცეკა უშუალოდ ჩაერიოს მეცნიერთა და სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობაში. ეს ხომ სამარცხვინო ფაქტია, რომ კომაკადემიის სახელით გამოვიდა წიგნაკი (ბროვკინის), რომელიც კოლექტივიზაციას ადარებს „არაჩეევშინას“ და სხვ.

ამხ. სტალინის გამოსვლა აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტების კონფერენციაზე არაჩვეულებრივად დროული იყო. ამ გამოსვლამ გამოიწვია ის, რომ პოლიტეკონომიის საკითხების დამუშავების ფრონტმა და ფილოსოფიურმა პრობლემებმა ყურადღება მიიპყრო.

საჭიროა იდეოლოგიური ფრონტის გარდაქმნა. არ უნდა იყოს დაყოფა ფრონტებად: აქ ეკონომიური ბრძოლის ფრონტი, აქ პოლიტიკური, აქ იდეოლოგიური. ამხ. სტალინმა თავისი მოხსენების ბოლოში მიუთითა, რომ მთავარი ლენინიზმია. ბრძოლა ლენინიზმისათვის, ამ სიტყვის უფართოესი და სწორი გაგებით, ახლა ჩვენი მუშაობის მთავარ შინაარსს წარმოადგენს. ამით უნდა იყოს გამსჭვალული მთელი ჩვენი პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობა. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა გაშუქებულ უნდა იქნეს ლენინიზმის იდეებით (ტაში).

ამხ. მიქოიანის სიტყვა

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის სისწორე იმდენად აშკარაა, რომ დაწვრილებით დასაბუთებას არ საჭიროებს. ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო გამართული მთელი კამათი ტრიალებდა მუშაობის გაკვეთილების შეფასების და მომავალი ამოცანების გარშემო. უმთავრესი გაკვეთილი ისაა, რომ ცენტრალური კომიტეტი, რომელიც უდიდეს ისტორიულ გარდატეხას ახდენდა, წარმატებით ებრძოდა და ებრძვის არა მარტო კაპიტალიზმის ელემენტებს, არამედ მისი იდეოლოგიის გამოხატულებასაც ჩვენი პარტიის რიგებში. ის გარემოება, რომ მერყევ ელემენტებს შორის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წარსულში პარტიის ცნობილი ლიდერებიც აღმოჩნდნენ, მოწმობს თვით ჩვენს პარტიაზე, თვით მის შტაბზე უცხო კლასების დაწოლის ძალას. ცენტრალური კომიტეტი იმდენად ძლიერი იყო, რომ დაამარცხა ტროცკისტული, ზინოვიევისა და მემარჯვენე ოპოზიცია, ისე, როგორც არც ერთი წინანდელი ოპოზიცია ჩვენს პარტიაში არ ყოფილა განადგურებული.

ამიერ-კავკასიის პარტკონფერენციაზე ამხ. ტომსკი სჩიოდა, რომ მას ძალიან მოსცხეს. მე პირიქით, ვფიქრობ, რომ მას ნაკლებად მოსცხეს. (ხმები: „სწორია“) რომ მათთვის უფრო მაგრა უნდა მოეცხოთ და როგორც საჭირო იყო, მაშინ ამხ. ტომსკი, ალბად, აქ სხვანაირ სიტყვას წარმოსთქვამდა. და როცა ამხ. უგლანოვს ყრილობა ბოლშევიკურად შეხვდა, მან მოუსმინა დელეგატებს და დასწერა განცხადება, სადაც აღიარებს, რომ მისი სიტყვა არ ამხელდა ძირითად შეცდომებს. საჭიროა ნაკლები გულკეთილობა. უნდა მოვცხოთ უფრო ძლიერად და მაშინ ალბად ამხ. რიკოვი და ტომსკი იგრძნობენ.

ამხ. მიქოიანი შემდეგ გადადის ამხ. რიკოვის საქციელზე ურალში. როცა იქ, კონფერენციაზე მას შეეკითხნენ, თუ რა დაემართებოდა ჩვენ ქვეყანას, რომ მემარჯვენე ოპოზიციას გაემარჯვა, მან განაცხადა, რომ სოციალიზმის გამარჯვების გარანტიას არც ერთი ხაზი არ იძლევაო. ამგვარად, მან თავი დაიძვრინა საკითხისაგან. ამხ. რიკოვი ჯერ კიდევ დგას იმ პლატფორმაზე, რომელიც მას შემოდგომაზე, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ეკავა. ამხ. რიკოვი განაგრძობს, მაგალითად, იმის მტკიცებას, რომ ორწლედის თეორია ხუთწლიან გეგმას არ ეწინააღმდეგებაო.

ამხ. რიკოვისაგან ყრილობა მოელოდა თავის შეცდომების ამომწურავ აღიარებას, მაგრამ ამხ. რიკოვმა კიდევ მეტი შეცდომა დაუშვა, ვიდრე აპრილის პლენუმზე.

აი რატომ აქვს ყრილობას სრული უფლება ამ ამხანაგებს არ ენდოს მანამდე, სანამ ისინი თავის შეცდომებს ნამდვილად არ სცნობენ. ისინი სიტყვებსაც კი „მემარჯვენე გადახრა“ გაურბოდნენ და არ იძლეოდნენ მის განმარტებას. ამხ. რიკოვის და ტომსკის მთავარი შეცდომა სწორედ ისაა, რომ ისინი ჩქმალავდნენ მემარჯვენე გადახრის მნიშვნელობას ჩვენს პარტიაში და მთელი საქმე ცალკე შეცდომებზე დაჰყავდათ. მაგრამ საკითხი ეხება იმას, რომ ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზთან ერთად იყო მეორე გენერალური ხაზი, მემარჯვენე გადახრის ხაზი ე. ი. წვრილ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ხაზი, ე. ი. იდეოლოგია, რომელიც გამოხატავს კაპიტალიზმისა და სოფლის კულაკური ზედა ფენის ინტერესებს. მათ ამ ხაზს მივყავდით კაპიტალიზმის მიმართულებით გადახრისაკენ. საქმე სწორედ ამაშია და არა მარტო რეკონსტრუქციის სათანადოდ შეუფასებლობაში. საკითხი ეხებოდა რუსეთის რევოლიუციის ბედს. ჩვენი გამარჯვებები უკანასკნელ წლებში თავისი მნიშვნელობით შეგვიძლია შევადაროთ ოქტომბრის გამარჯვებას ისე, როგორც მემარჯვენეთა მერყეობა ამ პერიოდში შეედრება მერყეობას ოქტომბერში.

მრავალრიცხოვანი შედარებით ამხ. მიქოიანი ამხელს მემარჯვენე ოპოზიციის გენერალურ ხაზს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მაგივრად—მრეწველობის განვითარების ტემპების შენელება,—მძიმე მრეწველობაზე გეზის აღების მაგივრად—გეზის აღება მსუბუქ მრეწველობაზე, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მშენებლობის მაგივრად—გეზის აღება ინდივიდუალურ მეურნეობის განვითარებაზე, კულაკობასთან ბრძოლის და მისი ლიკვიდაციის მაგივრად—ინდივიდუალური დაბეგვრის გაუქმება, სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განვითარებას სხვა შეზღუდვათა გაუქმება, კულაკის გატეხის მაგივრად დათმობათა თეორია, კაპიტალისტურ ელემენტებზე სოციალისტური ელემენტების შეტევის მაგივრად—მოწოდება უკან დახევისაკენ და სხვ. ასევე განსხვავებული ხაზი ჰქონდათ მათ ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა საკითხები თვითკრიტიკისა, პროფკავშირებიდან ტრედიუნიონისტების განდევნისა, კომინტერნის პოლიტიკისა და სხვ. ყველა ძირითად საკითხში მემარჯვენე ოპოზიციას პარტიასთან უთანხმოებები ჰქონდა. აქ იყო ორი ბანაკი, ორი ხაზი, ორი გზა, აქ იყო გაფართოებულ გალაშქრება მთელი პარტიული ხაზის წინააღმდეგ თავისი საკუთარი ხაზის გამოსამუშავებლად, ხაზის, რომელიც უპირისპირდებოდა ჩვენი პარტიის ხაზს. აი საით მიდიოდა მემარჯვენე გადახრა. აი თუ მათ სურთ პარტიის ნდობის აღდგენა, რატომ უნდა აღიარონ მათ თავისი ანტიპარტიული ხაზის არსებობა და მაზე გადაჭრით უარი თქვან (ტაში).

მაგრამ ეს მათ ჯერ არ ჩაუდენიათ. მათი სიტყვები ყრილობაზე—ესაა მემარჯვენე გადახრიდან ჩამოშორება. მაგრამ სრულებით არა გენერალურ ხაზთან მისვლა. ესაა არსებითად შემარიგებელი დამოკიდებულება მემარჯვენე გადახრასთან, რაც ძალიან საშიშია განსაკუთრებით მათთვის, რადგან ისინი მემარჯვენე უკლონისტების ჭაობში იყვნენ ჩაფლობილნი.

ამხ. ტომსკი ამბობდა, რომ მთელი იარაღი დაჰყარა და გაკვირვებას გამოსთქვამდა: კიდევ რას მოითხოვთ ჩვენგანო. მაგრამ საქმე ის არის, რომ მთელი იარაღი ჯერ კიდევ არ არის დაყრილი. ამხ. ტომსკის გვერდის ჯიბეში ჯიბეში კიდევ მოსჩანს იარაღი, რომელიც იქ ან დამალულია ან დავიწყებული. მთელი იარაღი მაგიდაზე დააწყეთ (ტაში). ცოტაა განიარაღება, ცოტაა პარტიის გენერალური ხაზის ცნობა, საჭიროა პარტიულ იარაღს მოჰკიდოთ ხელი და გვიჩვენოთ უნარი ამ იარაღის მიმართვისა მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ (ტაში).

თავის სიტყვის მნიშვნელოვან ნაწილს ამხ. მიქოიანი შემდეგ ანდომებს სასურსათო პრობლემის ფართოდ დახასიათებას და მისი გადაჭრის გზების დასახვას.

პურის საკითხი,—ამბობს ამხ. მიქოიანი,— სწყდება ამ წელშივე, და თუ ჩვენ შევსძლებთ როგორც საჭიროა პურის დამზადების მოწესრიგებას, ჩვენ ქვეყანას უზრუნველვყოფთ პურით და იგი ზედმეტადაც გვექნება.

ამხ. მიქოიანი ცალკე ეხება იმ დეფექტებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ პურის დამამზადებელ აპარატის მუშაობაში და მოითხოვს ამ აპარატისადმი დახმარების გაძლიერებას ფართო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ.

მომარაგების საკითხის გადაჭრა ჩვენ შეგვიძლია და უნდა გადავჭრათ კიდეც. ზოგიერთი მიღწევები ამ მხრივ გვაქვს მიმდინარე წელსაც. ასე, გვაქვს საფუძველი, რომ ბოსტნეულის მეურნეობა მომავალ წელს გაცილებით უკეთესად დააკმაყოფილებს ქალაქების მოთხოვნილებას. ჩვენ გვაქვს აგრეთვე საგრძნობი გამარჯვება ჭარხლის მეურნეობაში. მაშასადამე, მომავალი წელიწადი შაქრით უზრუნველყოფილი იქნება. მიღწევები ბამბის ფრონტზე საშუალებას გვაძლევენ ძალზე წინ წავწიოთ ჩვენი მსუბუქი ინდუსტრია. საფეიქრო მრეწველობა მომავალ წელს გამოვა ამ სიძნელეებიდან, რომლებსაც ის დღემდე განიცდიდა.

ეს გამარჯვებები კიდევ მეტ ყურადღებას მოითხოვენ ხორცისა და ცხიმის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებისადმი.

არ არის სწორი,—ამბობს ამხ. მიქოიანი,— ხორცის მომარაგების სიძნელეთა ახსნა მარტო საქონლის დახოცვით ამ წლის გაზაფხულზე. ხორცის ნაკლებობის ძირითადი მიზეზიც, ისევე როგორც წინად პურისა, არის ჩვენი გლეხური მეურნეობის ეკონომიური ჩამორჩენილობა და დაქუცმაცება. ამის ნათელყოფა თუნდაც იმით შეიძლება, რომ შარშან ძროხების რიცხვი აღემატებოდა ომის წინანდელი დროისას, მაშინ, როცა ერბო—კარაქი ჩვენ დავამზადეთ ომის წინა დროის რაოდენობის მხოლოდ 50 პროცენტი.

ამ პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს მსხვილ მეურნეობათა ორგანიზაცია და საქონლის გამოკვება შაქრის, ღვინის და მრეწველობის სხვა დარგების ნარჩენებით და ჩვენი სასაკლაოების ტეხნიკის გაუმჯობესება.

ხორცის პრობლემის გადაჭრაში დიდ როლს შეასრულებს მეღორეობა. ღორი სწრაფად მრავლდება. მომავალი წლის გაზაფხულისათვის მეღორეობის დარგში ჩვენ უკვე შეგვეძლება საგრძნობ შედეგებს მივაღწიოთ.

მესაქონლეობის განვითარების ლოზუნგი აქა-იქ ისე გაიგეს, თითქო არ შეიძლებოდეს საქონლის დამზადება, მაგრამ ჩვენ ამაზე არ შეგვიძლია წასვლა, ჩვენ არ შეგვიძლია ძალიან შევზღუდოთ ჩვენი ქალაქების მუშების მიერ ხორცის მოხმარება. ამის ნაცვლად ადგილებმა იმას უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ საქონელი ტყუილ-უბრალოდ არ ელეპებოდეს.

შემდეგ ამხ. მიქოიანი გადაჭრით უარჰყოფს იმ მოსაზრებას, რომ კრიზისი მომარაგების დარგში გაგრძელდება სამ-ოთხ წელიწადს. ერბო-კარაქის მრეწველობა უკვე მომავალ წელს მიაღწევს შარშანდელი წლის დონეს. უნდა გავითვალისწინოთ თუნდაც ის გარემოება, რომ თუ წინად გლეხური მეურნეობის 7 მილიონი ძროხა სამ მილიონ ტონა გასასყიდ რძეს იძლეოდა, ჩვენი საბჭოთა მეურნეობების ორი მილიონი ძროხა მოგვცემს ამავე რაოდენობის რძეს.

და თუ,—ამბობს ამხ. მიქოიანი,—ჩვენ უკვე ავწიეთ მარცვლეული მეურნეობა, მაზე დაყრდნობით ჩვენ მალე რძის მეურნეობასაც ფეხზე დავაყენებთ. ჩვენ უნდა წავაქეზოთ ბალახის თესვა და ძირხვენა კულტურა. ეს ზომები, ეჭვს გარეშეა, საშუალებას მისცემენ პარტიას უფრო წარმატებით და დაჩქარებით გამოიყვანს ხორცის და ცხიმის კრიზისიდან, ვიდრე ის გამოვიდა მარცვლეულის კრიზისიდან.

დასასრულ ამხ. მიქოიანი ჩერდება ჩვენი საგარეო ვაჭრობის ამოცანებზე და ჩვენი ექსპორტის გადიდების საჭიროებაზე.

ჩვენ დიდი წარმატება გვქონდა და უფრო მეტი გვექნება, თუ პარტია შემდეგში გადაჭრით აღკვეთს ყოველგვარ გადახრას, პირველ რიგში—ყველაზე საშიშ მემარჯვენე გადახრას (ტაში).

2 ივლისის დილის სხდომა

ამხ. სტეცკის სიტყვა

ჩვენი ეკონომიკის უდიდეს გარდაქმნას და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას თან სდევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება კულტურულ ფრონტზე და ბრძოლის გამძაფრება სოციალისტური მშენებლობის ამ სფეროში.

ამხ. სტეცკი აღნიშნავს, რომ კულტურულ ფრონტზე დღეს არ არის თითქმის არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც გარდაქმნის პროცესში არ იმყოფებოდეს და თავისი მუშაობის ფორმებს არ სცვლიდეს სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანების და მოთხოვნილებების თანახმად.

ცეკას ივლისის პლენუმმა 1928 წ. გადასწყვიტა, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები გადასცემოდნენ სამეურნეო ორგანოებს იმ მიზნით, რომ ისინი უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდნენ სამეურნეო მუშაობას და წარმოებას და კადრების მომზადება სათანადო სიმაღლეზე აეყვანათ. დღეს ეს გარდაქმნა მთავრდება. ძირითადი უმაღლესი სასწავლებლები ინსტიტუტებად ნაწილდებიან და სათანადო სახკომების სამეურნეო ორგანოების ხელში გადადიან, დაარსდა 258 სპეციალური უმაღლესი სასწავლებლამდე—სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, პედაგოგიური, [illegible] და სხვ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო ორგანიზაციები საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენენ ახალი უმაღლესი სასწავლებლების გამართვის საქმეში. სამეურნეო ორგანიზაციებს ჰგონიათ, რომ მათი მთავარი საქმეა წარმოების და მომარაგების მოწესრიგება, ხოლო კადრების მომზადება ისინი მეორე ხარისხოვან საქმედ სთვლიან. ეს აშკარა შეცდომაა.

საშუალო სასწავლებელი დღემდე ნაკლებ დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული. წინად განათლების კომისარიატი საშუალო სასწავლებლებს უმაღლესი სასწავლებლების დერეფნად სთვლიდა, ნამდვილად კი საშუალო სასწავლებელს დამოუკიდებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და მან საშუალო კადრები უნდა მოამზადოს ჩვენი მრეწველობისა და ჩვენი მეურნეობისათვის. ც. კ-თან შემდგარმა პარტიულმა თათბირმა რამდენიმე რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო საშუალო სასწავლებლის გარდაქმნის შესახებ. თათბირი ეყრდნობოდა ლენინის მიერ 1921 წელს მოცემულ დირექტივებს, რომელთა მიხედვით საშუალო სასწავლებლის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების და კვალიფიკაციური მუშების მოსამზადებლად.

შემდეგ სტეცკი აღნიშნავს, რომ საყოველთაო პირველ დაწყებითი სწავლის შემოღება, საბჭოთა კავშირში ორ მახლობელ წელს უნდა მოხდეს. ძირითად სამრეწველო და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში უკვე გვაქვს ყველა ორგანიზაციული და ფინანსიური წინასწარი პირობა, საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოსაღებად 1930-31 წლებში.

მაგრამ კულტურულ ფრონტზე მუშაობა არ განისაზღვრება მარტოოდენ მშენებლობის ამოცანებით. ამ ფრონტზედაც მწვავე ბრძოლა გვიხდება კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. მხოლოდ დღეს, ოქტომბრის რევოლიუციის 13 წლის თავზე, ჩვენ შევსძელით სოციალისტური მშენებლობის ლიანდაგზე გადაგვეყვანა ისეთი დაწესებულება, როგორიცაა სამეცნიერო აკადემია. თითქმის სულ უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო აკადემია მეცნიერული და პოლიტიკური რეაქციის საფარი იყო.

კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს იდეოლოგიური ფრონტის სხვა დარგებშიც. საკმაოა დავასახელოთ პროფესორები კონდრატიევი ვინშტეინი, ბაზაროვი, გრომანი, ჩაიანოვი, ჩელინცევი და მაკაროვი, რომელნიც ჩვენ გამოვამჟღავნეთ და ადგილებიდან მოვხსენით ჩვენ ახალგაზრდა კომუნისტ მეცნიერთა შემწეობით; ისინი კი ჩვენ სახელმძღვანელო ორგანოებში მუშაობდნენ. ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე შეუნელებელი ენერგიით სწარმოებს. საკმაოა გავიხსენოთ კამათი რუბინთან, რომელიც მენშევიკურ ვაყალბებას ახდენს, საკმაოა გავიხსენოთ კამათი პერევერზევთან, რომელიც ამტკიცებდა—ხელოვნება და პოლიტიკა პარალელურ რიგებს წარმოადგენენ, მათ შორის საერთო არაფერიაო. ამგვარი [illegible] საფრთხე იმაშია, რომ ასეთი „მარქსისტის მსგავსი“ მასწავლებლების გარშემო იქმნებიან მთელი სკოლები ახალგაზრდა და თეორეტიკოს-კომუნისტებისა, რომელნიც მფარველობას უწევენ ამ მარქსიზმთან გამყალბებელთ. ეს მეტად დიდი საფრთხეა, და ც. კ-ს არა ერთხელ მიუღია ღონისძიება, რათა ეს კომუნისტები გაეფრთხილებიათ და რევოლიუციონური მარქსიზმის გზაზე დაეყენებია.

მრავალ შემთხვევაში ჩვენი თეორეტიკოსი კომუნისტები მარქსიზმის ბურჟუაზიულ გამყალბებელთ მისდევდნენ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს ამხანაგები ზვიადად დაჰყურებენ სინამდვილეს და ფიქრობენ—ჩვენი დარგი მხოლოდ წმინდა თეორიააო. ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია—მხოლოდ უზენაესი იდეოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად ვართ მოწოდებული, ხოლო ისეთი საკითხები, როგორიცაა შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. ბაზრის პრობლემა და სხ. რა ჩემი საკადრისიაო.

ეს იმ ბურჟუაზიული გავლენის მავნებელი შედეგია, რომელიც დღეს თეორეტიულ ფრონტზე გვაქვს, რაც ჩვენ უეჭველად უნდა დავსძლიოთ. ჩვენ გვჭირია არა კარჩაკეტილი მეცნიერები, არამედ სხვა ტიპის მეცნიერები, რომელნიც მხარში ჩაგვიდგებიან სოციალისტურ მშენებლობაში. თუ ჩვენს ახალგაზრდა მუშაკებს სამეურნეო ორგანიზაციებში გამოვიყენებთ, ეს კარგი საქმე იქნება. მაგრამ ჩვენ ისინი უნდა გამოვიყენოთ ჩვენს მეცნიერულ დაწესებულებებშიაც, სადაც ისეთი ამოცანები და საკითხები უნდა დავსვათ, რომელნიც თეორეტიულ დასაბუთებას და დამუშავებას საჭიროებენ.

დასასრულ, უკლონისტების შესახებ ამხ. სტეცკი ამბობს:

მემარჯვენე გადახრა პოლიტიკურად კულაკურ ინტერესებს გამოხატავს. ბუხარინის შრომები შეიცავენ არა განცალკევებულ თეორეტიულ შეცდომებს, არამედ შეხედულებათა მთელ სისტემას, რომელსაც ფესვები ბოგდანოვის თხზულებებში აქვს და რომელიც მარქსიზმის ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციას წარმოადგენს. უაღრესად ყალბათ გაისმოდა რიკოვის განცხადება: „როგორ გინდათ მაიძულოთ ბუხარინს შევებრძოლო?“ თუ რიკოვს გულწრფელად სურს ჩვენს პარტიასთან ერთად დარჩეს, მან უნდა ამხილოს მემარჯვენე გადახრის პოლიტიკური და თეორეტიული იდეოლოგია. რიკოვი შეეცადა ტროცკიზმის მოწინააღმდეგის შარავანდედით შემოსა თავისი თავი. მაგრამ ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია, თუ კაცი სწორ ლენინურ პოზიციებზე არა სდგას. ხოლო რიკოვის ბრძოლა ტროცკიზმის წინააღმდეგ არსებითად ბრძოლა კი არა, მეგობრული გადახვევნაა. (ტაში).

ამხ. დოგადოვის სიტყვა

(ს. მ. უ. საბჭო)

თავისი გამოსვლა ამხ. დოგადოვმა მეტწილად უძღვნა ამხ. ტომსკისა და რიკოვის მიერ 9 ივნისის წარმოთქმულ სიტყვებს. ამხ. ტომსკის და რიკოვის განცხადებებს ამხ. დოგადოვი არადამაკმაყოფილებლად სთვლის.

ამხ. ტომსკიმ, მე ვფიქრობ, ცუდად გამოიყენა ყრილობაზე გამოსვლის თავისი შესაძლებლობა,—ამბობს ამხ. დოგადოვი.—იმის მაგივრად, რომ ეთქვა ყველაფერი, ამხ. ტომსკი შეეცადა ხუმრობით გაესლიერ ფონს (ხმები ადგილიდან: „უკეთესია შენ თავზე ილაპარაკო!“). ამხ. ტომსკის და რიკოვის პოზიცია იყო კულაკის დაცვის პოზიცია (ხმები ადგილიდან: „უკეთესია შენ საკუთარ თავზე მოგვითხრო“). მე ძალიან მოხარული ვარ ვისარგებლო შემთხვევით და დავახასიათო ჩემი საკუთარი პოზიცია. მემარჯვენე გადახრის თეორიის მომხრე მე არასოდეს არ ვყოფილვარ. პროფკავშირების მერვე ყრილობაზე მე დავუშვი ერთად-ერთი შეცდომა, როდესაც გავილაშქრე ამხ. კაგანოვიჩის საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში არჩევის წინააღმდეგ (ხმები ადგილიდან: „მაშასადამე, შენ მაინც მიდიოდი ც. კ-ის ხაზის წინააღმდეგ“). ჩემს შეცდომას და ჩემს გალაშქრებას ამხ. კაგანოვიჩის არჩევის წინააღმდეგ ღრმა პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა.

შემდეგ ამხ. დოგადოვი აღიარებს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს წინანდელმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც ვერ შესძლო პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნა, დიდი ზიანი მოუტანა საბჭოთა პროფმოძრაობას. ამასთან ერთად ამხ. დოგადოვი აუცილებლად სთვლის განაცხადოს, რომ „პროფკავშირებისათვის თავის დროზე არ მიუთითებიათ მათი მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობაზე“.

ამხ. კირშონის სიტყვა

დიდი სიტყვით გამოდის ამხ. კირშონი. მას მოჰყავს მაგალითები იმ ბრძოლის, რომელიც იდეოლოგიურ ფრონტზე იშლება. ის მიუთითებს ისეთ წიგნების (ეს წიგნები მთავლიტის ნებართვით გამოდის) გამოცემის ფაქტზე, რომლებიც ქადაგებენ რეაქციონერ და პროლეტარული დიქტატურისადმი მტრულ იდეებს.

— ჩვენში,—ამბობს ამხ. კირშონი,—არის ისეთი ლიტერატურული ჯგუფი—„პერევალ“, რომელიც ამტკიცებს, რომ ლიტერატურა ერთიან ნაკადათ მიმდინარეობს. ეს ხომ ნამდვილ „კულაკის სოციალიზმში შეზრდა ლიტერატურულ ფრონტზე“. ჩვენ ვერ დავუშვებთ აპოლიტიურობას მხატვარ-მწერლების შემოქმედებაში. მწერლებს თანამგზავრებს, თუ მათ სურთ არა საკითხავი მასალის მიცემა, არამედ აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში, უნდა ჰქონდეთ გარკვეული იდეოლოგიური ხაზი. კმარა განუწყვეტლივ ლაპარაკი „რევოლიუციის მიღების შესახებ“, მწერლები უნდა ჩადგნენ სოციალიზმის აქტიური მშენებლობის რიგებში.

ამხ. კირშონი მიუთითებს, რომ პროლეტარული ლიტერატურა უკვე გახდა ლიტერატურულ ფრონტის ძირითადი რაზმი და მიდის ჰეგემონიის დაპყრობისაკენ.

დასასრულ ამხ. კირშონს მოჰყავს პროლეტარული მწერლების [illegible] მე-თექვსმეტე ყრილობისათვის და ჩამოთვლის 60-მდე თვალსაჩინო ნაწარმოებს, რომლებიც დასწერეს პროლეტარულმა მწერლებმა მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე.

ამხ. ვოროშილოვის სიტყვა

ამხ. ვოროშილოვს ყრილობა ხვდება მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით.

ამხ. ვოროშილოვი თავის სიტყვას იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენებაში სრული გამოხატულება ჰპოვა კაპიტალისტური მსოფლიოს სტაბილიზაციის ნგრევის სურათმა კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის ნგრევის საერთო ფონზე, იმპერიალისტურ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების, უმუშევრობის უდიდესი ზრდის და საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის წინააღმდეგობათა ზრდის ფონზე, განსაკუთრებით ნათლად მოსჩანს [illegible] შეიარაღებაში და კაპიტალისტური სახელმწიფოების გაფართოებული მზადება მომავალი ომისათვის.

რას წარმოადგენს ამჟამად კაპიტალისტური არმია? არმია, როგორც ასეთი აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს. მთელი სახელმწიფო მთლიანად, მისი მეურნეობა, კულტურული დაწესებულებები და სამეცნიერო ძალები— აი ის ბერკეტები, რომლებიც ამჟამად მოძრაობაში მოჰყავთ მომავალი ბრძოლების მოსამზადებლად. ჩვენი მტრების არმიები ამჟამად წარმოადგენენ სულ სხვა რამეს, ვიდრე ომამდე. უდიდესად გაიზარდა თანამედროვე არმიების ტეხნიკური შეიარაღება. თუ ახლა, მშვიდობიან დროში, კაპიტალისტურმა არმიებმა წარმოუდგენლად გაადიდეს ტყვიამფრქვევების, ტანკების და საავიაციო საშუალებების რიცხვი, თვით ომის განმავლობაში, ეს საშუალებები მრავალჯერ იქნება გადიდებული. არმიის ძლიერება განიზომება, როგორც მისი სამხედრო-ტეხნიკური საშუალებების რაოდენობა, ისე, განსაკუთრებით, მათი ხარისხით. ამჟამად ბომბების გადმოსაყრელ აეროპლანებს შეუძლია 12 ტონამდე სასარგებლო ტვირთის წაღება. 100 ასეთ აეროპლანს შეუძლია გაანადგუროს ევროპის ყოველი ქალაქი. კაპიტალისტურ ქვეყნებში შეუჩერებელი მუშაობა მიმდინარეობს არმიების რეორგანიზაციისათვის. ბურჟუაზია სცდილობს გადასჭრას არმიების შევსების პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით დიდ სიძნელეს წარმოადგენს მისთვის.

არმიების პირადი შემადგენლობის შესახებ ბურჟუაზიულ პრესაში დიდი კამათია. ზოგიერთნი იცავენ მასიური არმიების შექმნის თვალსაზრისს. ბურჟუაზიული სამხედრო ავტორიტეტების მეორე ჯგუფი მხარს უჭერს მექანიზაციაქმნილ ნაწილების შექმნას. ამ ნაწილებში გაიგზავნებიან მხოლოდ პოლიტიკურად საიმედო პირები. ბურჟუაზია მხედველობაში იღებს, რომ მის არმიებს მოუხდება არა მარტო სამხედრო ამოცანების გადაჭრა ფრონტზე, არამედ გამოსვლა რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგაც ქვეყნის შიგნით, რომელიც შეუჩერებლად ვითარდება. ამ მოსაზრებებთან დაკავშირებით განზრახულია შეიქმნას მცირერიცხოვანი დივიზიები, 400—400 კაცი თითოში, რომლებიც შეიარაღებული იქნებიან 80 ზარბაზნით, 450 მძიმე ტყვიამფრქვევით და 20 კილომეტრის ნაცვლად, რომლისაც ახლანდელი დივიზიები გადიან დღეღამეში, შესძლებენ 80 კილომეტრის გავლას. ჯერჯერობით კი ბურჟუაზია ქმნის დიდ მასიურ არმიებს.

რა საშუალებით სცდილობს ბურჟუაზიული სამყარო თავის დაცვას რევოლიუციონური მოძრაობისაგან?

ამჟამად ამერიკის, ინგლისის და გერმანიის არმიები უმთავრესად შესდგება დაქირავებული ძალებისა და სამხედრო სპეციალისტებისაგან. მაგრამ საფრანგეთიც კი იძულებულია ამ გზით წავიდეს. ძირითადი საარმიო კადრები ბურჟუაზიულ ქვეყნებში წინად შეადგენდნენ 20 პროც. ახლა აღწევენ 31 პროცენტამდე. მობილიზაციით შექმნილ არმიებს ბურჟუაზია არ ენდობა, მთელ რიგ ქვეყნებში ბურჟუაზიამ მიიღო კანონები, რომლითაც ომის პირველსავე დღეს ჩვენი ძმური პარტიები ფაქტიურად კანონს გარეშე იქნებიან დაყენებული. სამხედრო მრეწველობა, როგორც ეს სწორად აღნიშნა ამხ. სტალინმა, წარმოადგენს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მეურნეობის ერთად-ერთ დარგს, რომელსაც არ შეხებია კრიზისი. ომის საშუალებათა წარმოება გიგანტიურ ზრდას გვიჩვენებს ყველა ქვეყნებში, ამ მდგომარეობიდან ჩვენ შესაფერი დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ჩვენმა ცეკამ ეს დასკვნები დიდი ხანია გააკეთა. ჩვენ ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური ომის მზადების პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი დასავლეთის მეზობლები თავისი სიღარიბის გამო, განმანადგურებელ საშუალებათა წარმოების მხრივ ჩამორჩებიან დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ უკანასკნელ წლებში იმ განსაკუთრებულ როლთან დაკავშირებით, რომელსაც მათთვის ამზადებენ იმპერიალისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, პოლონეთმა და რუმინეთმა დიდი დახმარება მიიღეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მათ მათი არმიების ხელახლა შეიარაღებაში. პოლონეთმა იმპერიალისტების ხარჯზე შექმნა საკუთარი საკმაოდ კარგი სამხედრო მრეწველობა. პარტიის მე-15 ყრილობაზე ჩემს მოხსენებაში აღვნიშნე, რომ პოლონეთს აქვს 18 სამხედრო ქარხანა. ახლა ამ ქარხნების რიცხვი 32-დე გაიზარდა. ქარხნები მოწყობილია საუკეთესო სამხედრო ფირმების მიერ. ბურჟუაზია მაგრად იარაღდება ჩვენთან საბრძოლველად.

რა გააკეთა ცეკამ საანგარიშო პერიოდში, რომ უზრუნველეყო საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა? პარტიის მე-15 ყრილობაზე მე ვამბობდი, რომ მტრის მზადებაზე ჩვენ უპასუხებთ ჩვენი მრეწველობის გაფართოებით. პარტიის გენერალური ხაზი, რომელსაც ცეკა ატარებდა, ამავე დროს წარმოადგენდა ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების ხაზს. თუჯის წარმოების გადიდება 10 მილიონ ტონიდან (პირველი ვარიანტით) 17 მილიონ ტონამდე, ტრაქტორების მშენებლობის გაფართოება სამჯერ, ავტომშენებლობის—ოთხჯერ, ფერადი ლითონების წარმოების ქიმიური მრეწველობის უდიდესი გაფართოება, ყოველივე ეს წარმოადგენს ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების ხაზის გატარების ცხოვრებაში.

ცეკა გულმოდგინეთ აწარმოებდა ამ საკითხების შესწავლას. მე ვერ ვეტყვი საყვედურს, რომ ცენტრალური კომიტეტიდან [illegible] ამ საკითხს საკმაო ყურადღებას არ უთმობდა. მაგრამ მე მაინც უნდა ვსთქვა, რომ ჩვენში მაინც არ ექცევა საკმაო ყურადღება სამხედრო მრეწველობის საკითხებს.

შემდეგ ამხ. ვოროშილოვი გადადის წითელი არმიის მდგომარეობის საკითხზე. აღნიშნავს წითელი არმიის სოციალური შემადგენლობის საგრძნობ გაუმჯობესებას. თუ 1927 წ. წითელ არმიაში მუშები და მოჯამაგირეები შეადგენდნენ 23,8 პროც., 1930 წ. მუშების და მოჯამაგირეების რიცხვი გაიზარდა 32,4 პროცენტამდე. მეთაურთა შემადგენლობაში მუშათა ფენა ამჟამად შეადგენს 32 პროც. პარტიის წევრთა რიცხვი მეთაურთა შემადგენლობაში აღწევს 51 პროც. 1927 წ. სამხედრო სკოლებში მუშების რიცხვი უდრიდა 51,4 პროცენტს, 1929 წ. მუშების რიცხვი ამ სკოლებში აღწევდა 67,3 პროცენტს. მტრულად განწყობილი ელემენტების ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენს არმიაში ბევრი ყოფილი ოფიცერია—სისულელეა, მათი რიცხვი 6,7 პროც. არ აღემატება. ჩვენს სამხედრო პარტიულ ორგანიზაციაში 1927 წელს იყო 83.000 ბოლშევიკი, 1929 წ. კი—129.000. კომკავშირელების რიცხვი არმიაში უდრის 130.000.

დასასრულ ამხ. ვოროშილოვი შეჩერდა მემარჯვენეთა გამოსვლაზე და სთქვა, რომ მათ გამოსვლას ყრილობამ მისცა განმანადგურებელი შეფასება.

ამხ. ტომსკიმ,—ამბობს ამხ. ვოროშილოვი,—გაიხსენა, თუ როგორ არა ერთხელ „სცემდა“ მას ილიჩი. ეს ხშირად მოსცემია არა მარტო ამხ. ტომსკის, არამედ ამხ. ბუხარინსაც და რიკოვსაც. კარგი იქნებოდა, რომ ეს ამხანაგები აქ ყრილობაზე იტყოდნენ, თუ რით სცემდა მათ ლენინი და როგორ შეითვისეს მათ ამხ. ლენინის გაკვეთილების მოძღვრება.

რით აიხსნება მათი მობრუნება მარჯვნივ? ტროცკისა და ტროცკიზმს ვსცემდით ერთად, მაგრამ, როცა გავანადგურეთ ტროცკიზმი, მათი მემარჯვენე ოპორტუნისტული ბუნება ძლიერ ჩქარა გამოაშკარავდა. ამ ამხანაგებმა გადაუხვიეს მარჯვნივ, ჩამოშორდნენ ლენინურ ხაზს და ტროცკისტებთან [illegible] მთელ პარტიას. ეს იმიტომ მოხდა, რომ სანამ გამოდიოდნენ ტროცკიზმის წინააღმდეგ, ისინი ახერხებდნენ თავიანთი მემარჯვენე შეხედულებების დაფარვას.

მე უნდა ვსთქვა, რომ ბევრ ჩვენთაგანს (ცენტრში მომუშავეებს), რომლებიც ხედავდნენ მემარჯვენეების მუშაობას, ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, რომ მათთვის ძნელი იქნება განთავისუფლება მემარჯვენეობის ავადმყოფობისაგან.

დასასრულ ამხ. ვოროშილოვი ამბობს, რომ ჩვენში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის ობიექტიური ფაქტორები აშკარაა. ამ მშენებლობის დაბრკოლება შეუძლია მხოლოდ სუბიექტიურ ფაქტორებს. უმნიშვნელოვანეს სუბიექტიურ ფაქტორს სოციალიზმის მშენებლობაში წარმოადგენს ჩვენი პარტია. იგი შეიარაღებული უნდა იქნას რკინისებური ლენინური მთლიანობის და გადაუხრელი ლენინური ხაზის ურყევობის მთელი სიძლიერით. თუ ის მონოლიტური, მტკიცე და შეურიგებელი იქნება ყოველგვარი გადახრების მიმართ, მაშინ სოციალიზმის აგების ამოცანას, რომელიც ჩვენ ისტორიამ დაგვაკისრა, უსათუოდ გადავჭრით (მხურვალე, ხანგრძლივი ტაში).

უმაღლეს სასწავლებელთა რეორგანიზაცია საფრთხეშია

განათლების კომისარიატს და სამეურნეო ორგანოებს დღემდე არაფერი გაუკეთებიათ მთავრობის დადგენილების განხორციელებისათვის

არ არის შედგენილი სამოსწავლო გეგმები, უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობას არ გაჩნია აუცილებელი შენობები, არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული ახლად მისაღებ სტუდენტთათვის საცხოვრებლების ასაგებათ. უწესრიგოთ მიმდინარეობს პედაგოგიური პერსონალის შერჩევა და მივიწყებულია სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხი.

საქ. მუშგლეხინის კოლეგიის დადგენილება

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ თავის 3 ივლისის სხდომაზე უმაღლეს სასწავლებელთა და მუშფაკების რეორგანიზაციის მიმდინარეობა არა დამაკმაყოფილებლად სცნო.

1. ისეთ საპასუხისმგებლო დროს,—ნათქვამია დადგენილებაში—როცა უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების ადგილობრივი, ამიერ-კავკასიისა და საკავშირო მნიშვნელობის სადარგო ინსტიტუტებად გადაკეთებას უნდა გამოეწვია სამეურნეო ორგანოების, დაინტერესებულ უწყებებისა და, განსაკუთრებით განათლების სახალხო კომისარიატის მთელი ძალების მობილიზაცია, რათა ამით უზრუნველყოფილიყო რეორგანიზაციის მიმდინარეობის ვადაზე წარმატებით დასრულება, **არც განათლების კომისარიატს, არც სამეურნეო ორგანოებს და არც სათანადო უწყებებს, რომელთა გამგებლობაშიაც გადასულია ახალი ინსტიტუტები, არ მიუღიათ ჯერ კიდევ საკმაოდ ენერგიული ზომები რეორგანიზაციის წარმატებით შესასრულებლად** იმ მეტად მცირე ვადის განმავლობაში, რაც დარჩა სასწავლო წლის დაწყებამდე (არაა დამუშავებული სასწავლო გეგმები, არაა გამომუშავებული ღონისძიებანი ინსტიტუტების უზრუნველსაყოფად პედაგოგიური კადრებით, სასწავლო ხელსაწყოებით, ლაბორატორიებით, კაბინეტებით, არაა შემუშავებული ღონისძიებანი ინსტიტუტების უზრუნველსაყოფად შენობებით, ხოლო სტუდენტებისა—საერთო საცხოვრებლებით და არაა მიღებული ზომები სათანადო კრედიტების გამოსათხოვად სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებელთა ასაგებად და სხვ.).

2. ამის გამო არსებობს სრული საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ვდგევართ ამ რეორგანიზაციის ვადაზე შესრულების ჩაშლის საფრთხის წინაშე. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგია ადგენს:

1. საჭიროდ იქნას აღიარებული მთავრობის სპეციალური კომისიის შექმნა, რომელსაც მიენდოს სახელმძღვანელო და კონტროლის გაწევა სახალხო განათლების კომისარიატის, სამეურნეო ორგანოებისა და სათანადო უწყებების მუშაობაზე, რომ წარმატებით ვადაზე იქნას ჩატარებული უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების რეორგანიზაცია.

2. ამასთანავე ერთად წინადადება მიეცეს განათლების კომისარიატს—20 ივლისისათვის სათანადო სამეურნეო ორგანოებთან და უწყებებთან ერთად დაამუშაოს სასწავლო გეგმები და უზრუნველყოს ინსტიტუტები და მუშფაკები პროგრამებით სასწავლო წლის დასაწყისისათვის.

3. განათლების სახალხო კომისარიატმა, სათანადო სამეურნეო ორგანოებთან და უწყებებთან ერთად, აღრიცხოს მასწავლებელთა ძალების არსებული რაოდენობა და გაანაწილოს ისინი გამომუშავებულ სასწავლო გეგმების შესაბამისად; გამოარკვიოს მათი დეფიციტი და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ამ დეფიციტის დასაფარავად.

4. განათლების სახალხო კომისარიატმა, სათანადო სამეურნეო ორგანოებთან და უწყებებთან ერთად, სასწრაფოდ გამოარკვიოს საჭირო სასწავლო ლიტერატურის სია და რაოდენობა (ყველა ენებზე) და შეიმუშაოს ღონისძიებანი ახლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტებისა და მუშფაკების ამ ლიტერატურით უზრუნველსაყოფად, რომლის გამოცემის წინადადება მიეცეს სამეურნეო ორგანოებს.

5. განათლების სახალხო კომისარიატმა, სათანადო სამეურნეო ორგანოებთან და უწყებებთან ერთად, ერთი თვის ვადაში დაამუშაოს არსებულ ლაბორატორიებისა და კაბინეტების ახლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტების მიერ გამოყენების გეგმა და დასახოს ღონისძიებანი არსებულ ლაბორატორიების სათანადო ხელსაწყოებით შევსებისა და ახალ ლაბორატორიების მოწყობისათვის.

წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს სამეურნეო ორგანოებთან და დაინტერესებულ უწყებებთან და თბილისის საბჭოსთან ერთად გამოჰყოს შენობები ინსტიტუტებისათვის და დაამუშაოს ღონისძიებანი, რომ დროზე იქნან სტუდენტები უზრუნველყოფილი საერთო საცხოვრებლებით. ყველა ზემოჩამოთვლილ პუნქტების გამო მიღებული ღონისძიებანი წარედგინოს მთავრობის კომისიას.

25 ივლისს მუშგლეხინის კოლეგიაში მოსმენილ იქნას მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

ზაჰესის გაფართოება

გასაფართოებელ სამუშაოთა საზეიმო გახსნა

3 ივლისს ნაშუადღევის 5 საათზე შესდგა ლენინის სახელობის ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის გასაფართოებელ სამუშაოთა საზეიმო გახსნა. ზეიმზე დასასწრებლათ თბილისიდან ზაჰესში გაემართა მუშა-მოსამსახურეთა მასიური ექსკურსიები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდა ათასზე მეტი კაცი.

ზაჰესის საგენერატორო სადგურთან სპეციალურათ მართულ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. სამუშაოთა საზეიმო გახსნის აღსანიშნავი მიტინგი გახსნა ზაჰესის ადგილკომის თავმჯდომარემ.

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბეკზადიანმა.

— საქართველოს მუშათა კლასი,—სთქვა ამხ. ბეკზადიანმა,—საუკეთესო საჩუქრით შეხვდა სრულიად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მებაირახტრეს—მეთექვსმეტე პარტყრილობას. ზაჰესის გასაფართოებელ სამუშაოთა დაწყება ჩვენი ეკონომიური ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია და ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს.

ამხ. ბეკზადიანი მისალმა საქართველოს მუშათა კლასს, კერძოდ ზაჰესის მშენებელ მუშებს და სპეციალისტებს და უსურვა ზაჰესის გასაფართოებელი სამუშაოების ვადაზე ადრე დამთავრება.

საქ. ცაკის, სახკომსაბჭოს და საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. ყურულიშვილმა.

ამხ. გ. ყურულიშვილმა გაიხსენა ზაჰესის მშენებლობის დაწყების ამბავი 1922 წელს და სთქვა: თუ მაშინ მშრომელი ხალხის ყოველგვარი ჯურის მტრები, ბოლშევიკებს დაღუპვას უწინასწარმეტყველებდნენ და ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახოდნენ, რომ ზაჰესს ვერ ააშენებენო, დღეს საქართველოს მუშათა კლასმა შესძლო ზაჰესის უფრო მძლავრი ელექტრო-სადგურების მშენებლობის დაწყება და უკვე შეუდგა ზაჰესის გაფართოებასაც.

— ჩვენი მრეწველობა ისე სწრაფი ტემპით ვითარდება,—სთქვა ამხ. ყურულაშვილმა,— რომ დღეს უკვე საჭიროთ ხდება დავაჩქაროთ ელექტრომშენებლობის ტემპიც. მთელი რიგი ახალი მსხვილი საწარმოები, რომლებიც უახლოეს წლებში უნდა ამუშავდნენ, მოითხოვენ მეტსა და მეტს ელექტრო-ენერგიას და თუ ერთი წლის წინად ზოგიერთები კიდევ ფიქრობდნენ, რომ ზაჰესის სიძლიერე საჭირო არ იყო ჩვენს პირობებში,—ეს აზრი დღეს უკვე ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია და უკვე წელსვე ჩვენ იძულებული გავხდით შევსდგომოდით მის გაფართოებას.

ორატორმა უსურვა ზაჰესის მშენებლებს, რომ მათ ისევე სახელოვნად შეესრულებიათ ეს სამუშაოები, როგორც სახელოვნადაც დაამთავრეს მათ ზაჰესის პირველი რიგის სამუშაოები.

საქ. პროფსაბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვ. სიხარულიძემ. მან აღნიშნა, რომ ზაჰესის მუშები და სპეციალისტები, სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საშუალებით ადვილად შესძლებენ დანიშნული ვადისათვის შეასრულონ ნაკისრი საქმე.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძემ სიტყვა წარმოსთქვა ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოსა და ა.-კ. ელექტრო-სადგურების სამმართველოს სახელით და აღნიშნა, რომ წინასწარ შემუშავებული გეგმით ზაჰესის გაფართოება უნდა დაწყებულიყო მხოლოდ 1932 წელს, მაგრამ 5 წლედის განხორციელების ტემპმა მოლოდინს გადააჭარბა და საჭირო გახდა ზაჰესის გაფართოების დაწყება 2 წლით უფრო ადრე.

— ზაჰესის გაფართოების დაწყება,—დაამთავრა სიტყვა ინჟ. ჭიჭინაძემ,—ეს არის საქართველოს ინდუსტრიის ზრდის მოწმობა და ჩვენ დღეს უნდა შევსძახოთ ძლიერი „ვაშა“ იმ პარტიას და იმ ხელისუფლებას, რომელმაც საშუალება მისცა საქართველოს მშრომელებს აეგოთ ზაჰესი.

— გაუმარჯოს, კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინების საქმეს!

ამხ. ან. კალანდაძემ საქ. ს. მ. უ. საბჭოს სახელით უსურვა ზაჰესის მშენებლებს სამუშაოების წარმატებით დამთავრება და გამოსთქვა იმედი, რომ საქ. კომპარტიის (ბ) ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები შესძლებენ შემდეგი გამარჯვებების მიღწევას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ზაჰესის დირექტორმა, დაჯილდოებულმა მუშამ—ამხ. ა. დევდარიანმა და ზაჰესის ინჟინერ-ტეხნიკოსთა წარმომადგენელმა—ინჟ. ბორისლავსკიმ.

სიტყვების დამთავრების შემდეგ მიტინგზე გამოქვეყნებული იქნა იმ აქტის შინაარსი, რომელიც ჩაიდვა გაფართოებულ საგენერატორო შენობის საფუძველში. მიღებულ იქნა აგრეთვე მე-16 პარტყრილობისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ საგენერატორო შენობის ასაგებ ადგილას მოხდა კლდის აფეთქება, რითაც სამუშაოები გახსნილათ გამოცხადდა.

გერმანიაში გაფიცულია 100.000-დე მელითონე

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო პალატა ოფიციალურ დაწესებულებად გამოცხადდა

კომუნისტური რაზმები მიიწევენ შანხაისაკენ

მელითონეთა გაფიცვა გერმანიაში

გაფიცვების რიცხვი იზრდება

ესსენი, 2 ივლისი. ჩრდილოეთ-დასავლეთ სამრეწველო რაიონის 50.000 მუშას გაფიცვას შეუერთდა ახალი ქარხნები. გაფიცულია რამდენიმე ათეული მსხვილი წარმოება. პოლიციის ტერორი და ამის საპასუხოდ—მუშათა წინააღმდეგობა ძლიერდება. როცა „განშე“-ს ქარხნის (დიუისბურგის ახლო) მუშების ნაწილმა მწყობრად დასტოვა ქარხანა, პოლიციამ დააპატიმრა რევოლიუციონური პროფოპოზიციის წარმომადგენლები. დაპატიმრებით აღშფოთებული ქარხნის დანარჩენი მუშები რიცხვით 1.600 კაცი, დაუყოვნებლივ შეუერთდნენ გაფიცვას. გაფიცულ მუშების საანგარიშო კრებაზე „ბერცელიუს გიუტეს“ ქარხანაში პოლიციამ დააპატიმრა მთელი საგაფიცვო კომიტეტი. გაფიცულ მუშების დემონსტრაციას ვალზუმის გემთსაშენში თავს დაესხა პოლიცია. მიულგეიმში, სადაც გაფიცულია 15.000 მუშა, გაიმართა მასიური დემონსტრაცია, რომელშიც 6.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. როცა დემონსტრანტებმა ტისსენის ქარხნის ახლო გაიარეს, დაიწყო დაძმობილება დემონსტრანტებსა და ღამის ცვლის მუშებს შორის. უკანასკნელებმა იქვე დაადგინეს არ გავიდნენ სამუშაოთ. როცა შტრეიკბრეხერები, რომლებიც მუშათა საერთო რიცხვის 2 პროცენტს შეადგენენ, წავიდნენ სამუშაოდან, ჭიშკართან შეტაკება მოხდა მათსა და გაფიცულთა პიკეტებს შორის. შტრეიკბრეხერებს წამოეშველა ცხენოსანი პოლიცია.

მელითონეთა რეფორმისტულმა და ქრისტიანულმა პროფკავშირებმა გაფიცულთა ერთიანი ფრონტის გახრწნის მიზნით განაცხადეს, რომ სექტემბრიდან ისინიც უარს იტყვიან კოლხელშეკრულებებზე, მაგრამ წინასწარ შეეცდებიან—შეთანხმებას მიაღწიონ მრეწველებთან და ამიტომ გაფიცვა საჭირო არ არის (ადს).

სოციალ-ფაშისტები თავს დაესხნენ კომუნისტ მუშებს

ბერლინი, 2 ივლ. ნეიმკინსტერში (ჩრდილო-დასავლეთი გერმანია), ნაციონალ-სოციალისტები თავს დაესხნენ კომუნისტ-მუშებს და დასჭრეს კომპარტიის ორი აქტივისტი (ადს).

პროფბიუროკრატებმა ვერ შესძლეს გაფიცვის ჩაშლა

ბერლინი, 2 ივლისი. მანსფელდის რაიონში პროფბიუროკრატებმა გაფიცულთა რიგებში განხეთქილების შეტანის მიზნით, გამოაცხადეს, რომ აწყობენ დემონსტრაციას, რომლის შემდეგ ეისლებენში გაიმართება მემადნეთა რეფორმისტული კავშირის მდივანის ტუზემანის მოხსენებაო. 8.000 გაფიცულმა—რევოლიუციონური პროფოპოზიციის მომხრემ—დაიკავა მოედანი, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყო ტუზემანი. უკანასკნელი გამოჩენას შეხვდნენ ყიჟინით: „შტრეიკბრეხერების ორგანიზატორი“.

ტუზემანი შეეცადა გაემართლებია რეფორმისტული პროფკავშირების ტაქტიკა, მაგრამ მრავალრიცხოვანმა მუშებმა მას ერთხმად დაუყვირეს: „ძირს! გაუმარჯოს პროფოპოზიციას!“. პოლიცია თავს დაესხა მუშებს. მოხდა შეტაკება, რეფორმისტული პროფკავშირების ნაცემი ბელადები გაიქცნენ. მანსფელდის რაიონის ქალაქების თვითმმართველობებმა შრომის მინისტრს შტეგერვალდს სთხოვეს ზომების მიღება გაფიცვის ჩასაქრობად (ადს).

რეიხსტაგმა უარჰყო კომფრაქციის წინადადება

ბერლინი, 2 ივლისი. რეიხსტაგის ყველა ხმებით უარჰყო კომფრაქციის წინადადება ქარხნების დახურვის გაუქმების შესახებ და აგრეთვე წინადადება 7 საათის სამუშაო დღის შემოღებისა და სახელმწიფო საარბიტრაჟო კომისიების გაუქმების შესახებ (ადს).

„დახმარება სახელმწიფოს“

ბერლინი, 2 ივლისი. ფინანსთა ახალი მინისტრის დიტრიხის კანონპროექტით, ის პირნი, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში იმყოფებიან, ვალდებულნი არიან 31 ივნისიდან დაეხმარონ სახელმწიფოს ხელფასის 2,5 პროც. რაოდენობით (ადს).

რეინის ოლქის ევაკუაცია

ბერლინი, 2 ივლისი. რეინის ოლქის ვადაზე ადრე ევაკუაციასთან დაკავშირებით, შესდგა რეიხსტაგის საზეიმო სხდომა. რეინის განთავისუფლებულ ზონაში გაიმართა ზეიმი. მოსახლეობის დიდი რაოდენობის მონაწილეობით. ზეიმზე გამოსული ოფიციალური ორატორები იმედს გამოსთქვამდნენ, რომ მალე საარის ოლქიც შესძლებს ასევე იდღესასწაულოს გერმანიასთან ხელახალი შეერთება (ადს)

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 2 ივლისი. უმუშევართა რიცხვმა ინგლისში 1.815.300 კაცს მიაღწია (ადს).

ინდოეთში

დიდი გაფიცვა ლუკნოუში

სტამბოლი, 2 ივლისი. ინდოეთის გაზეთ „პაიონირ“-ის ცნობით, ლუკნოუში გაფიცვა გამოაცხადა რკინის გზის სახელოსნოების 4.500 მუშამ (ადს).

ვაჭრობის კომისარიატის განმარტება

კულაკების მიერ ზედმეტი პურის ჩაბარების შესახებ

მოსკოვი. 3 ივლისი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცირკულიარში განმარტებულია, რომ კულაკურ მეურნეობებს ეკისრებათ ჩააბარონ სახელმწიფოს ზედმეტი სასაქონლო პური, მაგრამ არა ნაკლებ განსაზღვრული მინიმუმისა, რომელიც, სხვა მეურნეობებთან შედარებით, დაწესებულია გადიდებული რაოდენობით. ვალდებულება პურის ჩაბარების შესახებ კულაკურმა მეურნეობებმა უნდა შეასრულონ არა უგვიანეს ერთი თვისა მოსავლის აკრეფის შემდეგ. ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ა(დს).

10 კომბაინის გამოშვება

ზაპოროჟიე, 3 ივლისი. ქარხანა „კომუნარ“-ის კომბაინების საამქროს მუშები უშვებენ 10 კომბაინს. ამგვარად მათ შეასრულეს თავიანთი დაპირება—მიეცათ სოფლისთვის 10 კომბაინი მოსავლის აკრეფის კამპანიის დაწყებამდე. მუშები დაკვრითი წესით მუშაობენ (ადს).

ხანძარი

ლენინგრადის ფაბრიკა - სამზარეულოში

ლენინგრადი, 3 ივლისი. ლენინგრადში დაიწვა ვოლოდარსკის რაიონში ეხლახან აგებული ფაბრიკა-სამზარეულო. ფაბრიკა საუცხოვოდ იყო მოწყობილი. ფაბრიკაში იყო ოთახები ბავშვებისათვის, მაღაზიები და ოთახი-სამკითხველოები. ფაბრიკა 2 მილიონ მანეთად დაჯდა. ფაბრიკა-სამზარეულო სავსებით დამთავრებული იყო. გახსნა დანიშნული იყო 1 ივლისისათვის. ხანძრის დროს დაიღუპა 9 კაცი, მათ შორის სამი მეხანძრე.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

რუსეთ - ბრიტანეთის სავაჭრო პალატა ოფიციალური დაწესებულება

ლონდონი, 2 ივლისი. რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატამ განაცხადა, რომ ის ხდება ოფიციალურ დაწესებულებად, რომლის მიზანია ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარება და გაუმჯობესება. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სოკოლნიკოვი და ინგლისის ვაჭრობის მინისტრი გრეხემი არჩეულ იქნენ პალატის საპატიო თავმჯდომარეებად. პალატის ინგლისელ წარმომადგენლებთან ერთად ხელმძღვანელ როლს ითამაშებს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ლონდონში ბრონი. სავაჭრო წარმომადგენლობის სხვა თანამშრომლები დაინიშნენ პალატის სხვადასხვა ოფიციალურ თანამდებობაზე (ადს).

პოლიციის ტერორი შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 2 ივლისი. შეერთებულ შტატებში განაგრძობენ მუშების დევნას. ამას წინად პოლიციელმა მოჰკლა კომპარტიის ნიუ-იორკის ორგანიზაციის წევრი, მექსიკანელი მუშა გონზალესი. კომპარტიამ დასაფლავა უმუშევართა ჩიკაგოს კონფერენციის დელეგატი ზანგი - კომუნისტი ალფრედ ლევი, რომელიც პოლიციამ მოჰკლა რამდენიმე დღის წინად, ლინჩის სასამართლოს წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციაზე. რამდენიმე დღის წინად ჩიკაგოში ამერიკის შრომის კონფედერაციის მომხრე მღებავთა კავშირის მიერ დაქირავებულმა ბანდიტებმა მოჰკლეს პროფკავშირელი მთლიანობის რევოლიუციონური ლიგის წევრი, მუშა გერცელ ვეიცენბერგი. ალფრედ ლევის დაკრძალვაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა მუშამ, მათ შორის მრავალმა უპარტიო მუშა-ზანგმა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღისათვის

ამიერ-კავკასიის ყველა მუშებსა და მშრომელ გლეხობას

ძვირფასო ამხანაგებო!

კოოპერაციის საერთაშორისო დღის მორიგი დღესასწაული (VIII), როდესაც ხდება მშრომელთა მასების საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრაცია და რევოლიუციონური ძალებისა და მიღწევების აღრიცხვა, მიმდინარეობს, ერთის მხრივ, კაპიტალისტური სისტემის კრიზისის მძაფრად გამწვავებისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერების პირობებში, ხოლო მეორეს მხრივ—საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატების პირობებში.

კაპიტალის ქვეყნებში კოოპერაციის როლი დაყვანილია კაპიტალისტური სისტემის მაჩანჩალის უბადრუკ მნიშვნელობამდე და შემთანხმებელთა ბელადების აქტიური მონაწილეობით კოოპერაცია გადაქცეულია მუშათა კლასის ჩაგვრის ერთ-ერთ იარაღად.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე იქ ნიშნავს მუშების ბრძოლას სოციალიზმისათვის, ბურჟუაზიისა და შემთანხმებელთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კოოპერაციამ, კომუნისტური პარტიის (ბ) ხელმძღვანელობით, უკანასკნელი წლების განმავლობაში მიაღწია უდიდეს წარმატებას, ის გახდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ხელში სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს იარაღად ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ მიღწევებთან ერთად ჩვენი ორგანიზაციების მუშაობას მრავალი ნაკლიც აქვს: ამიერ-კავკასიის კოოპერატიული სისტემების ზრდის ტემპები კვლავ ჩამორჩებიან სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპებს; მუშაობა არ არის გარდაქმნილი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის სწრაფი ტემპების შესაფერისად, იმ ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის, რომელთა წარმატებაც დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება დაკმაყოფილებული მუშებისა და გლეხების ღარიბ და საშუალო მასებს და კოლმეურნეთა სამეურნეო-სამომხმარებლო და კულტურულ ყოფაცხოვრებითი საჭიროებანი.

მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანათა გადაჭრას დიდი სიძნელეები ეღობება, რაც იმით აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები ჩამორჩენილნი არიან კულტურულად, ტეხნიკურად და ეკონომიურად და ამასთანავე გამწვავებულია კლასობრივი ბრძოლა.

მაგრამ ამ დაბრკოლებათა დაძლევა მაინც შეიძლება.

მშრომელთა ფართო მასების ყურადღების და შემოქმედებითი ძალების მობილიზაციისა და მათი კოოპერაციის პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის საშუალებით, ჩვენ შევძლებთ დავძლიოთ ყველა სიძნელეები და შევასრულოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები.

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში!

დავამყაროთ ცოცხალი და მასიური საზოგადოებრივი კონტროლი და პროლეტარული თვითკრიტიკის მახვილი იარაღის საშუალებით გამოვრეცხოთ ყველა იარები ჩვენი, ორგანიზაციების მუშაობაში!

დაუნდობელი და შეურიგებელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ვიწრო, წვრილმან საქმიანობას, მეარჯვენე ოპორტუნისტულ პრაქტიკას და კლასობრივი ხაზის ყოველგვარ გადახრას კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში!

გავსწმინდოთ კოოპერაცია ჩვენთვის უცხო ადამიანებისაგან!

უფრო თამამად ვაწარმოოთ მუშების, ღარიბებისა და მოჯამაგირეების ასობით და ათასობით დაწინაურება კოოპერატიული ორგანიზაციების აპარატში!

მოვამზადოთ ახალი პროლეტარული კადრები ჩვენი კოოპერაციისათვის!

მხოლოდ ამ პირობებში შევძლებთ კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში უდიდესი გარდატეხის მიღწევას და შევასრულებთ იმ გადაუდებელ ამოცანებს, რომლებსაც გვაყენებს სოციალისტური მშენებლობის მეტის მეტად საპასუხისმგებლო ამოცანათა წამოყენება და კომუნისტური პარტიის (ბ) დირექტივები, სახელდობრ:

1) მუშათა მთელი ბიუჯეტის დაკმაყოფილება და შრომის რეალური ხელფასის გადიდება, რასაც შემდეგი ზომების მიღებით უნდა მივაღწიოთ: ფასების დაკლება, საკუთარი მეურნეობის მოწყობა, დამზადების საქმის გადაჭრით გაუმჯობესება, მთელ სამეურნეო-კოოპერატიულ მუშაობაში რაციონალიზაციის მოხდენა, მომარაგების ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.;

2) სოფლის სოციალისტური სექტორის სამეურნეო და სამომხმარებლო საჭიროებათა სრული დაკმაყოფილება და მით ხელის შეწყობა მისი შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის;

3) საზოგადოებრივი კვების გადაჭრით გაუმჯობესება;

4) სრული დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა საჭიროებისა, რომლებიც კოლმეურნეობათა გარეშე არიან დარჩენილი და მათი გამაგრება-განმტკიცება, აგრეთვე მათი ტეხნიკური და საწარმოო დონეს ამაღლება;

5) სოფლის სოცსექტორის ხელმძღვანელობის განმტკიცება ღარიბ გლეხთა, მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობათა მიმართ, აგრეთვე მათთვის დახმარების გაწევის არსებითად გაუმჯობესება.

6) გარკვეული კლასობრივი ხაზის გატარების უზრუნველყოფა ჩვენი ორგანიზაციების მუშაობაში, კოოპერატიულ ქსელში სრული ჩაბმა ღარიბებისა და მოჯამაგირეების და მათი ჯგუფების მუშაობის გადაჭრით და აშკარად გარდაქმნა, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნას მათი ნამდვილი მონაწილეობა ჩვენი ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე უნდა გადაიქცეს გარდატეხის დიდ გადაუდებელ ამოცანათა გადაჭრისა და მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გარშემო მათი, ე. ი. მშრომელების, ყურადღებისა და ძალთა დარაზმვის საქმეში.

ჩვენი კოოპერაცია უნდა გადაიქცეს ნამდვილად მებრძოლ და ბოლშევიკურ კოოპერაციად!

გახურებული შანთით ამოვწვათ გაფლანგვები, უყაირათობა, საქმის გაჭიანურება და დაუდევრობა კოოპერაციაში!

განვამტკიცოთ ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური ინტერნაციონალური კავშირი!

გაუმარჯოს საერთაშორისო კოოპერატიულ დღეს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილებას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს საბჭოთა კოოპერაციას და მის ხელმძღვანელს—სრულიად საკავშირო (ბოლშევიკთა) კომუნისტურ პარტიას!

სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერ-კავკასიის კავშირის გამგეობა („ზაკსოიუზ“).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის გამგეობა („ზაკსელსოიუზ“).

ხელახალი დარაიონების გეგმა

დარაიონების ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიის სხდომა.

2 ივლისს, საქ. ცაკ-ში ამხ. **სიმონ ჯუღელის** თავმჯდომარეობით შესდგა რესპუბლიკის ხელახალი დარაიონების ჩამტარებელი კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა იურიდიული და ადმინისტრატიულ-ფინანსიური ქვე-კომისიის წარმომადგენელთა მოხსენებები დარაიონების გეგმის შესახებ.

იურიდიული ქვე-კომისიის წარმომადგენელმა ამხ. ა. რიჟამაძემ, სხდომაზე წაიკითხა სარაიონო აღმასკომების კომპეტენციაში შემავალ იმ ფუნქციების სქემატიური პროექტი, რომლებიც უნდა გადაეცეთ რაიაღმასკომებს სამაზრო და საოლქო აღმასკომების გაუქმების შემდეგ. ხელახალი დარაიონების შემდეგ საოლქო და სამაზრო აღმასკომების ფუნქციათა ერთი ნაწილი გადაეცემა რაიაღმასკომს, ხოლო ფუნქციების მეორე ნაწილი —ცენტრს.

რესპუბლიკანურმა კომისიამ მოიწონა და მიიღო იურიდიული ქვე-კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მცირე შესწორების შეტანის შემდეგ.

საფინანსო - ადმინისტრატიული ქვე-კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **დ. ქუჩულორიამ.** მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხელახალი დარაიონების შემდეგ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული იქნება 38 სარაიონო ადმინისტრატიული ერთეული და სამი ქალაქის საბჭო. ამ რიცხვში არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკები.

ნაცვლად არსებული საოლქო სამაზრო და სარაიონო აღმასკომებისა, ჩამოყალიბებული იქნებიან შემდეგი სარაიონო ერთეულები: თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის, (რაიონის ცენტრი — ლაგოდეხი), თბილისის, გარე-კახეთის (რაიონის ცენტრი — საგარეჯო), ლიუქსემბურგის, ბორჩალოს (რაიონის ცენტრი — აშაგა-სერალი), თრიალეთის, (ცენტრი სოფ. გომარეთი), დუშეთის, ერწო-თიანეთის (სოფ. თიანეთი), ხევის (რაიონის ცენტრი სოფ. ყაზბეგი), სტალინისის, ბორჯომის, ახალციხის, ტოლოში (ცენტრი სოფ ტოლოში), ახალ-ქალაქის, გორელოვს (დუხობორების რაიონი), ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, ბაღდადის, სამტრედიის, ხონის, ცაგერის (ლეჩხუმის რაიონი), ამბროლაურის (ქვემო-რაჭის რაიონი), ონის (ზემო-რაჭის რაიონი), ქვემო სვანეთის (ცენტრი სოფ. ჩოლური), ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, ახუთის და ზემო-სვანეთის (ცენტრი სოფ. მესტია) რაიონები.

ცალკე ერთეულებათ იქნებიან გამოყოფილი — თბილისი ქუთაისის, ფოთი, ბათომი და სოხუმი.

ავტონომიური ერთეულების ხელახალი დარაიონების სქემა შემდეგია: **აფხაზეთში** ჩამოყალიბებული იქნება — სოხუმის, გალის, კოდორის (ცენტრი ოჩემჩირე), გუდაუთის და გაგრის რაიონები. **აჭარისტანში** — ბათომის, ქობულეთის, ხულოს და ქედის რაიონები. (სამხრეთ-ოსეთში—ცხინვალის, ახალგორის და ჯავის რაიონები.

ხელახალი დარაიონების ჩატარების შემდეგ ადმინისტრატიული მმართველობის ხარჯები შემცირებული იქნება 400.000 მანეთით.

დარაიონების ჩასატარებლად მთელი რესპუბლიკა დაყოფილია 3 ეკონომიურ და გეოგრაფიულ კატეგორიად. პირველი და მეორე კატეგორიის სარაიონო ერთეულთა რიცხვი თანაბარი იქნება (თოთხმეტ-თოთხმეტი რაიონი თითო კატეგორიაში). მესამე კატეგორიის სარაიონო ერთეულთა რიცხვი კი ათი იქნება.

დასასრულ რესპუბლიკანურმა კომისიამ განიხილა გეგმა სარაიონო აღმასკომების სტრუქტურისა და შტატების შესახებ.

ჩაის თესვის კამპანიის შედეგები

(თათბირი „საქართველოს ჩაი“-ში)

ამხ. ბობოხიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ინდოეთიდან მოტანილი ჩაის თესლი გაცილებით დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ადგილობრივი თესლი და მცირე რაოდენობით ამოდის. საჭიროა თესლის უკეთ შერჩევა და დაბალი ხარისხის ჩაის თესვის შეწყვეტა.

კრედიტების მიწოდება გლეხობისათვის ჩაის რაიონებში კარგად არის დაყენებული. სამაგიეროთ სურსათ-სანოვაგის და სამრეწველო საქონლის მიწოდება სრულიად მოუგვარებელია. სამომხმარებლო კოოპერაცია ამ საკითხს აქამდე უგულოდ ეკიდება, ხშირად კოოპერაცია კერძო პირებზე ყიდის ჩაის მთესველ გლეხებისათვის გასანაწილებლად მიღებულ საქონელს, რაც ამ გლეხების სამართლიან გულისწყრომას იწვევს.

ვინაიდან აჭარისტანში კოლექტივიზაციის ტემპი გაცილებით დაბალია, ვიდრე დანარჩენ რაიონებში, ამიტომ ორატორები საჭიროდ სთვლიან, რომ აჭარისტანში ინდივიდუალურ მეურნეობათათვის გადიდებული იქნეს კრედიტები.

[illegible] გაშენებული ჩაის პლანტაციები აჭარისტანში მოუვლელად არის მიტოვებული, რის გამო გასულ წელს დაიკარგა მოსავლის ნაწილი. ამ გარემოებას აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ორატორები საჭიროდ სთვლიან აგრო-პერსონალის ხელფასის გადასინჯვას. საჭიროა აგრეთვე სერიოზული ყურადღება მიექცეს კვალიფიციურ მუშათა კადრის მომზადებას.

მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **პრიხოდკოს** მოხსენება ჩაის საბჭოთა მეურნეობას მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიმდინარე წლამდე არსებობდა ჩაის მხოლოდ ორი საბჭოთა მეურნეობა 737 ჰექტარი მიწით. მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობა უნდა მოწყობილიყო 2.000 ჰექტარის სივრცეზე. ფაქტიურად ნიადაგი შემუშავებული იქნა 2.841 ჰექტარზე, ჩაი კი გაშენდა 2457 ჰექტარზე, რაც გაზაფხულის გეგმას 23 პროცენტით აღემატება.

1 ივნისისათვის ჩაის პლანტაციების სივრცე საბჭოთა მეურნეობებში 3349 ჰექტარს უდრიდა. სანერგეები გაშენებულია მარტო ჩაქვში 183 ჰექტარზე. გარდა ამისა, ჩაის საბჭოთა მეურნეობებში გაშენებულია მანდარინა 7 ჰექტარი, ბამბუკი 25 ჰექტარი, დანარჩენი სუბტროპიკული მცენარეები 2 ჰექტარი და დათესილია სოიას დიდი რაოდენობა.

ხელით მუშაობის გეგმა შესრულებულია 25,5 პროც. გადაჭარბებით, ტრაქტორების მიერ კი შესრულებულია მათი გეგმის 96 პროცენტი.

ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრით ტრაქტორების გვიან მიღებით (ტრაქტორებმა მუშაობა მხოლოდ მარტის დამდეგს დაიწყეს) და მეორეს მხრით იმით, რომ სატრაქტორო რაზმების მუშაობა ვერ არის მოგვარებული; ტრაქტორების მეტი ნაწილი დაბალი კვალიფიკაციისაა და გამოუცდელი. ამასთან ერთად ტრაქტორისტებს შორის სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას შრომის დისციპლინა.

საბჭოთა მეურნეობებში გეგმის თანახმად წელს უნდა დაიხარჯოს 4.965.000 მანეთი, აქედან 1 ივნისამდე დახარჯულია 4.514.000 მანეთი.

მეოთხე სხდომაზე სწარმოებდა კამათი საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა მეურნეობებში საბინაო და საგზაო მშენებლობა მეტად სუსტად მიმდინარეობს. მოუგვარებელია მუშებისათვის სურსათ-სანოვაგისა და სამრეწველო საქონლის მიწოდება და შრომა. არ სწარმოებს თანამშრომლების შერჩევა.

საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან ბუხჰალტრებით და მოანგარიშეებით, რის გამოც ანგარიშწარმოება ბევრად ჩამორჩენილია.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნილია პრაქტიკანტების საკმაო რაოდენობა. პრაქტიკანტების ნაწილი გაურბის მუშაობას, ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს და პრაქტიკანტები, რომლებიც სათანადო მუყაითობას არ გამოიჩენენ მოხსნილი უნდა იქნან დაუყოვნებლივ.

ქ რ ო ნ ი კ ა

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

5 ივლისს ეწყობა კოოპერაციის მე-8 საერთაშორისო დღე. ამ დღის აღსანიშნავად ცეკავშირი კოლმეურნეობებთან გახსნის 20 საბავშო მოედანს, ხოლო „საბინაო კავშირი“ საბინაო ამხანაგობებთან მოაწყობს 10 საბავშო მოედანს და 5 სამზარეულოს.

მუშკოოპმა გადასწყვიტა გახსნას სპეციალური მაღაზია სახელწოდებით „ყველაფერი ახალგაზრდობისათვის“.

ახალი პედაგოგები

განათლების კომისარიატი 7 ივლისს ქვემო-ქალაში (გორის ოლქი) ხსნის კურსებს, რომელზედაც გაიგზავნებიან ისინი, რომლებმაც წელს დაამთავრეს აგრო-ტეხნიკუმები.

კურსების მსმენელები მეცადინეობის შემდეგ მასწავლებლებათ გაიგზავნებიან საკოლმეურნეო სკოლებში. კურსებზე წასვლის მსურველებმა უნდა მიმართონ განათლების კომისარიატს.

ტრამვაის ახალი ვაგონები

კომუნალური განყოფილება იძენს 15 ახალ ვაგონს. ამ მიზნისათვის გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი.

ა.-კ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის პლენუმი

დღეს, საღამოს 7 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქ. 13) შესდგება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს გაფართოებული სხდომა.

ხელოვნების ქრონიკა

— **მედსანშრომის მუშაკთა კლუბში დღეს,** გაიმართება სანაგიტთეატრის წარმოდგენა: „რატომ არა გვყავს შვილები“.

ხვალ, 5 ივლისს, ამავე თეატრში გაიმართება ქართული ესტრადის კონცერტი.

აცილებული მარცხი

როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, უკანასკნელ ხანებში ქალაქში გახშირდა უბედური შემთხვევები, რასაც იწვევს ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა. განსაკუთრებით გაიზარდა ტრამვაის მოძრაობის მხრით გამოწვეული შემთხვევათა რიცხვი.

თუ როგორ თავხედურად ასრულებენ ზოგიერთი ვატმანები და შოფერები თავის მოვალეობას, ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს 2 ივლისს დღის 2 საათზე მომხდარი შემთხვევა. კახეთის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი № 123 (მარშრუტი № 9) ვატმან სერგო კიკნაძეს მიჰყავდა ნავთლუღიდან ავლაბრის მოედნის მიმართულებით, ამ ვაგონს გზაზე წამოეწია ნახევრათ საბარგო ავტომობილი № 201, რომელსაც მართავდა შოფერი გიორგი საკოევი. შოფერმა მოინდომა გასწრება და აიღო მარჯვენა მიმართულება, მაგრამ ვინაიდან ტრამვაის ვაგონი მიჰქროდა მთელი სისწრაფით ვერ მოასწრო წინ გადაელა და დაეჯახა ტრამვაის ვაგონს, რომელიც ასცდა ლიანდაგს და ორი მეტრის მანძილზე გადავარდა. შემთხვევის დროს ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მსუბუქად დაშავდა მგზავრი ვასილ დავითის-ძე რევაზიშვილი, რომელიც მოათავსეს ქალაქის 1-ლ სავადმყოფოში. საგრძნობლად დაზიანდა ტრამვაის ვაგონი. შოფერი მიიმალა.

პარტიული კალენდარი

საქ. კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე, სხდომას უნდა დაესწრონ თბ. საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის წევრები და შემდეგი ამხანაგები: პ. დეკანოსიძე, ი. კუშლავა, ლ. კვინტრაძე ლ. დარჩიევი, ი. ბეროზაშვილი, ს. ბეტენჯანიშვილი, გ. ავეტისოვი, ა. შათირიშვილი და ტ. დუნდუა.

საქ. კომკავშირის თბლისის საოლქო კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა დანიშნულია 6 ივლისს საღამოს 7 საათისათვის. თბ. საოლქო კომიტეტის მიმღები კომისიის წევრთა და იმ პირთა დასწრება ვისი ანკეტები უნდა იქნან განხილული — სავალდებულოა.

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართ. დრამ. თეატ. კოტე მარჯანიშვილის ხელმძღ. დილის წარმოდგენა
კვირას 6 ივლისს
— კაკალ გულში —
წარმოდგენის დასაწყისი დილის 12 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება. 3 1

საზაფხულო პალასი (დარბაზის ბაღში) 1-ლი სეანსის დასაწყისი 9 ს.
საზღვარგარეთული მხატვრული სურათი
გავშვის გულისათვის (ფიცის გატეხვა)
პროგრამის გარეშე დავიდოვის გასტროლები (გავაის გიტარა)

საზაფხულო ეთერი 1-ლი სეანსის დასაწყისი 9 საათზე.
შიში
ს. ცვეიგის რომანის მიხედვით პროგრამის გარეშე დავიდოვის გასტროლები (გავაის გიტარა)

სპარტაკი (ყ. არფასტო) 1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.
მხატვრული კომედია
ახალგაზრდობა იმარჯვებს
რეჟ. მ. გელოვანი, ოპერ. დილმელაშვილი

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.
ჩარლი ჩაპლინი თავის კომედიებში (შემოქმედების ევოლიუცია).

საზამთრო აპოლო
საზღვარგარეთული კომედია
მოუსვენარი მეზობლები
1-ლი სეანსის დასაწყისი 7 ს.

საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 7 საათ.
მხატვრული სურათი
მიწის ქვეშეთის მზე
რეჟისორი ავერბახი

[illegible] (ყოფ. მინიონი)
საუკეთესო სურათი
მეორე ქორწინება
თეატრში მოწყობილია ვენტილიაცია.

ოლქფინგანის საააუქციონო კამერა

ა. წ. 7 ივლისს ქ. დუშეთში საჯარო ვაჭრობით

გაყიდის შემდეგ უძრავ ქონებას

1. ბუჩუნტელი მოსე გიორგის-ძეს—სახლი 2 ოთახით ქვითკირის.
2. ნათლიაშვილი ელიკო კოტეს-ძე—სახლი ქვითკირის 1 ოთახით.
3. ჯონქაძე ალექსი-ის—სახლი ქვითკირის 6 ოთახით და 2 კუხნით, დუქანი 6 ოთახით.
4. ხუროძე კოსტა სიმონის-ძე – სახლი ქვითკირის ორ ოთახიანი.
5. არუშანოვი სუმბათა იოსების-ძე—სახლი ქვითკირის 2 ოთახით.
6. ყარსიმაშვილი სანდრო იოსების-ძე—სახლი ქვითკირის 2 ოთახით.
7. ელიკოვი კარაპეტ იძანეს-ძე—სახლი ქვიტკ. ორ სართულ. 6 ოთახ.

ნ. 990

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბალანსი 1929/30 წ. 1-ლი ოქტომბრისათვის საჩხერის საკრედიტო ამხანაგობის, რომელიც იმყოფება საჩხერის რაიონში ქუთაისის ოლქში

ანგარიშების დასახელება	აქტივი	პასივი
1. სალარო	4091—13	
2. თანხების სხვა და სხვა დაწესებ.	6823—27	
3. ფასიანი ქაღალდ. საკუთარი	50—	
4. გაცემული სესხ. საწარმ. მიზ.		
ა) გრძელ-ვადიანი	15191—40	
ბ) მოკლე-ვადიანი	12628—84	
გ) ვადა გადაცილებული	3386—14	
5. სხვა სესხები		
ა) ვადიანი	1450—	
ბ) ვადა გადაცილებული	621—86	
6. ანაბ. და სახელ. ანგარიშები		
ა) ცალკე მოანაბრენი		158—10
7. აღებული სესხები:		
ა. სესხითი ოპერაციებისთვის:		
ა) გრძელ ვადიანი		1732—61
ბ. სავაჭ.-საწ. ოპერაციებისათვის		19145—97
გ. სხვა მიზნით		2403—67
8. საქონელი მისაწ. მომარაგებ.	13719—17	
9. საქონელი გასას. ღ. დამზად.	4169—02	
10. ანგ.-სწ. სავაჭ. საწარ. ოპერ.		
ა) მტკიცე ანგარიშით	3859—96	11340—69
ბ) საკომისიო ანგარიშით	1185—13	2968—18
11. სხვა და სხვა ანგარიშსწორება:		
ა) ანგ.-ვალდებული პირები	601—76	
ბ) სხვა და სხვა არა ოპერატ. ანგარიშსწორება	7050—15	2610—46
გ) ხარჯები მ. შემ. მოძ. წლ.		500—58
დ) გაუნაწ. მოგება (დაუფ. ზარალი) გას. წლების	1383—56	
ვ) დანადები (მოგება) გაუ. საქონელზე	2100—	2100—
12. ბრუნვის გარეშე მოქც. ფ.-ბა		
ა) ქონება	8349—43	
ბ) პაიები და აქც. სხ. დაწ.	730—	
გ) ანაბრები სათადარ. კაპიტალის ანგარიშში:	—48	
13. კაპიტალები და ფონდები:		
ა. ძირითადი კაპიტალი		
ა) საკუთარი		1914—
ბ) საპაიო		6637—91
გ) ნასესხი		7500—
ბ. სპეც. კაპიტ. ინდუსტრიალიზ.		
ა) საპაიო (დასაბრუნ.)		1388—
ბ) ნასესხები		2000—
გ. ღარიბთა ფონდი		
ა) შესაკავშირებელი და საკოლექტივიზაციო		1050—
ბ) ღარიბთა საკრედიტო		17098—
14. შემოსავალი		
ა) სავაჭ.-საწარ. ოპერაც.-ბი		6813—13
ბ ა ლ ა ნ ს ი . .	87391—30	87391—30

გამგეობა შალვა თუშიშვილი. მოანგარიშე ტ. მაზარაშვილი.

სახელმწიფო ოპერის თეატრი
ქართული დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
პარასკევს, 4 ივლისს კოლა, ჩვენ ვცოცხლობთ მეორე აბონემენტი
შაბათს, 5 ივლისს როგორ პროფკავშირებისათვის
კვირას, 6 ივლისს ყვარყვარე თუთაბერი მესამე აბონემენტი
წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

ვცვლი ოთახს
მზიანს, მე-2 სართულზე მოწყობილს
ლენინგრადის ქ. (მე-2 უბანი) № 4, ბინა 3, სადარბაზო კარებიდან მარჯვენა მხარეს. საღ. 4—8 საათამდე. 3668

მასწავლებელი
ამზადებს მოწაფეებს
ყველა საგნებში:
ყველა სპეციალურ ტეხნიკუმებში, შვიდწლედებსა და მუშფაკებში შემსვლელთ. ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებსაც.
მისამართი: 1) გოგებაშვილის მეორე შესახვევი № 20 (ყოფ. პეტროვის მეორე შეს.) დილის 10—2 ს. და საღ. 5—9 საათამდე. 2) ძნელაძის ქუჩა № 45 (ყოფ. საპიორის ქ.) დილით 10—2 ს. და საღ. 5—7 საათამდე. 3) ჩერნიშევის მესამე ჩიხი № 6, (კ. მარქსის ხიდის ახლოს) დილით 10—12 და საღ. 5—7 ს-დე. 3646 2—2

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პიროგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 0—15

თვითგანვითარებისათვის, უნივერსიტეტში და მუშფაკში შესასვლელად გავდივართ ზაფხულის პერიოდში ფიზიკის და
მათემატიკის
კურსს: (არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია და ტრიგონომ.) აგრეთვე ვამზადებთ ყველა საგნებში
სპეცტეხნიკუმში
შესასვლელად და ჩამორჩენილ მოწაფეებს საშემოდგომო განმეორებითი გამოცდებისათვის. პლეხანოვის ქ. № 25, შესავალი ჩერნიშევის (ყოფ. ალექსის ქ.) № 5. ნახვა 9-11 ს. და 4-5. ქვ. 1347 3318

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეტი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11, მიღება საღ. 7—8 ს. ტელეფ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. მჭედლიშვილი
წასულია
ავადმყოფების მიღებას განაახლებს სექტემბრის პირველ რიცხვებში. 25—1

მალე!
ღამის ყვირილი
ნ. 993

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორა სთხოვს ხელისმომწერლებს, განსაკუთრებით პროვინციელებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა რაიმე ცვლილებების შეტანა მათ მისამართებში, ან გაზეთებს უწესრიგოდ იღებენ, აუცილებლად აძრონ გაზეთიდან და გამოგვიგზავნონ წერილთან ერთად ის მისამართი, რომლითაც გაზეთი ეგზავნებათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი წერილები, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

ამასთან ერთად მისამართის შეცვლის მსურველნი მოვალენი არიან გადმოგზავნონ კანტორაში 25 კ. საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად. 0—5

გამომცემლობა „ქართული წიგნი“-ს წლიური საზოგადო კრება

შესდგება შაბათს, 5 ივლისს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქუჩა № 3). ნ. 991

ოლქფინგანის საააუქციონო კამერა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 6 ივლისს ადგილობრივ (პუშკ. ქ. № 6) ყოფ. შერმაზანოვის რკინეულობით სავაჭროში დღის 10 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლათ გაიყიდულ იქნება სხვა და სხვა რკინეულობა (Скобяной товар.) მოქ. შერმაზანოვის კუთვნილი. ნ. 988

ოლქფინგანის საააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ა.წ. 6 და 7 ივლისს, 11 საათზე ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

საჯარო ვაჭრობა

ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება: შიფონერკები, ბუფეტის შკაფები, მაგიდები, და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 11 საათიდან. მსურველებს შეუძლიანთ წინასწარ დაათვალიერონ ნივთები. ნ. 984

გულდათუთქული მშობლები ვლადიმერი და ბარბარე პატარა რუხანით, ბებია ეკატერინე, მამიდა პეპელა, ბიძები: ნიკოლოზი ცოლშვილით, დავითი და შალვა გერმისაშვილები დავსტირით მუდამ ჟამს დაუვიწყარს, მე-16 შრომის სკოლის მე-2 ჯგუფის მოწაფეებს

კატუშა და შურიკო გერმისაშვილებს

გამოსვენება ბინიდან, 1-ლი დუშეთის ჩიხი № 8, ვერის ახალ სასაფლაოზე, დღეს, 5 საათზე. 3667

მუშკოოპის ყველა წევრებს და თანამშრომლებს

მუშკოოპის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ 4 და 5 ივლისს კლუბებში ჩატარდება კოოპერაციის საერთაშორისო დღისთვის მიძღვნილი საღამოები.

1. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში 4 ივლისს, დღის 12 საათზე, საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა კავშირის იმ წევრებისათვის, რომლებიც ისვენებენ, ხოლო საღამოს 9 საათზე კოოპაქტივისა და მუშკოოპის თანამშრომლებისათვის.
2. მუშათა ახალ კლუბში—5 ივლისს, საღ. 8 საათზე, ქალაქის რაიონის მეპაიეთათვის.
3. მუშათა ცენტრალურ კლუბში—5 ივლისს, საღ. 8 საათზე, ლენრაიონის მეპაიეთათვის.
4. ტრამვაელების კლუბში—5 ივლისს, საღ. 8 ნახ. საათზე, ტრამვაის მუშებისათვის.
5. ორჯონიკიძის კლუბში—5 ივლისს, საღ. 8 საათზე, რკინისგზელებისათვის.
6. მშენებელთა კლუბში—5 ივლისს, საღ. 9 საათზე, მშენებელ მუშა-მოსამსახურეებისათვის.
7. ნარიმანოვის კლუბში—4 ივლისს, საღ. 8 საათზე თურქ მუშა-ქალთათვის და დიასახლისებისათვის.
8. ტყავტრესტის მუშათა კლუბში—4 ივლისს, საღ. 9 საათზე, ორთაჭალის რაიონის მუშებისა და დიასახლისებისათვის.
9. ა. კ. ქვეითი სკოლა—5 ივლისს, საღ. 6 საათზე სკოლის მოსწავლეებისათვის.
10. ზაჰესი—5 ივლისს, საღ. 7 საათზე, ზაჰესის მუშებისათვის.
11. ავჭალა—6 ივლისს, საღ. 7 საათზე, მეორე ქართული დივიზიის ბანაკი წითელარმიელებისათვის.
12. წითელარმიელთა კლუბში—5 ივლისს, საღ. 8 საათზე.

თხოვნაა—მუშკოოპის წევრები დაესწრონ საღამოს. შესვლა თავისუფალია.

ნ. 992. საორგ. განყოფილება.

თბილისის ოლქფინგანი

ამით აცხადებს, რომ მოქ.

ნესტორ ფარნაოზის-ძე ჩახავა

შეცდომით იყო შეტანილი სახელმწიფო გადასახადთა ურჩ გადამხდელების სიაში.

3170 ოლქფინგანის გამგის მოადგილე - ბასილია.

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— კავშ. წიგნ. – სალომე სურმავას სახელზე.	3356
— მუშკ. საწ. წიგნ. და პურის წიგნ.—დავით მაისაშვილის სახ.	3654
— მეტრიკ. ამონაწ. № 3784—ელენე ნადირაძის სახელზე.	3674
— უვადო მოწმ.—გეურქა ოგანესას-ძე ოგანეზოვის სახელზე.	3675
— პარტ. საწ. წიგნ. № 0872982 და წაღვერის დასასვენებელ სახლში შესასვლელად მოწმ. — ალექსანდრა ტოგონიძის სახელზე.	3636
— სამხ. წიგნ.—აბრამ მეირის-ძე კრიხელის სახელზე.	3659
— პურის წიგნ. „ა“—გიორგი სიმონის-ძე ოსეფაშვილის სახელზე	3666
— პურის წიგნ.—შალვა ცხოვრებაძის სახელზე.	3674
— პირადობის, სიღარიბის და სასოფლო საბჭოს არტელის მოწმობები—ვალიკო გიორგობიანის სახელზე.	3661
— ა/კ. სატრანსპ. მომხმ. საზოგადოებისაგან მოცემული საწევ. წიგნაკი № 40154—ვლადიმერ კანდელაკის სახელზე.	3669
— მუშკ. წიგნ.—ნინა მიხეილის ასული კარანაშვილის სახელზე.	3657
— სტიპენდიანტობის პროფკავშ. და სამხ. ბეგარასთან დამოკიდებულობის მოწმობები ბესარიონ ბექმურზას-ძე წერედიანის სახელზე.	3659
— პურის წიგნ. ლიტ. „ა“ 3-სულის – ლევო ოგანჯანოვის სახელზე.	3654
— ატესტატი გაცემ. სიღნ. ჰუმანიტარული ტეხნიკუმიდან შალვა ვლადიმერის-ძე ბაბაკიშვილის სახელზე.	3630
— მუშკ. წიგნ. № 93696 – დარო მიხეილის ასულ არუთინოვას სახ.	3633
— კოოპერ. წიგნ. № 1900 ილიკო თარგამაძის სახელზე.	3622
— სამხ. საადრ. წიგნ.—შალვა ბეღელაძის სახელზე.	3622
— კავშ. წიგნ. № 17605—სოკრატი პირტახიას სახელზე.	3642
— კავშ. წიგნ № 1084 მარიამ ჭუმბურიძის სახელზე.	3651
— პირად. მოწმ. № 187 და სამხ. ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმ.—იასონ ლომსაძის სახელზე.	3651

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დავით ჩიგოგიძე, მეუღლე მარინე, შვილები: კატო, ელისაბედ, სილიბისტრო და თეოფილე, რძლები: ფლოდოსია და სოფიო შვილიშვილებით: ეთერი და დათო აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. პირველ ივლისს, ბნელმა ძალამ ტრაგიულად მოსწყვიტა მათ საყვარელი პირველთა ძმისწული, მეორეთა ძმა და უკანასკნელთა ბიძა

ექიმი ივანე ელიშუხის-ძე ჩიგოგიძე

3672

საქართველოს ექიმთა საზოგადოების ოზურგეთის ფილიალური განყოფილება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ვერაგულად მოკლულ იქნა ჩოხატაურის საავადმყოფოს უფროსი ექიმი

ივანე (ვანო) ელიშუხის-ძე ჩიგოგიძე

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 994

ოზურგეთის მაზრის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ჩოხატაურის საავადმყოფოს გამგე

ექიმ ივანე ჩიგოგიძის

ტრაგიკულად დაღუპვას. ნ. 995

ქეიშვილი, მყავანაძე, ექიმები: ჯიბუტი, მაჭავარიანი, კუნჭულია, ასათიანი, თოხაძე, ქავთარაძე, მენაღარიშვილი, უჯმაჯურიძე, ქინქლაძე, სიხარულიძე, მგელაძე, ჩხენკელი, კანდელაკი, გუგუნავა, ღლონტი, კრილოვი და ვაშაყმაძე, ექიმის თანაშემწეები: თოხაძე, თოთიბაძე, ჰეფხოძე აუწყებენ საზოგადოებას საუკეთესო ამხანაგის და ნიჭიერ დოსტაქარის, ჩოხატაურის საავადმყოფოს გამგის

ექიმ ივანე ჩიგოგიძის

ტრაგიკულად დაკარგვას. ნ. 995

თავზარდაცემული მშობლები ოლია და მიშა ცუცქირიძეები პატარა ეთერით, ბებიები ალათი ცუცქირიძისა და ივლიტა გოჩიტაშვილისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 2 ივლისს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

პატარა ლილი (ლილიკო)

გამოსვენება დღეს, 5 საათზე, ბინიდან, პურის მოედანი № 5, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3653

ძმები: რაჟდენ, სანდრო და ლავრენტი ცუცქირიძეები ცოლშვილით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 2 ივლისს, გარდაიცვალა მათი უახლოესი ნათესავის და მეგობრების ოლია და მიშა ცუცქირიძეების

პატარა ლ ი ლ ი

გამოსვენება დღეს, 4 ივლისს, 5 საათზე, ბინიდან პურის მოედანი № 5. შესასვლელი რიჟინაშვილის ქუჩიდან. 3653

დამწუხრებული ბიძა ანდრო და ბიცოლა ქსენია გოჩიტაშვილები შვილებით: ნინა, გოგია, კოკორი და რეზოთი აუწყებენ ნათესავ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პატარა ლილიკო ცუცქირიძისა

დაკრძალვა დღეს, 4 ივლისს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან თონეთის მოედანი (ყ. გიორგიევის) № 8. 3664

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანეტი შარაშიძისა, შვილები ოლღა, ლუბა, შურა, მარგარიტა, ბექანი, მიშა, რძალი მერი, სიძეები, პ. კალანდაძე და კ. აბუსერიძე იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1-ლ ივლისს, სოფ. ჩოხატაურში გარდაიცვალა

გიორგი გოჯასპირის-ძე შარაშიძე

დაკრძალვა 5 ივლისს, ჩოხატაურში. 2—1 3641

გაუბედურებული მეუღლე ფაჩუ, შვილები გედე, მათიკო და მარუსიათი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფას

იასონ მურძაყანის-ძე ჩიქოვანის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა კვირას, 6 ივლისს, სოფ. ხუნწში, დღის 3 საათზე. 3662

დამწუხრებული დედა ელენა ვადაჭკორია შვილებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ პარასკევს, 4 ივლისს, 6 საათზე, კუკიის სასაფლაოზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

ლიდა ისიდორეს ას. ვადაჭკორიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 3638

ტირაჟი—53.991

„გაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904